

გამომცემლისაგან

როგორ უყურებს ქრისტიანული სარწმუნოება ოჯახს? როგორი ოჯახია უფლისთვის სათნო? რას უსახავს ზეციური მამა უპირველეს მიხნად მისივე კურთხევით შეერთებულ წყვილებს?

ქრისტიანული ოჯახი

ძემ ღვთისამ, ღმერთკაცმა იესო ქრისტემ მიწაზე ხორციელად მოსვლით ერთხელ და საბოლოოდ გაყო კაცთა მოდგმის ისტორია ორად – „ქრისტეს შობამდე“ და „ქრისტეს შობის შემდგომ“.

ეკლესიის მამათა განმარტებით, ადამიანის შინაგანი დრამა დაიწყო მაშინვე, როგორც კი სამოთხეში აღმოცენდა უფლის მიერ დარგული ხე, რომლის ნაყოფის ჭამაც მან აკრძალა. დრამა განვითარდა და სამოთხის მკვიდრთათვის სამწუხაროდ დამთავრდა – უფლის მცნების დარღვევის გამო მათ დაკარგეს სამოთხე და მასთან ერთად უნეტარესი ყოფა და ცოდვიანი დედამიწის მკვიდრი შეიქნენ. სამოთხიდან მათ წამოყვათ უფლის წყევლა: მამაკაცს – ოფლით მოეპოვებინა პური, ხოლო დედაკაცს – დამონებოდა ქმარს და ტკივილით ეშვა შთამომავლობა. მაშინ, როდესაც ღმერთმა ქალი იმისთვის შექმნა, რათა სიცოცხლე გაეგრძელებინა, შეიღზე ეზრუნა, ყოფილიყო ოჯახის სული და მისი ყველაზე ძვირფასი სამშენისი. ადამიანის ცოდვით დაცემამ იდილია და ნეტარება წყევად და მწუხარებად აქცია – საუკუნეების მანძილზე ქალი იმკიდა თავისი ურჩობისა და თავნებობის შედეგს.

ქრისტესშობამდელი ისტორია ნათლად მიუთითებს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო ქალი. ის არანაირ ზნეობრივ ფასეულობას არ წარმოადგენდა, მხოლოდ სიამოვნების საგანი იყო, რომელსაც არც საკუთარი აზრი შეიძლება ჰქონოდა და არც თავისუფლება*. ქალი არად ფასობდა ელადშიც კი თავისი აყვავების კლასიკურ პერიოდში (ქრისტესშობამდე V-IV სკ.); ასევე იყო რომშიც. სკვითები და ინდუსები კი მას ცოცხლად წვავენ დაღუპულ ქმართან ერთად, რათა იგი სხვა მამაკაცის ტკობის საგანი არ გამხდარიყო. ერთი სიტყვით, ქალი საცოდავი მონა იყო. ეს სამყაროს მოწყობის ღვთივდადგენილი წესრიგის დამახინჯება გახლდათ, რაც ისევ თვით შემოქმედმა გამოასწორა. მან თავად იწება უწმიდესი ქალწული მისი დედა გამხდარიყო, რის შედეგადაც ყოვლადწმიდა დედოფალი ცისა და ქვეყნისა არა მხოლოდ მამაკაცთა მოდგმას ზე აღემატა, არამედ თვით ანგელოზებსა და მთავარანგელოზებსაც და ყოვლადწმიდა სამებასთან ქერუბიმებსა და სერაფიმებზე ახლოს დადგა. მაგრამ ეს შემდგომ – უფლის განკაცების შემდეგ. მანამ ქალი მონად რჩებოდა, რასაც ბუნებრივად მოსდევდა ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზმის – ოჯახის დაშლა. ოჯახი ჯანსაღი როგორ უნდა იყოს, თუ მასში ქალს, როგორც დედას და მეუღლეს, თავისი შესაფერ-

* შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ქალი სპარტაში ამ ქალაქის პოლიტიკური ცხოვრების თავისებური მოწყობის გამო. სათანადოდ მდებარეობითი სქესი მხოლოდ იუდეველებში – ერთადერთ ღმერთის მცნობ საზოგადოებაში ფასობდა.

ისი ადგილი არ უკავია?! დედისა და მეუღლის როლის დამცირებამ გამოიწვია ოჯახის სიმართელისა და მასთან ერთად მთელი საზოგადოებრივი მოწყობის რღვევა, ვინაიდან ოჯახი მუდამ საზოგადოების ქვაკუთხედი იყო; ოჯახი, რომელიც სწორედ ქალს უნდა დაეცვა და შეენარჩუნებინა.

საქორწინო კავშირები იმდენად დასუსტდა, რომ ობობას ქსელივით წყდებოდა და იფლითებოდა. ქორწინება გაუფასურდა და დავიდა ჩვეულებრივ გარიგებამდე, რომლის განმსაზღვრელი ძალა ვნებათა დაკმაყოფილება და მატერიალური გამორჩენა იყო.

„დადამიანები ქორწინდებიან, რათა განქორწინდნენ და განქორწინდებიან, რათა იქორწინონ“, – მოსწრებულად აღნიშნავს ფილოსოფოსი სენეკა და განაგრძობს: „რომში არიან ცნობილი მატრონები, რომლებიც საკუთარ წლებს კონსულების რაოდენობის მიხედვით კი არ ითვლიან, არამედ – მეუღლეთა რაოდენობით, რომლებსაც ისინი ყოველ წელს იცვლიან“.

II საუკუნის ანონიმი აპოლოგეტი, ცნობილი წერილის – „დიოგენისადმი“ ავტორიც ადასტურებს, რომ განქორწინება განიხილება, როგორც ქორწინების ბუნებრივი შედეგი, რის შედეგადაც სუსტდება თვით ის წმიდათაწმიდა კავშირიც კი, რაც მშობლებსა და შვილებს ერთმანეთთან აკავშირებს. ჩვეულებად იქცა უკანონო ბავშვების შობა, რომლებსაც ხშირად თავად დედები კლავდნენ ან ტოვებდნენ გზებზე, რათა შიმშილითა და სიცივით დახოცილიყვნენ, ან ძაღლებს და მხეცებს დაეკლიჯათ. მეისტორიეს გადმოცემით მხოლოდ თებეში იყო აკრძალული ბავშვების გადაყრა.

მშობლებს ახალშობილის საკუთარი ხელით მოკვლის უფლებას ბრძენი სოლონის კანონიც კი აძლევდა. ამას პლატონიც უჭერდა მხარს, რასაც ვხედავთ მის ნაშრომში „სახელმწიფო“. ტაციტუსის მიხედვით, ახალშობილთა გადაყრის საბჭო გაგრძელებული მოვლენა იყო ბერძნებშიც. ლოკურგის კანონთა მიხედვით სპარტანელებიც ყრიდნენ თავიანთ სუსტ, არასასურველ ახალშობილებს. მოგვიანებით, II საუკუნეში ქრისტიანი აპოლოგეტი ფელიქს მინუციუს ამბობს, რომ არაერთხელ უნახავს, თუ როგორ უყრიდნენ მშობლები ახალშობილთ მხეცებს, მტაცებელ ფრინველებს. უნახავს ისიც, თუ როგორ ახრჩობდნენ დედები თავიანთ ახალშობილებს, რათა მათი გამოკვების და აღზრდის სიმძიმე თავიდან აეცილებინათ.

ამ შემადრწუნებელი საქციელის მხილებისას ტერტულიანე რომის სენატორების წინაშე ქრისტიანთა აპოლოგიით რომ გამოდიოდა, ამბობდა: „თქვენში არავინ არის, ვინც თავის შვილს სიკვდილისთვის არ გაიმეტებდა, არ დაახრჩობდა, შიმშილით არ მოკლავდა, ანდა თოვლში არ გადააგდებდა, ბედის ანაბარად არ მიატოვებდა ან ძაღლების და მტაცებელ ფრინველთა შესაჭმელად გზაზე არ დააგდებდა“ („აპოლოგია“).

მეტი რაღა შეიძლება გავიხსენოთ მაშინდელი სამყაროს სულიერი სიღატაკის სურათის სრულყოფილად აღსაწერად. ვფიქრობთ, ესეც სრულიად საკმარისია. ჩამოთვლილ მოღვაწეთა მოწმობა რომ არა, ყოველივე ზემოთქმულის დაჯერებაც კი გაჭირდებოდა.

სოკრატეს ყველაზე ღირსეულმა მოწაფემ – პლატონმა, უამრავი კანონის ავტორმა და იდეალური სახელმწიფოს მოდელის შემქმნელმა – ერთი პატარა ოჯახიც კი ვერ აიძულა, ეცხოვრა მისი ბრძნული თეორიებით. თეორიები თეორიებად დარჩა და მათი პრაქტიკული გა-

მოყენებით არცერთი ოჯახის ცხოვრება არ გაუმჯობესებულა. საზოგადოების არცერთი წევრი არ დათანხმდა ეცხოვრა იმ იდეალური კანონებით, რომლებიც პლატონმა ჩამოაყალიბა ნაშრომში „სახელმწიფო“. იგი თავადვე აღიარებდა, რომ „ყველაზე ძნელი საქმეა თუნდაც ერთი ადამიანის გამოსწორება“. ამასვე ამტკიცებდა ენციკლოპედისტი არისტოტელე და პითაგორას მისტიკური ფილოსოფიაც.

ადამიანის უძლურება ყველაზე ზუსტად გამოხატა ნეოპლატინიკოსმა ფილოსოფოსმა პლოტინმა, რომელმაც თქვა: „როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ ღმერთამდე ამაღლება, ღმერთი თვითონ უნდა ჩამოვიდეს ადამიანებამდე“.

ფილოსოფოსთა დიდი დასით წარმოდგენილმა ძველმა ფილოსოფიამ, ყველა მისი დამსახურების მიუხედავად, საზოგადოება ოდნავადაც ვერ გააუმჯობესა, მით უმეტეს, ვერ გაათავისუფლა ადამიანი ცოდვის, ეშმაკის და სიკვდილის ტყვეობისგან, რადგან პრობლემა თითოეული ადამიანის შინაგან სამყაროში იყო დაბუდებული და საჭირო იყო არა ერთბაშად მთლიანი საზოგადოების გაუმჯობესება, არამედ ყოველი ცალკეული პიროვნების გამოსნა *სიკვდილის საწურტელისგან* – ცოდვისგან (1 კორ. XV, 56) და მისი მოქცევა მარადიული ცხოვრებისკენ. ამის განხორციელება კი მხოლოდ უფალს შეეძლო ჩვენი ადამიანური ბუნების მიღებით და ამით ადამიანის განდმრთობით. ეს უდიდესი ღვთიური საქმე იყო, არის და რჩება ყოველი ადამიანის ერთადერთ გამოუთქმელ, წმიდათაწმიდა ოცნებად და ერთადერთ საშუალებად, რომელიც მას ცოდვის მონობისგან გასათავისუფლებლად ეძლევა, რადგან თითოეული ჩვენგანის სული შემოქმედის შექმნილია და მხოლოდ მასში პოულობს სიმშვიდეს, მხოლოდ მას ეთაყვანება, როგორც ღმერთს. ვინმემ შეიძლება უთხრას ადამიანს: „*მე შენი ღმერთი ვარ*“, მაგრამ არავის შეუძლია მისცეს მის სულს ის უზენაესი საზრდო, რომლითაც ის შიმშილს დაიოკებს; არავის, გარდა ერთი სამიპოსტატიანი ღმერთისა; ეს საზრდო კი ის მადლია, რომელიც თავად იესო ქრისტესგან მიეცა ყოველ ქრისტიანს ნათლისღების საიდუმლოსა და ერთი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა წმიდა საიდუმლოებებში.

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის ამ მადლმოსილ წიაღშია შესაძლებელი თავი ავარიდოთ ცდუნებებს, შევიძინოთ სათნოებები და უფალთან ერთობას მივუახლოვდეთ, რის გარეშეც ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახის შექმნა წარმოუდგენელია.

ყველაზე განვითარებულ საზოგადოებაშიც რომ ცხოვრობდეს, ადამიანში ვერანაირი არსებითი დადებითი ცვლილება ვერ მოხდება, თუ ის ორგანულად (და არა უბრალოდ, თეორიულად) არ არის დაკავშირებული ყოველგვარი მადლის წყაროსთან – ღმერთთან. ყოველივე ზემოთქმული ამის დასტურია.

ღმერთო, დალოცე ეს ბავშვი!

ოჯახი ერთგვარი მინი-სახელმწიფოა, რომელსაც თავისი ფუნქცია და ამოცანები აქვს. ქრისტიანული ოჯახი, წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, უთუოდ ქრისტეს სწავლებას უნდა დაეფუძნოს. მისი საფუძველი და დუღაბი, ისევე როგორც სხვა ყველაფრისა, ქრისტეს სჯულის მიმდევართათვის, უნდა იყოს სიტყვა, ანუ განკაცებული უფალი. „*ვითარცა ბრძენმან ხუროთმოძღვარმან საფუძველი დაეჭსდევ*“, – ბრძანებს პავლე მოციქული. მეტი არავის ძალუძს სხვა საძირკველის დადება, ვინაიდან ეს საძირკველი თავად იესო ქრისტეა. წარმატებულიც იმისი საქმე იქნება, ვინც ამ საძირკველს დაეფუძნება, იქნება ეს ოჯახი თუ სხვა ნებისმიერი რამ. „*ყოველსავე, რასაცა იქმოდით სიტყვით ვინა თუ საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესუსითა*“ (კოლ. III, 17).

როგორ უყურებს ქრისტიანული სარწმუნოება ოჯახს? როგორი ოჯახია უფლისთვის სათნო? რას უსახავს ზეციური მამა უპირველეს მიზნად მისივე კურთხევით შეერთებულ წყვილებს? უპირველესად საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ქრისტიანული ქორწინება არის საიდუმლო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთიური სიყვარულისა. ქორწინების აღიარება საიდუმლოებად გულისხმობს ადამიანური, ცოცხალი ქმნილების სიყვარულის გარდაქმნას სამუდამო კავშირად, რომლის დარღვევა სიკვდილსაც კი არ ძალუძს.

დავიწყოთ სულ თავიდან, იმ პერიოდიდან, საიდანაც მომავალი თანაცხოვრება უნდა დაიწყოს – დაწინდვიდან ჯვრისწერამდე, ვინაიდან ოჯახი ჯერ კიდევ მის შექმნამდე იწყება. ეს ის პერიოდია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე განსაკუთრებით სასიამოვნოდ ამას-სოვრდებათ წყვილებს (თუკი, რასაკვირველია, არჩევანს საფუძველად ერთმანეთის მიმართ სიყვარული, პატივისცემა და კეთილგანწყობა უდევს და არა ანგარება). როგორი ურთიერთობაა ამ დროს უფლისთვის სათნო? ერთ-ერთი უძველესი ტექსტი გადმოგვცემს, რომ დაწინდვისას ეპისკოპოსის კურთხევის ფორმა მოკლე და კეთილი სურვილებით აღსავსე იყო: „ღმერთო, დალოცე ეს ბეჭედი... რამეთუ, როგორც იგი აგვირგვინებს ადამიანის თითს... დაე, სულიწმიდის მადლი ასევე გარს შემოერთებას ნეფე-პატარძალს, რათა მათ იხილონ ვაჟიშვილები და ქალიშვილები მესამე და მეოთხე თაობამდე, რომლებიც აღიდებენ შენს სახელს“.

თანამედროვე პრაქტიკაში მღვდელი დაწინდვის დროს კურთხევისას გამოთქვამს სურვილს, რომ ქორწინება აღსრულდეს უფალში. ქრისტიან ნეფე-პატარძალს აახლოებს არა მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული, არამედ – ქრისტესკენ მისწრაფება, რაც ქორწინებას უმყარეს საფუძველს უქმნის. რას ავალდებულებს ყოველივე ეს დაწინდულებს ამ კონკრეტულ პერიოდში დაწინდვიდან ჯვრისწერამდე?

უპირველესად აუცილებელია მომავალ მეუღლეთა ურთიერთობა შეესაბამებოდეს იმ მოვალეობებს, რომლებიც მათ მომავალი ცოლქმრული ცხოვრების დროს მოელოთ. დასამალი არ არის, რომ ხშირად საცოლისა და საქმროს ურთიერთობა ქორწინებამდე სულაც არ არის ხოლმე ამის შესაბამისი. ძირითადად დრო დაწინდვისა და ქორწინებამდე, ჩვეულებისამებრ, გადის გართობაში, ვიზიტებში, ერთმანეთისადმი სიყვარულის მტკიცებაში, მზითევთან და მომავალი მეურნეობის მოწყობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ზრუნვაში და სხვა.

ასე უნდა ატარებდეს დროს ქრისტიანი საცოლვე და საქმრო დაწინდვიდან ჯვრისწერამდე? არა.

მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ამგვარი მოქმედებით, შესაძლოა, ღვთის კურთხევა დაკარგონ მომავლისთვის. **ვინც ივიწყებს უფალს, მას უფალიც დაივიწყებს თავისი წყალობით.** არადა, რასაც დათეს, იმას მოიძი. **ის, რაც ქორწინების შემდეგ უნდა მოიმკა, ქორწინებამდე უნდა დათესო.** ყოველივე აქედან იბადება კითხვა: როგორ უნდა იქცეოდეს საცოლვე და საქმრო ქორწინებამდე, რომ მოიზიდონ და დაიმკვიდრონ უფლისგან მადლი?

სასიხარულო განწყობილება ამ პერიოდში ბუნებრივია. დაე, წყვილებმა იხარონ, ოღონდ ღმერთი არ დაივიწყონ. ვინაიდან ცოდვას, დაივიწყო ის, ვისგანაც მოდის ყველა კეთილი საქმე, შესაბამისად – ცოლქმრული ცხოვრების სიკეთეც. ამიტომ წყვილის სიხარული გაციკროვნებული უნდა იყოს მადლიერების გრძნობით უფლისადმი, რომელმაც სათავე დაუდო მათს თანაცხოვრებას.

ახალგაზრდა კაცი უნდა მადლობდეს უფალს, რომ მან იგი დაასაჩუქრა საცოლით. ისიც შესაძლებელია, რომ ეს საჩუქარი კი არ იყოს, არამედ – სასჯელი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც უფალს მხოლოდ მადლობა უნდა ვუძღვნათ, რადგან ვარამიც შეიძლება ჩვენთვის სასიკეთო იყოს, თუკი მას მივიღებთ როგორც ჩაგონებას სინანულისათვის, როგორც გამოცდას უფლის სიყვარულისა.

საცოლვე და საქმრო მარტო კი არ უნდა მადლობდნენ უფალს წყალობისთვის, არამედ ერთად უნდა სთხოვდნენ წყალობას სამომავლოდ. მათ უნდა შეისისხლხორცონ აზრი, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით, უფლის კურთხევის გარეშე ვერ მიადწევენ ბედნიერებას ცოლქმრულ ცხოვრებაში. შეგახსენებთ: *„არათუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ამოდ შურებიან მაშენებელი მისნი“.*

წმ. ეკლესიის ტიპიკონით ცოლ-ქმრული ცხოვრება ნაკურთხია საგანგებო საიდუმლოთი, რომელშიც წყვილისთვის ზეციდან გამოითხოვება მათი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისთვის საჭირო მადლი უფლისა, რათა მომავალში შეძლონ ცოლ-ქმრული მოვალეობების შესრულება. სამწუხაროდ, ეს ხშირად არ ესმით ადამიანებს. ხშირად ჯვრისწერა მათთვის ძირითადად ერთი ფუნქციის მატარებელია – იურიდიულად და ფაქტობრივად დააკანონონ ქორწინება. ამიტომაც ამ პერიოდში (დაწინდვიდან ქორწინებამდე) წყვილები სათანადო მოწიწებით და შესაბამისი ლოცვებით არ ემზადებიან ხოლმე ქორწინებისთვის. მაგრამ ვინაიდან ქორწინების მსახურება არის საიდუმლო, იგი ყველა სხვა საიდუმლოს მსგავსად მოითხოვს ლოცვით განწყობას. მაგალითად, აღსარების წინ ადამიანი ხომ ლოცვისათვის განეწყობა, რომ მიიღოს სულიერი სიკეთე. სწორედ ასევე საჭიროა მომავალ ცოლ-ქმარს ჰქონდეს სულის ლოცვითი განწყობილება არა მხოლოდ უშუალოდ ჯვრისწერის მომენტისთვის, არამედ მთელი წინა პერიოდის განმავლობაში. თუ ასეთი განწყობილება არ არის ჯვრისწერამდე, იგი საერთოდ არ იქნება ან ძალზე ძნელად გაიღვიძებს უშუალოდ ჯვრისწერის დროს, რადგანაც ამ გაღვიძებას ხელს უშლის საიდუმლოს დიდებულებასთან შეუსაბამო შთაბეჭდილებები. ამდენად, მადლი, რომელიც ჯვრისწერის დროს საგანგებოდ გამოითხოვება

მომავალი ცოლ-ქმრისთვის, აბსოლუტურად მწირ ნიადაგში ხვდება. ძნელი მოსალოდნელია, რომ ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალში სუფევდეს ლოცვითი განწყობა იმ გართობათა შემდეგ, რითაც სავსე იყო მთელი მათი დრო ქორწინებამდე და ახშობდა მათში ლოცვით სულს.

თვით მარხვაც ქორწინების დღეს – დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ქრისტიანული მომზადება ქორწინებისთვის – არასაკმარისია ნეფე-დედოფლის სათანადო ლოცვით მდგომარეობაში მოსაყვანად, თუკი ეს მარხვა მხოლოდ გარეგნული შრომაა და თუ მომარხულნი არ მოიკრებენ ძალას და ქორწინებამდე დარჩენილ დროს არ მიუძღვნიან ლოცვას და სულიერ ფიქრებს, არ უკუაგდებენ დროსტარებას, ტუალეტებსა და მსგავს ამაოებაზე ზრუნვას.

საცოლე და საქმრო მხოლოდ ცალ-ცალკე კი არ უნდა ლოცულობდნენ, არამედ ერთად. უფლისთვის განსაკუთრებით სათნოა ერთობლივი ლოცვები. ამასთან, ამ დროს წყვილში მყარდება განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე.

რაზე უნდა ლოცულობდნენ საცოლე და საქმრო, რომელთაც სურთ მიიღონ უფლის კურთხევა მომავალ ცოლ-ქმრობაში? იმაზე, რაზედაც ლოცულობენ ეკლესიურ ლოცვებში ჯვრისწერისას: ისინი უნდა სთხოვდნენ უფალს შეწევნას, რათა მათ ღირსეულად შეასრულონ ცოლ-ქმრული მოვალეობები მისი წმიდა სახელის სადიდებლად და მათი შთამომავლობის საკეთილდღეოდ; ისინი უნდა სთხოვდნენ უფალს, რომ მისცეს შვილები, შეეწიოს მათ ღვთისმშობიში ბავშვების აღზრდაში ეკლესიის და მამულის სადიდებლად, აგრეთვე საკუთარი თავის სანუგეშოდ, რომ მისცეს მათ მიწიერი კეთილდღეობა, რათა უზრუნველყონ შვილების ბედნიერება და მოყვასის დახმარება გაჭირვებაში. იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა ჰქონდეთ ლოცვაზე, წყვილებს შეუძლიათ წაიკითხონ ქორწინების განაწესი. ეს არის ლოცვის საუკეთესო სახელმძღვანელო, ამასთან, აქვე გაეცნობიან თავიანთ მოვალეობებს მომავალი ოჯახური თანაცხოვრებისთვის.

წყვილი ძალიან სერიოზულად უნდა ეკიდებოდეს ამ მოვალეობებს. სადაც ამას ზერელედ ეკიდებიან, იქ კარგი ოჯახის შექმნის ცდა მარცხით მთავრდება ხოლმე. აუცილებელია მომავალმა ცოლ-ქმარმა თავიდანვე გულდიად უთხრან ერთმანეთს, რას მოელოან ურთიერთისგან ცოლ-ქმრობაში. თავიდანვე უნდა ააწყონ ურთიერთობა პავლე მოციქულის სწავლების მიხედვით: დაე საცოლე ნუ უბდებს ყურს თანამედროვე ემანსიპირებულ ქალებს ცოლ-ქმრის თანასწორობის შესახებ, ნურც ქმარზე ძალაუფლების მოპოვებას შეეცდება მისი ხასიათის სუსტი მხარეების შესწავლით. ორივემ უნდა შეისისხლხორცოს აზრი, რომ უნდა იყვნენ ბედნიერები ერთად, კავშირში და არა ცალ-ცალკე. ამასთან, მათ არცერთი წუთით არ უნდა დაივიწყონ, რომ ერთმანეთზე და საერთოდ ყველაზე მეტად ქვეყნად უნდა უყვარდეთ ღმერთი.

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“ – ამბობს უფალი. ამიტომ თუ მასზე მეტად სხვა ვინმე შევიყვარეთ, ვარდვევთ მის პირველ მცნებას.

შეცდომაა, როცა საცოლვე და საქმრო ერთმანეთს მიმართავენ ამგვარი სიტყვებით – „ჩემო ანგელოზო“, „ჩემო ღვთაება“, „ჩემო სიცოცხლე“, „შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ“... არც ერთი რაგინდ ღირსეული ქალი ანგელოზისდარი ვერ იქნება, იმიტომ რომ უცოდველი არავინ არის; არც ერთ საქმროს არ შეიძლება უთხრა, რომ ის შენთვის ყველაფერია, რადგან, თუ ვაიდა ის დაკარგე, ე.ი. ყველაფერს კარგავ და აღარაფერი გრჩება; არავის შეიძლება უთხრა, რომ ის შენი სიცოცხლეა, იმიტომ, რომ სიცოცხლე ჩვენთვის ქრისტეა. რაც უფრო აღმატებულია ამგვარი მიმართვები, მით უფრო მწარეა შემდეგ გულის გატეხა. ზომიერება, ისევე როგორც ყოველთვის და ყველაფერში, აქაც საუკეთესო წამალია.

ეკლესია საგანგებოდ აფრთხილებს ქალიშვილებს დაიცვან უბიწოება ქორწინებამდე. ბერი ალექსი (შუშანია) ევედრება ქალწულებს: „დაიცავით უბიწოება თქვენი“. წმიდა ბერი საფუძვლიანად განუმარტავს ქალიშვილებს, თუ რატომ არის აუცილებელი უბიწოების დაცვა და წმინდად „მიმთხვევა ღვთიანაკურთხ ქორწინებისა“, რადგანაც ქალიშვილი, რომელიც „უბიწოდ და შეუგინებელი გვამით მიემთხვევა გვირგვინოსნობას, იგი ჭეშმარიტად იქმნება კურთხეული ზეციერის მამისგან და სული წმინდა გადმოვალს მასზედა, აკურთხებს ქრისტადმი საიდუმლოებით შეერთებას და დაბეჭდავს ძლიერებითა ჯუარის დაწერისათა მეუღლეობასა მათსა.

თქვენი ორთავ სოფლის ბედნიერება შესდგება იმ ახალგაზრდობის პატიოსნებით, ღვთის სარწმუნოებით აღზრდილობისგან. ხოლო ქალწულებრივი უმანკო და უშმაკო სახე ანგელოზებრივად გამოგაჩენენ და დიდად ქებულ გყოფენ საზოგადოებაში. ამასთანავე, მომავალი თქვენი კეთილ-მეუღლეობის კავშირი იქმნება მტკიცე და გამოუცვლელ.

ოჰ! ნეტავი იცოდეთ, თუ რა ღვთაებრივი მადლი მღვლევარებს გულსა ქალწულებრივად აგებულსა და სრულიად შეუგინებლად დადგრომილსა ქრისტესთვის მოთმინებითა!

ნეტარ არს იგი ქალწული, რომელმაც შეუგინებლად იქორწინა. . . იქორწინეთ უბიწოდ შეუგინებელი ხორციით და მრწამს, რომ თუ ღვთის სათნოებით იცხოვრებთ, სასუფეველსა შინა ღირს იქნებით სუფევედ“.

საიდუმლოს ბუნება

როგორც ვთქვით, ქორწინება ღვთის შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია. იგი საიდუმლოა იმ მხრივაც, რომ ხორციელი კავშირი ქორწინებამდე ხუთი წუთით ადრეც კი ცოდვაა, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ – კანონიერი. ამის გაგება ხშირად უჭირს თანამედროვე ადამიანს, რის გამოც ეს საკითხი არაიშვიათად ხდება დავის საგანი. საინტერესოა ამის თაობაზე თანამედროვე ბერძენი მამის – არქიმანდრიტ ეპიფანეს (თეოდოროპულოსი) სტატია, რომელიც მან წმიდა მამათა სწავლების საფუძველზე მოამზადა. გთავაზობთ ამ სტატიას შემოკლებით:

„საიდუმლოს ბუნება, ძალა და ღირებულება სწორედ ის არის, რომ იგი ცვლის მდგომარეობას და გარდაქმნის მოვლენებს: ნაცვლად ცოდვისა ანიჭებს სიწმინდეს, ნაცვლად აკრძალვისა – ღვთიკურთხევას, მიწიერს ზეცამდე აღამაღლებს. დიახ, ქორწინებამდე ხუთი წუთით ადრე ქალისა და მამაკაცის ხორციელი შეერთება ცოდვაა, ხუთი წუთის შემდეგ – კი

ადარ არის ცოდვა. ღვთაებრივი საიდუმლოს აღსრულებამდე ხუთი წუთით ადრე წმიდა ტრაპეზზე მხოლოდ სეფისკვერი და ღვინოა, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი, უფრო სწორად, წამის შემდეგ ეს უკვე ღვთაებრივი ხორცი და სისხლია ჩვენი უფლისა! ნათლობამდე ხუთი წუთით ადრე მოუნათლავის წმინდა ევქარისტით ზიარება უმძიმესი ცოდვაა, ნათლობიდან ხუთი წუთის შემდეგ კი აუცილებელი და წმინდა მოქმედებაა. ხელდასხმამდე ხუთი წუთით ადრე ეპისკოპოსი უბრალო პრესვიტერია, ხუთი წუთის შემდეგ კი უკვე უფლებამოსილია პრესვიტერისა და დიაკვნის ქიროტონიისა.

ღვთაებრივსა და ზებუნებრივსაც რომ არ ჩაგულრმავდეთ, ჩვეულებრივ, ამქვეყნიურ საქმეებშიც აღმოვაჩინოთ ამგვარ კანონებს: ხელშეკრულების ოფიციალურ გაფორმებამდე „ხუთი წუთით ადრე“ ტექსტის ფურცელი არაფრით განსხვავდება უბრალო, შესაფუთი ქაღალდისგან, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი იგი დოკუმენტია, რომლითაც კანონდება გარკვეული უფლებანი და მოვალეობანი. ხელმოწერამდე „ხუთი წუთით ადრე“ ანდერძი მხოლოდ უმნიშვნელო ქაღალდია, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი იგი განსაზღვრავს მრავალი ათეული მილიონით შეფასებული ქონების ბედს. „ხუთი წუთით ადრე“ ფიცის დადებამდე პრეზიდენტი უბრალო მოქალაქეა, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ძალმოსილება არ გააჩნია, „ხუთი წუთის შემდეგ“ კი იგი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა, დაითხოვოს პარლამენტი...

თუკი კაცსა და ქალს ქორწინების საიდუმლოს აღსრულებამდე აქვთ ხორციელი კავშირის უფლება და ეს არ არის ცოდვა, მაშინ ხშირ შემთხვევაში საქმე შეიძლება არც კი მივიდეს ქორწინებამდე (განა ერთი და ორია შემთხვევა, როცა ნაცნობ-მეგობრებს მოსაწვევები დაურიგდათ და ქორწილი კი ჩაიშალა?) ასეთ შემთხვევაში ერთიც და მეორეც შეუდგება ახალი „მეუღლის“ ძიებას. თუკი იგივე განმეორდა (ხორციელი კავშირი, უთანხმოებანი, გაყრა), განა ისინი მთელი ცხოვრება უქორწინებელი დარჩებიან? რა თქმა უნდა, არა. ორივენი ხელახლა დაიწყებენ მოძიებნო თანამეცხედრის ძიებას. მაგრამ ვაითუ უბედურება განმეორდა... მესამედ, რაც არცთუ ისე დაუჯერებელია, კვლავ დაიწყება ძიება... ასეთი მდგომარეობა რით განსხვავდება ე.წ. „თავისუფალი სიყვარულისგან“? განა შეიძლება ამის შემდეგ კიდევ ვისაუბროთ ქრისტიანულ ქორწინებაზე?! ან იქნებ საქმე გვაქვს ქვენა გრძნობების მამებლობასთან, ანდა, თუ გნებავთ, „უფასო პროსტიტუციასთან“?

ამ საკითხისადმი თავისი დამოკიდებულება ეკლესიამ ოფიციალურად გამოხატა. მან მკაფიოდ და კატეგორიულად განაცხადა, რომ კაცისა და ქალის ხორციელი კავშირი ქორწინებამდე ხუთი წუთით ადრეც კი უდიდესი ცოდვაა! უდიდესია იმდენად, რომ იგი გამოორიცხავს მღვდლობის უფლებას (ცნობილია, რომ ე.წ. „მცირე ცოდვები“ ხელს არ უშლის მღვდლად კურთხევას, სხვაგვარად მღვდელი ვერავინ გახდებოდა)! ტრულის კრების ბასილიდიდის 69-ე კანონის თანახმად მედავითნე, რომელიც ქორწინებამდე შეუერთდა თავის დანიშნულს, განყენებულ უნდა იქნეს მედავითნეობიდან ერთი წლით. ამის შემდეგ იგი კვლავ მიიღება მედავითნედ, მაგრამ ველარასოდეს მიაღწევს ღვთისმსახურებაში უფრო მაღალ ხარისხს. ასე ასწავლის და ასე აკანონებს ეკლესია, რომელსაც მართავს სულიწმიდა!“

„საიდუმლო ესე ღიდ არს“

დაწინდვა ჯვრისწერით გვირგვინდება. ქორწინების წესი იწყება მღვდლის სიტყვებით: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა“, რითაც იგი მოწმობს, რომ ნეფე-პატარძლის ურთიერთსიყვარული, აგრეთვე სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე დადებული იურიდიული საქორწინო „ხელშეკრულება“, ღვთიური და მარადიული სიყვარულის საიდუმლოდ გარდაიქმნა.

ქრისტიანული ქორწინების აუცილებელი პირობა არჩევანის თავისუფლებაა. ქორწინება ნებისმიერი ძალადობის პირობებში ბათილია.

ქრისტიანული ქორწინების ერთადერთი პირობაა ქრისტეს რწმენა და ეკლესიური ცხოვრება. ყველა სხვა ფორმალური პირობა გამომდინარეობს ცოლ-ქმრის მხადყოფნიდან იყვნენ ქრისტიანები და ეკლესიის წევრები.

ღიღია ქრისტიანულ ქორწინებაში მშობლების როლი. როგორ იქცევიან ისინი ამ დროს?

შვილები ქორწინებას რომ გადაწყვეტენ, მშობლები მხოლოდ საკუთარ შეხედულებას არ ენდობიან და კურთხევის ასაღებად მათ ეკლესიაში აგზავნიან, რომლის დალოცვის სასიცოცხლო ძალა ახალგაზრდებს და მათ მშობლებს ფრთებს ასხამს. მხოლოდ ამის შემდეგ ინიშნება ქორწინების დღე.

ქორწინების დღეს ან წინა დღეს იხდებიან უფალი იესო ქრისტესადმი პარაკლისის საქმის კეთილად დასაწყებად.

ჯვრისწერის დღეს მშობლები ადავლენენ ლოცვას, აკურთხებენ შვილებს (რაც აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია) – ვაჟს მაცხოვრის ხატი, ქალიშვილს – ღვთისმშობლის ხატი. დაბოლოს, დგება წუთები, როდესაც ახალგაზრდები ქორწინებაზე ღვთის ლოცვა-კურთხევის მისაღებად ტაძარში მიდიან ჯვრის დასაწერად.

ტაძარში პირველად ვაჟი შედის ხელისმომკიდებთან ერთად, მას თან ახლავს ბავშვი, რომელსაც სასიძოს წინ მაცხოვრის ხატი მიაქვს. მათ შესაფერისი საეკლესიო გალობით ხვდებიან. სასიძო ილოცებს, ტაძრის შუაგულიდან მარჯვენა მხარეს გადაინაცვლებს და ელოდება საცოლეს, რომელიც ოდნავ მოგვიანებით შემოდის. მის წინ ღვთისმშობლის ხატი შემოაქვთ, გვერდით კი ხელისმომკიდებები მოჰყვებიან. იგი თავგანს სცემს უფალს გალობის ფონზე და ტაძრის მარცხენა მხარეს ინაცვლებს.

ჯვრისწერის დროს ახალგაზრდები მღვდლისა და ეკლესიის წინაშე იძლევიან ურთიერთერთგულების თავისუფალ დაპირებას. ეკლესია ამტკიცებს მათ სურვილს და აკურთხებს ქრისტესა და ეკლესიას შორის სულიერი კავშირის ხატად და მსგავსად.

გთავაზობთ ჯვრისწერასთან დაკავშირებული წესებს:

კანონიკური წესების თანახმად, აკრძალულია ჯვრისწერა:

- ისეთი ადამიანებისა, ვისაც ქალწულობის აღთქმა აქვს დადებული;
- ღიაკვნებისა და მღვდლებისა მათი ხელდასხმის შემდეგ;
- სისხლით ნათესავებისა;

- ნათლობით შექმნილი სულიერი ნათესავეებისა;
- თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი თავგამოდებული ათეისტია და ჯვარს მხოლოდ მეუღლის დაეინებულ მოთხოვნით იწერს;
- თუ ერთ-ერთი მოუნათლავია და მზად არ არის ნათლობისთვის ქორწინების წინ;
- თუ ერთ-ერთი მექორწინე ფაქტიურად სხვა პირთან იმყოფება ქორწინებაში (სანამ იგი არ დაირღვევა დადგენილი წესებით);
- მართლმადიდებლისა და სხვა აღმსარებლობის ადამიანებისა;
- ოთხივე მარხვის პერიოდში, ყველიერის კვირას, ქრისტეშობიდან ნათლისღებამდე პერიოდში, შაბათს, დიდ და ტაძრის დღესასწაულებზე (რათა წინასადღესასწაულო საღამომ ზედმეტ მხიარულებასა და გართობაში არ ჩაიაროს), სამშაბათს და ხუთშაბათს (მარხვის დღეების – ოთხშაბათისა და პარასკევის წინადღეს), ჯვართამაღლებასა და მის წინადღეს (26-27 სექტემბერი), იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთისა და მის წინა დღეს (10-11 სექტემბერი). გამონაკლისის დაშვება მხოლოდ მღვდელმთავარს შეუძლია. ჯვრისწერა რეკომენდებულია საღმრთო ლიტურგიის შემდეგ, რომლის დროსაც ნეფე-პატარძალი წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებიან.
- არ შეიძლება აგრეთვე მართლმადიდებელი ადამიანი იყოს კათოლიკეს ხელისმომკიდე და პირიქით, კათოლიკე – მართლმადიდებლისა.

თუ ადრე სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს ჯვარი ჰქონდათ დაწერილი და შემდგომ მართლმადიდებლად მონათლნენ, მათ ჯვარი ხელახლა უნდა დაიწერონ.

რაც შეეხება ხელისმომკიდეთა ქორწინებას, ისინი ერთმანეთის არც სულიერი და არც ხორციელი ნათესავეები არიან. ამიტომაც მათი ჯვრისწერა აკრძალული არ არის.

როგორც ერთი ბატონის მონები

ჯვრისწერის საზეიმო განწყობილება მთავრდება, სტუმრები მიდიან და ცოლ-ქმარი მომავალი მძიმე ჭაპანის გასაწევად ერთმანეთის გვერდით რჩება. თუ როგორ შეასრულებენ ისინი ჯვრისწერის დროს დადებულ ფიცს, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რომ მათ მთელი სიღრმით და სისავსით გაიაზრონ ღვთის და ერთმანეთის წინაშე, აგრეთვე მომავალი ოჯახის, შვილების წინაშე აღებული ვალდებულებები.

მოციქულთა შორის უდიდესმა, წმ. პავლემ განაწესი დაუდგინა ქრისტეან ცოლ-ქმარს: *„დაემორჩილენით ურთიერთარს შიშითა ქრისტესითა. ცოლნი თვსთა ქმართა დაემორჩილენით, ვითარცა უფალსა. რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა... ქმართა გიყუარდეს ცოლნი თვსნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესიად და თავი თვსი მისცა მისთვის, რათა იგი წმიდა-ყოს...“* ქმარს ისე უნდა უყვარდეს ცოლი, როგორც საკუთარი თავი, რადგან *„რომელსა უყუარდეს ცოლი თვსი, თავი თვსი უყუარს“* (ეფეს. V, 21-28). ცოლს კი სიყვარულის გარდა ქმრის შიში და რიდიც უნდა ჰქონდეს (ეფეს. V, 33).

ამ საიდუმლოს მოციქული დიდ საიდუმლოს უწოდებს და წყვილებს მისი განუხრელი აღსრულებისაკენ მოუწოდებს.

ქრისტიანული ქორწინება, როგორც ორი სქესის ერთიანობა, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს კავშირი ერთი ცოლისა ერთ ქმართან – *„კაცად-კაცადსა თვისი ცოლი ესუნ, და თვითოეულსა თვისი ქმარი ესუნ“* (1 კორ. VII, 2). „ღმერთს რომ სდომებოდა, რომ ერთი ცოლი დაუტევონ და სხვა მოიყვანონ, მაშინ იგი შექმნიდა ერთ კაცს და ბევრ ქალს“, – ამბობს იოანე ოქროპირი.

„ღვთის სიტყვამ, – მსჯელობს სხვა წმიდა მამა (გრიგოლ ღვთისმეტყველი), – ორივე სქესის წიაღში ერთმანეთისკენ სწრაფვის სურვილი აღძრა. და რათა ყოველი ქალი არ ისწრაფვოდეს ყოველი კაცისადმი, გულისთქმას დაუდო ზღვარი – ქორწინება. იგი არის ღაგამი ზომიერების არმცოდნეთათვის, რათა მათი ლტოლვისა და ზღვარდაუდებელი აღტკინების გამო არ მოისპოს ადამიანთა წმინდა მოდგმა, და რომ დაუოკებელი უგუნურებით აღვსილმა ავხორცობამ მათში ომები და გულისტკივილი არ აღძრას“.

მეუღლეების ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული შესაძლებელია მხოლოდ ერთ ცოლსა და ერთ ქმარს შორის. თუკი ცოლ-ქმარი ერთხორც იქმნენ, მაშინ აღარ არის საჭირო თავიანთი სიყვარული გაუყონ ვინმე სხვას. ცოლი და ქმარი ერთ ცოცხალ ორგანიზმს შეადგენს. როგორც დანაწევრებული ორგანიზმი კვდება, ისე მრავალცოლიანობით ან მრავალქმრიანობით გათიშული ცოლქმრული კავშირი კარგავს თავის სიცოცხლესა და მნიშვნელობას. ერთობა, რომელიც მხოლოდ ცოლსა და ქმარს შორის არსებობს, ამცირებს სქესობრივ გატაცებას, თავიდან გვაცილებს მასში ყოველგვარ ზედმეტობასა და უწესრიგობას. სხეულისა და სულის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, ქორწინების საიდუმლოში მყოფი ცოლ-ქმრის ერთობა მათი სულების ერთიანობისკენ მიდის: მგრძობელობა სულიერების იარაღი ხდება, უმდაბლესი მიზნები – უმაღლესი მიზნების მიღწევის საშუალება, ხორციელი სილამაზით ტკობა მზერას ზეციურ, ღვთიურ სილამაზემდე აიყვანს. მაშინ, როდესაც სამოქალაქო ქორწინება, რომელიც მხოლოდ ვნებიან კავშირს წარმოადგენს, ანებიერებს და რყვნის ადამიანს, უძლიერებს ავხორცულ ქონს, აძინებს მის სულს და ყველაფერ ამასთან ერთად ბადებს მასში სისასტიკესა და მრავალ სხვა მანკიერებას, საბოლოო ჯამში ადამიანი დაჰყავს ცხოველამდე, ამ დროს ქრისტიანული ქორწინება ემსახურება ზნეობრივ ამაღლებას, ენერჯის გაძლიერებას, ღვთისმოსავი გრძობებისა და სიყვარულის გაღვივებას, წარმოშობს ბედნიერების სისრულესა და სიმაღლეს.

ქრისტიანული ქორწინების სხვა თვისებაა მისი ურღვევობა, რომლის მიხედვით ცოლსა და ქმარს შორის საქორწინო კავშირი მყარდება არა მოკლე დროით, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე. ღვთის სიტყვის სწავლებებით, ქორწინება თავისი თავდაპირველი დადგინებით ურღვევია, რადგან ცოლსა და ქმარს თვით ღმერთი აერთებს: **„აწ უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“** (მათ. XIX, 6). ამის გამო ფარისევლები შეეკამათნენ იესო ქრისტეს და უთხრეს, რომ მოსემ მათ მისცა განსატევებელი წიგნი და ცოლის განტევების უფლება, რაზედაც მაცხოვარმა მიუგო: *„მოსე გულ-ფიცხელობისა თქუენისათვის*

ვიბრძანა განტეკვება ცოლთა თქუენთაჲ, ხოლო დასაბამსა არა ეგრე იყო“ (მათ. XIX, 8). „ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ: რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვნიერ სიძვისა და სხუად შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტეკვებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მათ. XIX, 9). თუ ცოლს ჭეშმარიტი რწმენა არ აქვს ღვთისადმი, ეს მორწმუნე ქმარს ცოლის დატოვების უფლებას არ აძლევს. ამის მსგავსად, მორწმუნე ცოლმა არ უნდა მიატოვოს ურწმუნო ქმარი, „რამეთუ განწმიდნების ქმარი იგი ურწმუნოდ ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმიდნების ცოლი იგი ურწმუნოდ ქმრისა მისგან მორწმუნისა“ (1 კორ. VII, 14).

იესო ქრისტეს სწავლებით, **ჯვარდაწერილი ცოლ-ქმრის დაცილების მხოლოდ ერთი საპატიო მიზეზი არსებობს – მრუშობა** ანუ ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც განქორწინება მცნებად არ გვეძლევა, მოვალეობად არ გვეკისრება, არამედ მხოლოდ ნებას გერთავს. განქორწინება, საზოგადოდ, არის ქორწინების მცნებიდან და საერთო კანონიდან გადახვევა და სწორედ ამიტომ ის ბოროტებაა. მაგრამ ეს ბოროტება დაშვებულია აუცილებლობის შემთხვევაში, უფრო დიდი ბოროტების თავიდან ასაცილებლად. განქორწინება დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ფეხქვეშ გათელილი უფლებების პატივსაცემად, მარტოდენ დარღვეული სამართლიანობის აღსადგენად.

ქრისტიანული ქორწინება, როგორც ერთიანი, მჭიდრო და ურღვევი კავშირი ცოლსა და ქმარს გულწრფელი ქრისტიანული სიყვარულის მოვალეობას აკისრებს. ქრისტიანი მეუღლეები პატივს უნდა სცემდნენ ერთმანეთს ყოველგვარი ძალადობისა და დესპოტიზმის გარეშე. ქრისტიანი ქმარი ისეთივე თავი უნდა იყოს საკუთარი ცოლისა, როგორც ქრისტე ეკლესიისა. ქრისტემ შეიყვარა თავისი ეკლესია ისე, რომ „თავი თვისი მისცა მისთვის“ (ეფეს. V, 25). ადრე ეკლესია – ანუ მთელი კაცობრიობა არაწმიდა და შებიღწეული იყო. მაგრამ მაცხოვარს ზურგი კი არ შეუქცევია მისი სიმახინჯისთვის, არამედ გარდაქმნა, განამართლა და მიუტევა ცოდვები. მან მოსპო ძველი ცოდვილი ადამიანი და შვა ახალი. ყოველივე ამას მიაღწია არა ძალადობით, გაკიცხვითა და მუქარით, არამედ – მასზე უდიდესი მზრუნველობითა და თავგანწირული სიყვარულით. მაცხოვარმა ეკლესია წმინდა ნათლისღების საიდუმლოში განბანა. „არამედ განიბანებით, არამედ განიწმიდებით, არამედ განკმარებლით სახელითა უფლისა იესოჲსითა და სულითა ღმრთისა ზუენისაჲთა“ (1 კორ. VI, 11). ხოლო რათა ეკურთხებინა იგი (ეკლესია), მას ჭეშმარიტებისა და რწმენის მისეული ღვთაებრივი სიტყვა მიანიჭა (იოან. XVII, 17; რომ. X, 8; ეფეს. VI, 17 და სხვ.). მაცხოვარმა თავისი მზრუნველობა ეკლესიის სისპეტაკის, სიწმინდისა და უმანკოებისთვის იქამდე განავრცო, რომ ამისთვის საკუთარი სიცოცხლეც კი მსხვერპლად დადო.

აი, ცოლის მიმართ ქმრის დამოკიდებულების ქრისტიანული მაგალითი. ჭეშმარიტად შეიყვარა რა მთელი გულით ცოლი თვისი, იგი ყველაფერს აკეთებს მისი დიდებისა და ამადლებისთვის, ძალადობის ან დამცირების აჩრდილიც კი არ უნდა იყოს ცოლთან ურთიერთობაში. ცოლი ქმარზე სუსტია და ეს სისუსტე აღძრავს სურვილს დაეხმარო, მხარი დაუჭირო და დაიცვა იგი. ცოლის შესავიწროებლად ამ სისუსტის საბაბად გამოყენება მისთვის წარმოუდგენელია. იგი ცდილობს მისი ყოველგვარი საჭიროება – ფიზიკური თუ ზნეო-

ბრივი – კეთილგონივრულად დააკმაყოფილოს. მისთვის ცოლის სულ უმნიშვნელო ნაკლიც კი შეშფოთების, ძლიერი მზრუნველობისა და თავგანწირვის საგანია. ცოლი შინაგანად დაკავშირებულია ქმართან, იგი არის მისი საკუთარი სხეული, ამიტომ არ გიყვარდეს ცოლი ნიშნავს, არ გიყვარდეს საკუთარი თავი. შესაბამისად, ცოლის მოვალეობათა შორის არაფერია მისი ღირსებისა და ინტერესების საწინააღმდეგო. ცოლს ისევე უნდა უყვარდეს თავისი ქმარი, როგორც ეკლესიას უყვარს უფალი თვისი. ეკლესია წმიდად და ღვთისმომშიშებით აღასრულებს უფლის ნებას. ასევე უნდა იქცეოდეს ქრისტიანი ცოლი ქმართან მიმართებაში, ისე უნდა მორჩილებდეს მას, როგორც უფალს. ქმარი მისთვის არის ქრისტეს წარმომადგენელი, ამიტომ არ შეუძლია წაუყენოს მას რაიმე უკანონო მოთხოვნა. ცოლი აფასებს რა ქმრის მაღალ ღირსებას, მის ყველა სურვილს სრული მინდობით, მორჩილებითა და პატივისცემით ხვდება. „ცოლსა მას რადთა ეშინოდის ქმრისა“ – იმ გაგებით, რომ იგი ქმრის, როგორც უფლის წარმომადგენლის ღირსებას აღიარებს და ღიად აფასებს მის სიყვარულს, მსგავსად იმისა, როგორც გვეშინია ღმერთისა.

აი, ძველი დროის ნამდვილი ამბავი: ერთი ვაჭარი ძვირფასი საქონლით დატვირთული გემით აფრიკაში გაემგზავრა, მაგრამ ძლიერი ქარიშხლის გამო გემი დაზიანდა და მთელი განძი წყალში ჩაიძირა. შემთხვევით გადარჩენილი ვაჭარი სახლში ხელცარიელი დაბრუნდა. იქ მას სხვა უბედურება ელოდა: მოვალეებს მისი ქონება გაეყიდათ. უიღბლო ვაჭარი საპყრობილეში ჩააგდეს.

ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფი მისი ცოლი ხელსაქმით მოიპოვებდა არსობის პურს, რითაც თვითონაც ირჩენდა თავს და ქმარსაც კვებავდა. მისი სილამაზე და ახალგაზრდობა შეიქნა მიზეზი შემდეგი შემთხვევისა:

ერთხელ, როცა იგი საპყრობილეში თავის ქმართან ერთად სადილობდა, იქ მივიდა ერთი მდიდარი კაცი, რომელიც ტუსაღებისთვის მოწყალებას გასცემდა. ახალგაზრდა ქალის დანახვისთანავე იგი მისი სილამაზით ისე მოიხიბლა, რომ გულში დაუძღვევლი ვნება აღეძრა. მდიდარი სასწრაფოდ გამოვიდა სატუსაღოდან და მსახური მიუგზავნა ქალს. ისიც სიხარულით გაემართა მდიდართან შესახვედრად, რადგან ეგონა, რომ მას ქრისტეს სახელით მოწყალების გადახდა სურდა. მდიდარმა ჰკითხა, თუ რა დანაშაულისთვის იჯდა ციხეში. ქალმა მოუთხრო, რაც შეემთხვა მის ქმარს. კაცმა მისი ცოლობის საფასურად ქმრის ვალეების გადახდა აღუთქვა. მე დავიფიცე ღვთის საკურთხეველის წინაშე, რომ სიკვდილამდე ერთგული ვიქნებოდი ჩემი ქმრისა – უპასუხა კეთილმსახურმა ქალმა, ამიტომ მე არ შემიძლია განვაგო თავი ჩემი. თუ გსურს, დაიცადე აქ, სანამ ჩემს ქმარს დავეკითხები.

მდიდარი, დარწმუნებული იმაში, რომ საწყალი ადამიანი თავის ღირსებას თავისუფლებაზე გასცვლიდა, დათანხმდა.

ქალმა ყოველივე მოუთხრო ქმარს, რომელმაც მძიმედ ამოიოხრა და ცრემლმორეულმა უთხრა: „ძვირფასო მეუღლე, უთხარი დამნაშავე კეთილისმყოფელს, რომ ჩვენ, როგორც საჭირშიც არ უნდა ვიყოთ ჩავარდნილი, არ გვინდა ღვთის კანონის დარღვევით ვიყიდოთ თავისუფლება. უთხარი მას, რომ ღმერთი ხელავს საპყრობილეში მყოფთ და იცის, თუ რა გზით

გვისხნას. გადაეცი მას, რომ ჩვენ არ ვსასოებთ „მთავართა და ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრება“.

ქალმა დაწვრილებით უამბო მდიდარს ქმრის დანაბარები. მაღალი ზნეობის წყვილი არ შემცდარა – ღმერთს აქვს მრავალი საშუალება ადამიანის გასაჭირისგან ხსნისა. მათ გვერდით იმყოფებოდა ავაზაკი, რომელმაც მოისმინა ცოლ-ქმრის საუბარი. იგი სულით ხორცამდე შეძრა მათმა საქციელმა. მივიდა კედელთან ახლოს და უთხრა: „მე, მრავალი დანაშაულისა და ბოროტების ჩამდენს, დარწმუნებული ვარ, სიკვდილით დამსჯიან. ძალიან გთხოვთ, ჩემი სიკვდილის შემდეგ მიხვიდეთ ამა და ამ ადგილზე, სადაც თქვენ იპოვით მიწაში ჩამარხულ ოქროს. იგი მოპარულია, მაგრამ არ ვიცი ვისგან; თუ განვაცხადებ, მსაჯულებს დარჩებათ, ამიტომ თქვენ აიღეთ და ილოცეთ ჩემთვის ღვთის მიმართ“.

რამდენიმე დღეში დამნაშავე სიკვდილით დასაჯეს. სათნო ქალმა ქმრის ნებართვით მინიშნებული ადგილი ამოთხარა, სადაც დიდძალი განძი იპოვა. დიდი სიფრთხილით წაიღო იგი სახლში და თანდათან ვალების გადახდა დაიწყო. მალე კეთილმსახურმა ქალმა ქმარი საპყრობილიდან გაათავისუფლა.

ცოლ-ქმრის ვალდებულებანი ერთმანეთის მიმართ ქრისტიანულ ოჯახში

ქრისტიანული ოჯახი იდეალური იქნება, თუ მისი წევრები დაიცავენ იმ მოთხოვნებს, რასაც სჯულის კანონები უყენებს მათ, რადგან ამ შემთხვევაში ასეთი ოჯახის დამცველი თავად უფალი და ღედა ღვთისმშობელი არიან. კონკრეტულად **რას ავალდებულებს ეს კანონი მეუღლეებს, რაც მათ სიცოცხლის ბოლომდე უნდა ახსოვდეთ? როგორ უნდა ეწოდნენ ისინი თავიანთ მიერვე არჩეული ოჯახის უღელს.**

ქმარს:

ქორწინებისას შენს სიყვარულსა და ერთობას საფუძვლად დაუდე არა ვნება, არამედ – ქრისტიანული სათნოება, მიეცი ღმერთს აღთქმა, რომ მეუღლეში უმთავრესად მისი სულიერი სილამაზე გეყვარება; ეცადე, რათა მანაც იგივე სილამაზე იპოვოს შენში და პატივი სცეს.

განიჭებს რა ყოვლადსახიერი უფალი მეუღლეს, იგი ღვთისგან ბოძებულ საჩუქრად ჩათვალე, პატივი ეცი მას, როგორც ჭეშმარიტ სიმდიდრეს, რომელიც, წმიდა წერილის სიტყვებით, „*ოქროზე მეტია*“ (ზირ. VII. 19); დატკბი მისი მეგობრობით, როგორც ღვთის უდიდესი წყალობით; ყოველთვის გახსოვდეს, რომ „*სახლი და დოვლათი მამის დანატოვარია, გონიერი ღედაკაცი კი – უფლისგან არის*“ (იგავ. XIX, 14).

ნუ მოექცევი მას როგორც მონას, რომელიც შენი ოქროს ფასად არის ნაყიდი, არამედ იცხოვრე როგორც მეგობართან და თანაშემწესთან. გახსოვდეს უფლის სიტყვები: „*არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს*“ (დაბ. II, 18). შენი ცხოვრების თანამგზავრი, შენი შვილების ღედა, მიზეზი ყველა შენი ოჯახური სიხარულისა, დაკავშირებული უნდა იყოს შენთან არა შიშითა და მუქარით, არამედ ნაზი სიყვარულით – ისეთი სიყვარულით, რომელსაც შენთან მცირე განშორებაც კი მწუხარებით აღავსებს. რა სიხარული

უნდა განიცადოს ქმრის გულმა, როცა იცის, რომ ცოლს იგი კი არ უყვარს, არამედ მხოლოდ ეშინია? უფალმა ქალი შექმნა ადამის ნეკნისგან, სხეულის ნაწილისგან, რომელიც გულთან ახლოს არის. არ დაგავიწყდეს უფლის მცნება: „*გიყვარდეს მოყუასი შენი ყოვლითა გულითა შენითა*“.

გაუფრთხილდი შენს მეუღლეს, როგორც საკუთარ ჯანმრთელობას, მისი ავადმყოფობა შენს ავადმყოფობად ჩათვალე, მისი სიმწირე – შენს სიმწირედ, დანადვლიანდი მის სისუსტეებზე, ისე როგორც შენს საკუთარზე. დაუფიქრდი მისი სქესის სინაზეს და ნუ იქნები ზედმეტად მკაცრი მისი საქციელისადმი, გახსოვდეს საკუთარი არასრულყოფილება. ნუ მოითხოვ მისგან მორჩილებას მკაცრი სიტყვებითა და გამოსედვით, არამედ გამოასწორე იგი ისე, როგორც საკუთარი თავი.

უმიზეზოდ ნუ ეწინააღმდეგები მის მოთხოვნებებს. იგი იზიარებს შენს მწუხარებას, დაე, გაიზიაროს შენი სიხარულიც. ის შენი თანამშემწეა, ნუ წაართმევ უფლებას შენთან ერთად მართოს ოჯახი, იყოს შენი რჩევების თანამონაწილე. ანდე მის გულს შენი ზრახვანი: ის წრფელია, არ მოგატყუებს. ცოლ-ქმრული მოვალეობის სწორედ ამ მხარეზე მიგვითითებს პეტრე მოციქული: „*ქმარნი ეგრეთვე თანა-მკვდრ იყვენით შენდობით, ვითარცა უუძღურესსა ჭურჭელსა, დედათა მისცემდით პატივსა, ვითარცა თანა-მკვდრთა მადლისა ცხორებისათა, რადთა არა დაჰბრკოლდებოდინ ღოცვასა თქუენსა*“ (1 პეტ. III, 7). ცოლის სისუსტეების მიუხედავად, ყოველთვის პატივი მიაგე მას, რათა შვილებმაც მეტად დააფასონ. თუმცა, იგი „*უუძღურესი ჭურჭელია*“, მისი ღოცვა ოჯახის კეთილდღეობაზე ისეთივე ძლიერია, როგორც შენი.

მიბაძე პირველ ქრისტიანებს, რომელთა ოჯახურ ცხოვრებას ასე ღამაზად აგვიწერენ მაშინდელი მწერლები: „*როგორი სათნო კავშირი აერთიანებს ღვთისმოსავ ცოლ-ქმარს! ერთი იმედი, ერთი სურვილი, ერთი მოვალეობა, ერთნაირი ქცევა; ისინი, როგორც და-ძმანი, როგორც სხეულითა და სულით განუყრელი მეგობრები, ერთად ღოცულობენ და ერთად ზრუნავენ ოჯახზე, ერთმანეთს ხელმძღვანელობენ, ახსენებენ შეცდომებს, განუყრელნი არიან ეკლესიასა და ოჯახში. არ უმაღავენ ერთმანეთს არც სიხარულსა და არც მსახურებას, ერთი მეორისგან განზე არ დგება, არ აწყენინებენ ერთმანეთს. ერთად მოინახულებენ ავადმყოფებს და ეხმარებიან გაჭირვებულებს. ვასცემენ მოწყალებას ისე, რომ არ სწუხან დანაკლისზე, ეჭვი არ ეპარებათ თავიანთი სინდისის სიწმინდეში, ზრუნავენ სახლის მშენებლობაზე, სიტყვას არ უბრუნებენ ერთმანეთს, არ ეჭვიანობენ, არ ეშინიათ ერთმანეთს გაუმხილონ რაიმე სურვილი. ერთად აღიღებენ და მადლობენ ღმერთს, ერთმანეთს წაახალისებენ რწმენასა და ღვთისმოსაობაში. ხელავს რა ერთგულ წყვილს, თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე ხარობს და უგზავნის მათ მშვიდობასა და კურთხევას*“. ერთი სიტყვით, თუკი ამქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება არსებობს, იგი უპირველესად ღვთიეკურხეულ მეუღლეებს შორის სუფევს.

შენი სიმშვიდე და შენი ოჯახის ბედნიერება მოითხოვს, რომ ღვთის მიერ ბოძებული ძალაუფლება ხელიდან არ გაუშვა: „*ქმრისკენ გექნება ღტოლვა, ის კი იბატონებს შენზე*“ (დაბ. III, 16). მაგრამ ისე მოაწყვე, რომ შენი პირველობა მისთვის იყოს არა გულსატკეპნი,

არამედ – შენი უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი. დაიცავი მისი გული ამოებისაგან, მავნე მისწრაფებებისაგან, როგორც ნაზი და სათუთი ყვავილი. ყურადღება მიაქციე, რათა თავისი ქცევით არ დაჩრდილოს შენი დიდება, თავისი ფუფუნებით არ გააღატაკოს შენი შვილები, წუთისოფლის ორომტრიალში თავისი დაბნეულობით არ დაარღვიოს შენი ოჯახი. მაგრამ ამ მზრუნველობით „მეტისმეტად ნუ იბოროტებ, არ გაბრიყვდე – რად გინდა, რომ უდროოდ მოკვდე?“ (ეკლ. VII, 17).

გაფრთხილდი, რომ შენი ზრუნვა მის პატიოსნებაზე შესამიან ეჭვიანობად არ გადაიქცეს: გახსოვდეს, ეს ჭია ფერფლად აქცევს მშვენიერ სხეულს, აიძულებს მას განუწყვეტილად იტიროს თავისი უბიწო გულის შეურაცხყოფის გამო, ან იმ ზომამდე მიიყვანს, რომ შეგიძულოს და საბოლოოდ დამნაშავედაც აქციოს ქალი. ნუ აიძულებ მეუღლეს სძაგდე. ნუ შეურაცხყოფ საკუთარ თავს. უმჯობესია, თვითონ იყო ერთგული, მხოლოდ ეს არის ყველაზე სანდო საშუალება საიმისოდ, რომ გეყავდეს ერთგული მეუღლე. „როგორ ბედავ საკუთარი ცოლისგან უმანკოების დაცვა მოითხოვო, თუკი თავად თავაწყვეტილ ავხორცობას ეძლევი? რა უფლებით მოითხოვ მისგან იმას, რასაც შენში ვერ ხედავს? გინდა, რომ იგი უბიწო იყოს? მაშ, ჯერ თვითონ დაიცავი უბიწობა“, – ამბობს გრიგოლ ღვთისმეტყველი.

გაფრთხილდი, რათა შენი მომჭირნეობა უსიამოვნო სიძუნწედ არ გადაიქცეს, ხოლო სიმტკიცე (?) – სოფლისგან პირქუშ განდგომად. კეთილგონიერი ქმარი უნდა ხარობდეს, როცა ცოლი მისთვის მოირთვება. დიდი სარგებელი აქვს გასეირნობას, მეგობრულ სადილზე ან საუბრებზე დასწრებას, თუ ეს ზომიერების ფარგლებს არ სცილდება, რადგან ამის შემდეგ მეუღლეები დიდი სიამოვნებით რჩებიან მარტო.

ეცადე, ხშირად იყო სახლში, რათა მეუღლე დარწმუნებული იყოს, რომ მასთან ყოფნა და საუბარი შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ერთსულოვანი მეუღლეები იშვიათად ტოვებენ ერთმანეთს, გარდა იმ გამონაკლისისა, თუ ამას სამშობლოს სამსახური ან ოჯახის საკეთილდღეო საქმეები მოითხოვს. უგრძნობი და უგუნური ის, ვინც აუცილებლობის გარეშე ხშირად და დიდი ხნით ტოვებს მეგობარს, რომელიც მზად არის უკანასკნელი ამოსუნთქვა შესწიროს მას.

და ბოლოს, მოისმინე კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დარიგება: გპუღდეს იმ ქმრების საქციელი, რომლებიც თვითონ უწყობენ ხელს თავიანთი ცოლების ზნეობის გახრწანას. ეს განსაკუთრებით ქორწინების პირველ წლებში ხდება. მდებარეობითი სქესის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ქალიშვილების უმრავლესობა უმანკო გულითა და ღვთისმოსავი სულით თხოვდება. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქმარი, იმის ნაცვლად, რომ გაუფრთხილდეს ამ სიკეთეს, როგორც ძვირფას საუნჯეს, თვითონ უნერგავს ცოლს მავნე ჩვევებს და ამავე დროს აგდებულად მოიხსენიებს რელიგიასა და ღვთისმოსაობის გრძნობას. როდესაც შეიძლება მონიანი კიდევ წინდაუხედავმა ქმარმა, მაგრამ უკვე გვიან იქნება. სიყვარულის გამო ცოლს ქმრის რწმენა ჰქონდა, ახლა კი იმდენად აღარ სჯერა მისი. საშინელებაა აცდუნო მოყვასი საზოგადოდ, მაგრამ უფრო საშინელია ზნეობრივად დასცე ის, ვისზედაც შენი ოჯახის სიწმინდე და კეთილდღეობაა დამოკიდებული. ბედნიერი ხარ, თუ ღვთისმოსაობაში ცოლი შეგხ-

ვდა. ყური არ უგდო სხვათა, ხშირად მაღალი საზოგადოების აზრს, ვინც უტიფრად კიცხავს და ზემოდან დასცქერის ადამიანთა ღვთისმოსიანობას. სწორედ ეს სათნოება დაიცავს შენს მეუღლეს მრავალი შეცდომისგან.

რაც შეეხება **ქალს**, მას ეკლესია ასე მიმართავს:

სუსტო და ამავე დროს საყვარელო არსებავ! ხედავ რა ღვთისგან ბოძებულ შენს ყველა უპირატესობას ოჯახში, ეცადე გამოიყენო და გაფრთხილდი, ხელიდან არ გაუშვა ისინი. ეს უპირატესობანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლია შეინარჩუნო, თუ მკაცრად აღასრულებ ღმრთის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მეუღლე, შენი უპირველესი მოვალეობა ქმრის მორჩილებაა. ნუ სწუხარ: შენი მორჩილება არ არის მონური. ეკლესია, როგორც სასძლო, ემორჩილება თავის ღვთაებრივ სასიძოს, რათა მთელი სულითა და გულით უყვარდეს იგი, გრძნობს მისი სიყვარულის აუცილებლობას. იგია მისი მხსნელი და არ შეუძლია მის გარეშე ცხოვრება. ქმარს ისე უნდა უყვარდე, როგორც ქრისტეს უყვარს თავისი ეკლესია. შესაბამისად, შენც უნდა ემორჩილებოდე მას, როგორც ქრისტეს ემორჩილება ეკლესია: *„რამეთუ ესრეთვე ოდესმე წმიდანი იგი დედანი, რომელნი ესვიდეს ღმერთსა, შეიმკობდეს თავთა თვისთა და დამორჩილებულ იყვნეს თვისთა ქმართა, ვითარცა-იგი სარრა ერხდა აბრაჰამს და უფლით ხადინ მას, რომლისა-იგი იქმნენით შვილ კეთილის მოქმედ და ნუ გეშინინ ნუცა ერთისა შიშისა“* (1 პეტ. III, 5-6). შენი ასეთი ძალდაუტანებელი მორჩილება ქმრის გულში ურყევ ერთგულებას ბადებს. ასეთი თვინიერი მორჩილებით შენი ბედნიერება განუზომლად იზრდება და ქმარსაც გადაეცემა.

სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნე მისდამი ერთგულება. შენი ღირსება განუყოფელია უმანკოებისგან: იყავი შენი პატიოსანი სახელის თავგამოდებული დამცველი, შენი უკრძალველობით ნუ დაჩრდილავ მას. ნუ მოითმენ პირფერობას. ის, ვინც ძალიან აქებს შენს სიღამაზეს, გონიერებასა და მგრძობელობას, საშიშია შენთვის; მისი მოსმენით დიდ საფრთხეში იგდებ თავს. შენ იცი საკუთარი უმანკოება, მაგრამ მაინც მოერიდე უმცირეს მიზეზსაც კი, რამაც შეიძლება შენს ქმარს ეჭვიანობის საბაბი მისცეს. უნებურმა საცდურმა შეიძლება საფრთხეში ჩაგაგდოს შენც, მეუღლეცა და შვილებიც.

ჩათვალე, რომ შენი ერთგულება მხოლოდ უმანკო და უსაცდურო ცხოვრების წმიდა მოვალეობა კი არ არის, არამედ – გულითადი რწმენა, რომ შენ, როგორც მეგობარსა და თანაშემწეს, არა გაქვს არანაირი საიდუმლო, რომლის ქმართან გამხელაც შეგრცხვებოდა ან შეგეშინდებოდა.

ნუ იამაყებ მის წინაშე შენი სიმკაცრით, ნუ ეცდები, მოიპოვო მასზე უპირატესობა. მოციქული ამბობს: *„დედაკაცი მდუმრიად ისწავებდინ ყოვლითა დამორჩილებითა. მოძღურებად დედათა არა უბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რადთა იყოს იგი მეუღროებით“* (1 ტიმ. II, 11-12). შენ ნახე, რომ ქმარი არის ცოლის თავი, მაგრამ არა ბატონი: აქედან გამომდინარე, განსაჯე, შეიძლება თუ არა იბატონო ქმარზე. „თუ ქრისტიან მეუღლეებს შორის აუცილებელი პირობაა ის, რომ მათ ერთმანეთზე რაც შეიძლება ნაკლებად იბატონონ, შენ ვალდებული ხარ პატივი მიაგო ქმარს, რათა მთელმა ოჯახმა შენგან ისწავლოს ოჯახის

უფროსის პატივისცემა“, – ამბობს ნეტარი იერონიმე. ორი უფროსი მხოლოდ შფოთსა და უწესრიგობას ქმნის. ცოლმა ქმარზე უპირატესობა შეიძლება მხოლოდ ოჯახში წესრიგის დამყარებითა და კეთილგონივრული მომჭირნეობის დაცვით მოიპოვოს.

ეცადე, იმ უმნიშვნელო კინკლაობისას, რომელიც შეიძლება თქვენს შორის მოხდეს, არ განრისხდე, უფრო მეტად უფროსილდი მის განაწყენებას: შენი სიმშვიდით დააცხრე მისი სიფიცხე, შენი მხიარულებით შეცვალე მისი პირქუშობა, შენი სითბოთი შეამსუბუქე მისი გულცივობა. მას შეიძლება აჩვენო შენი წყენა, მაგრამ არა მრისხანება. უთანხმოების შემდეგ ისე მოეპყარი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს თქვენს შორის. არდამთმობი, ბუზღუნა და უთავბოლო ცოლი ჩვეულებრივ ჩივის, რომ ქმარს არ უყვარს იგი. მაშინ როდესაც სწორედ ამ მანკიერებით აიძულებს ქმარს სძულდეს იგი. ასეთი ცოლები ყოველთვის ჩივიან თავიანთი ქმრების ჭირვეულობაზე. როცა ხედავ, რომ შენი ქმარი გაგულისებულია, რატომ არ დუმხარ? შენ, მშვენიერო და უბრალო ყვაგილო, ნუ ცდილობ იყო კედარი: დიდილო ძლიერი ქარის დროსაც კი ნადგურდება. იყუნე, როცა შენი ქმარი მრისხანებს და გრიგალი გვერდს აგივლის. „როცა ვხედავ, რომ ჩემი ქმარი გაბრაზებულია, ვწუმდები და გულში ვლოცულობ, რათა ღმერთმა სულის სიმშვიდე დაუბრუნოს“ – ასეთ რჩევას აძლევს ნეტარი ავგუსტინეს დედა ფიცხი და ჭირვეული ხასიათის მქონე ქმრების მეუღლეებს.

ეცადე ყოველმხრივ დაფარო შენი მეუღლის ნაკლი, რაოდენ დიდიც უნდა იყოს იგი. წესრიგი სახლში, სიმშვიდე ოჯახში, მისი კეთილი სახელი, რომელიც გარკვეულწილად შენს ქცევასა და მეოჯახეობასთან არის დაკავშირებული, შენი ქმრის სათნოებად მითვალე. ეს ის იარაღია, რომელსაც შეუძლია შეარბილოს მისი ხასიათის სიმკაცრე და გაყინულ გულში სიყვარულის ცეცხლი ააგიზგიზოს, ოჯახის უსულგულო უფროსი თავის საქციელზე ჩააფიქროს. თავის ქება ყველა შენს კეთილ განზრახვას წარხოცავს, რაოდენ კარგიც უნდა იყოს იგი. სახიფათოა შელახო ყველაფერში შენი ტოლი და სწორი მეგობრის თავმოყვარეობა. ორმაგად სახიფათოა შეურაცხყო ისეთი მეგობარი, რომელსაც მუდამ ახსოვს თავისი უფლება – იყოს ცოლის თავი.

ღვთისმოსიში მეუღლის მორჩილებითა და სიმდაბლით რომ შეიმოსები, ნუ იფიქრებ, რომ მუდამ ყველაფერი შენი ქმრის სურვილით უნდა გააკეთო უსიტყვოდ. გრიგოლ ღვთისმეტყველი თავისი დედის, წმიდა ნონას შესახებ გვიამბობს, რომ იგი მხოლოდ საშინაო საქმეებში კი არ იყო თავისი ქმრის დამხმარე, არამედ, როგორც ხელმძღვანელი, კეთილი სიტყვითა და საქმით არიგებდა მას. იგი მორჩილებდა მეუღლეობის კანონს, მაგრამ იმავდროულად არ ეშინოდა თავისი ქცევითა და რჩევებით ჭკუა ესწავლებინა ქმრისათვის სარწმუნოებისა და ღვთისმოსიშობის საქმეში. ასევე იქცეოდა ღვთისმოსავი ფლაკილა – იმპერატორ თეოდოსი დიდის მეუღლე. ერთხელ, კარისკაცების მიერ წაქეზებულმა იმპერატორმა გადაწყვიტა არიანული ეკლესიის მონახულება და მწვალებლური ქადაგების მოსმენა. ფლაკილამ ძალ-ღონე არ დაიშურა ქმრის დასარწმუნებლად, ხელი აელო საშიშ ცნობისმოყვარეობაზე.

„არ არსებობს უფრო სანდო დამრიგებელი, ვიდრე ღვთისმოსავი ცოლი“ – ამბობს იოანე ოქროპირი. რასაც იგი მოინდომებს, ყველაფერს აღწევს. მისი რჩევები ამოუხსნელი სიტკბოების მომცველია, რადგანაც ვინც მათ უსმენს, უყვარს მისი მრჩეველი არსება. თუ კარგ მეგობრებს შეუძლიათ კეთილი გავლენა მოახდინონ ჩვენს ხასიათზე, რაოდენი სიკეთის მოცემა შეუძლია განუყოფელ, ძვირფას მეგობარს – ცოლს.

იცხოვრე წმინდად, იყავი გულკეთილი და თავმდაბალი, დაემორჩილე შენს ქმარს ყოველ კეთილ და უწყინარ საქმეში და ისიც არ უკუაგდებს შენს რჩევას. ღვთისმოსავ ცხოვრებასა და კეთილგონიერულ ქცევას ისეთი ძალა აქვს, რომ ყოველგვარ უსჯულოებას დაამარცხებს. ერთმა მოწამემ სწორედ ამ კურთხეული საშუალებებით შესძინა ქრისტეს არა მარტო თავისი ქმარი, არამედ კერპთაყვანისმცემლობაში აღზრდილი შვილიც.

პავლე მოციქული ოჯახსა და სახლზე მზრუნველობას ცოლს ავალებს: *„მნებავს უკუუჭაბუკთა ქორწინებად, შეილთა სხმად, სახლისა პერობად და არცა ერთისა მიზეზისა ცემად მკვლობისა ადგილად ვინებისა“* (1 ტიმ. V, 14).

– ჩვენი ცხოვრება, – ამბობს იოანე ოქროპირი, – ორგვარი საქმისგან შედგება – საზოგადოსა და კერძოსგან, ამიტომ ღმერთმა გაყო ისინი და ერთი ცოლს მიანდო, მეორე კი – ქმარს: პირველს – საზოგადო საქმე, ხოლო მეორეს – ოჯახზე ზრუნვა. ოჯახის ბარაქა და დოვლათი კეთილგონიერ დიასახლისზეა დამოკიდებული. უზრუნველი ქმარი ბევრ ოჯახში სიავეს თესს, მაგრამ ეს სიავე რამდენადმე გამოსწორდება მეუღლის მზრუნველობით და ოჯახიც კურთხეული გახდება. მაგრამ სადაც უზრუნველი ცოლი ბატონობს, იქ ბოროტება სუფევს.

აუცილებლობის შემთხვევაში ნუ გაგიძნელებს შენს ქონებასთან განშორება. თუ ქმარი გაჭირვებისას ოჯახიდან რაიმე ნივთს გაყიდის, თვით შენს სამკაულსაც კი, ნუ შეეწინააღმდეგები. შენი მორჩილება დაამტკიცებს ქმრისადმი სიყვარულს და მასაც გაუძლიერებს ამ გრძნობას. სულიერი სილამაზით შემკობილს – ძვირფასი სამოსისა და სამკაულის გარეშეც არ მოგაკლდება მშვენიერება.

დაე, შენი ნაზი სიყვარული და ზნეკეთილობა ქმრისადმი ამართლებდეს წმიდა ბრძენის მიერ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტებას: *„ერთგული ცოლი ახარებს თავის ქმარს და მის წლებს სიმშვიდით აღავსებს“* (ზირ. XXVI, 2). რაოდენ სასიამოვნოა, თუ შენი სულიერი მშვენიერების მაყურებლები იტყვიან: *„როგორც ამომავალი მზეა უფლის ზესკნელში, ასევეა კარგი ცოლის სილამაზე მის გამართულ სახლში“* (ზირ. XXVI, 16). ამ სილამაზეს მოგაწერს შენ პავლე მოციქული: *„ევრეთვე დედათად წესიერებისა სამკაულითა მორცხუედ და ღირსებით შემკობად თავთა თვსთა, არა განთხზვითა, ანუ ოქროთა ანუ მარგალიტითა ანუ სამოსლითა დიდფასისადათა, არამედ, რომელი-იგი პშუენის დედათა, რომელთა აღეთქუას ღმრთის მსახურებად საქმეთა მიერ კეთილთა“* (1 ტიმ. II, 9-10).

არ იფიქრო, რომ მოციქულთა სწავლებით შენ ყველა მორთულობა გეკრძალება. მარგალიტებით შემკობილმა მრავალმა ქალმა დაიმკვიდრა ცათა სასუფეველი. მოციქულთასწორი ელენე, ღვთისმოსავი ფლაკილა, წმიდა პულქერია და სხვა ქრისტიანები ირთვებოდნენ

ძვირფასი ტანსაცმლით, მაგრამ ცხოვნიდნენ, რადგან სულიერი სამოსით უფრო მეტად იყვნენ შემკულნი.

შენც მიბაძე მათ. დაე, ძოწეული გახსენებდეს შენს კდემამოსილებას, როგორც უპირველეს ღირსებას, რომლის გარეშეც ყოველი ქალი არარაობად იქცევა. დაე, დიადემა, რომელიც შენს თმებს ამშვენებს, გაუწყებდეს, რომ „ღირსეული დედაკაცი ქმრის გვირგვინია“ (იგავ. XII, 4). გაიკეთებ რა ძვირფას საყურეს, დაახშე ყურები იმ სააღერსო და მაცდუნებელი საუბრისათვის, რომლის მოსმენაც შენი სქესისთვის საზიანოა. ფერად მარგალიტებთან ერთად ქედზე დაიდგი „უღელი ჩემი, რამეთუ მშუდ ვარ და მღაბალ გულითა“ (მათ. XI, 29), როგორც ბრძანებს უფალი. შენს ხელებზე მოეღვარე ოქროს ბეჭდები დაე, შეხსენება იყოს შენთვის, რომ ამ ხელებს მოწყალების გაღების ათასი საშუალება აქვს. ძვირფასი ბეწვეული, რომელშიც ნებივრობ და ზამთარი ზაფხულისგან ვერ განგისხვავებია, დაე, გახსენებდეს, რომ შენი ქრისტესმიერი ძმები და დები სიცივით იხოცებიან. დაბოლოს, ამქვეყნიური სიამეებით ტკბობისას არ დაგავიწყდეს, ვინ და რისთვის მოგანიჭა შენ ეს სიკეთე. აი, გრძნობები, რომლებიც ყველა სამოსელს უცოდველად აქცევს.

„როგორ აღვწერო ბედნიერი ქორწინება, ეკლესიით განპირობებული, მისი ღოცვებით გაბრწყინებული, ანგელოზთა მიერ ზეცაში დაწერილი, მამა ღმერთის მიერ ნაკურთხი. ცნობილია, რომ ღვთის შვილები თავისი მამის თანხმობის გარეშე არ ქორწინდებიან. როგორი საამო უნდა იყოს კავშირი, რომელიც ორ გულს ერთი იმედით, ერთი რწმენით, ერთი კანონით აერთებს! ისინი არიან როგორც ერთი მამის შვილები, როგორც ერთი ბატონის მონები და არ არის მათ შორის არანაირი უთანხმოება და განყოფა, არც სხეულსა და არც სულში. ისინი – ორნი ერთ ხორცში არიან და სადაც სხეული მთლიანია, იქ სულიც ერთიანია. ისინი ერთად ღოცულობენ, ერთად იდრეკენ მუხლს, ერთად მარხულობენ და ამხნევენ ერთმანეთს“.

ტერტულიანე

შესაძლებელია თუ არა ცხოვრება ღმერთის გარეშე?

რატომ ანიჭებს უფალი რწმენას ეგოდენ მნიშვნელობას? რატომ არის მისთვის ასე სათნო მისი მცნებებით მცხოვრები საზოგადოების ეს პატარა ქვაკუთხედი?

ოჯახი საფუძველი და საყრდენია არამარტო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების, არამედ – საერთოდ ზნეობრივი ცხოვრებისა. განა ოჯახში არ იღებს საწყისს ადამიანის სულიერი განვითარება?! ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების და სახელმწიფოს ძირითად ერთეულს. იგი აძლევს ადამიანს ზნეობრიობის პირველ გაკვეთილებს, ავითარებს მასში ამა თუ იმ ჩვევებს, აძლევს მიმართულებას მის ქცევას: პირველად ოჯახში სწავლობს ადამიანი სიყვარულს, სიბრალულს, თანაგრძნობას, ღოცვას. რელიგიურ-ზნეობრივი მიმართებით ოჯახი ქრისტეს პატარა ეკლესიაა, ან პავლე მოციქულის სიტყვებით, „საშინაო ეკლე-

სიაა“, სადაც ბავშვი უფროსების მაგალითზე სწავლობს ქრისტიანულ რწმენას, სასოებას და სიყვარულს, მთელი სისავსით აღიქვამს ბედნიერებას მშობლებისადმი თავისი გულწრფელი სიყვარულით, ერთგულებითა და ბავშვური მორჩილებით – ასევე ბედნიერია მშობლების მხრივ გულწრფელი სიყვარულითა და მასზე ზრუნვით. რაც უფრო მაღალია ოჯახის ზნეობა, მით უფრო სასიკეთოა მისი ზემოქმედება მთელ საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე, რადგან თითოეული კეთილი ოჯახი საზოგადოებასა და სახელმწიფოს ზნეობრივად აღზრდილ, პატიოსან და წესიერ მაშვრალებს აძლევს, და პირიქით, ზნეობრივ აშლილობას, ცალკეული ოჯახის დაშლას თანდათანობით და შეუქმნევლად შეაქვს საზოგადოებასა და სახელმწიფოში ზნეობრივი გახრწნის კვალი. ამგვარად, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესრიგი, კეთილი წყობა უპირველესად და ძირითადად დამოკიდებულია მშვიდ, წყნარ და ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებაზე, მის კეთილ წყობაზე.

ეს რომ ასეა, დააკვირდით იმ უბედურ ოჯახებს, სადაც ღვთის გარეშე აწყობენ ოჯახური ცხოვრების კერას და დაინახავთ ყველა იმ საშინელ შედეგს, რაც მოსდევს ურწმუნობას ოჯახური ცხოვრებისთვის.

სწორედ ურწმუნობისგან, უღმერთობისგან ეცემა და ეცემა თანამედროვე ოჯახის ზნეობრივი მდგომარეობა. დღეს, საზოგადოებაში გავრცელებული ათეისტური მრწამსისა და შეხედულებების ზეგავლენით, ქორწინება, რომელიც საფუძვლად უდევს ოჯახს, და თავად ოჯახი, განიცდიან თავდასხმებსა და აბუჩად აგდებას ურწმუნოების მხრიდან. ამჟამად, კანონიერ ცოლ-ქმრობას ბევრი ცრურწმენად მიიჩნევს და ხშირად არაკანონიერ თანაცხოვრებას ამჯობინებს. ქადაგებენ თავისუფალ სიყვარულს, თავისუფალ გრძნობას, მეუღლის ერთგულების დაღატკს, განქორწინებას. ეს ყველაფერი ღამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თანამედროვე ოჯახურ ცხოვრებაში. ყოვლად უდანაშაულო ბავშვებს, დამნაშავეობრივი სიყვარულის ნაყოფებს სხვისი გარყვნილების გამოსასყიდ მსხვერპლად ხდიან და ან ბედის ანაბარა ტოვებენ, ან უბრალოდ კლავენ. ოჯახებში არ არის მაღლიანი ქრისტიანული აღზრდა, ბავშვებს ხშირად არა აქვთ ღვთის შიში, მშობლებისა და გამზრდელების პატივისცემა. ადრე, ძალიან ადრე, იგებენ დღევანდელი ბავშვები მთელ ცხოვრებისეულ სიბინძურეს... ერთი სიტყვით, თანამედროვე ოჯახი იხრწნება, ეცემა და ბევრისთვის ხდება არა მშვიდი და წყნარი კუთხე, რომელიც გიზიდავს თავისი სუფთა სიხარულით, არამედ – აუტანელი ტვირთი, რომლისგანაც ყოველნაირად ცდილობენ განთავისუფლებას.

ოჯახი კი იმიტომ იხრწნება და ეცემა, რომ სულ უფრო და უფრო მცირდება მორწმუნე მამების, მორწმუნე ცოლებისა და დედების და, მათთან ერთად, მორწმუნე ბავშვების რაოდენობა. და როცა სახლებიდან და ოჯახებიდან საერთოდ გაქრება ღვთის რწმენა, მაშინ, ერთი ქრისტიანული აპოლოგეტის თქმით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის უკანასკნელი საათი ჩამოკრავს ზარს.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების კეთილი წყობა, წესრიგი და საერთოდ კეთილდღეობა დამოკიდებულია კეთილ ზნეობრივ ცხოვრებაზე ცალკეული ოჯახებისა, რომლებისგანაც იქმნება სახელმწიფო. თავის მხრივ,

მადლმოსილი ოჯახური ცხოვრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ღმერთთან ერთად, მაშასადამე, ღვთის გარეშე ვერანაირი ადამიანური ძალაუფლება, ვერანაირი მშვენიერი ადამიანური კანონები ვერ დაამყარებენ კეთილზნობრივ წყობასა და წესრიგს ვერც ოჯახურ და ვერც საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოს-მორალისტი პლუტარქე ამბობდა, რომ უფრო სწრაფად შეიძლება ქალაქის აშენება ჰაერში, ვიდრე სახელმწიფოს შექმნა რელიგიის გარეშე. ისტორია, ეს მოუსყიდველი მოწმე, უცილობელი ფაქტებით ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას. თუნდაც, მაგალითისთვის გადაშალეთ მისი ის საშინელი ფურცლები, როდესაც საფრანგეთს ათეისტები განაგებდნენ. მათ დაადგინეს ტახტიდან ჩამოეგდოთ როგორც ზეცის მეუფე – ღმერთი, ასევე – მიწიერი მეფეები. ჩვენ ვიცით, რომ ათეისტურმა საფრანგეთმა მაშინვე თავი მოკვეთა მშობლიურ მეფეს, მოსპო ქრისტიანული კულტი და იგი გონების კულტით შეცვალა. ერთი ათეისტის ცოლი „გონების ქაღალმერთის“ სახელით ბრბომ ველური ცეკვით საზეიმოდ შეიყვანა ღვთისმშობლის ტაძარში, დასვა ტახტზე და პატივი მიაგო მუხლის მოყრით, უგუნური სიტყვებითა და უაზრო სიმღერებით. საზოგადოებრივი წესრიგის შესანარჩუნებლად სისხლმწიფურებულმა ათეისტებმა შემოიღეს ტერორი და ე.წ. „სამოქალაქო სათნოებანი“. რადგან ეს სათნოებანი მხოლოდ სახელმწიფოს ხელისუფლების, თანაც თვითმარქვია ხელისუფლების, მითითება იყო, მათ დასაცავად ნაჯახებსა და გილიოტინას იყენებდნენ. ღმერთო! რამდენ ადამიანს მოკვეთა მაშინ თავი უღვთო საფრანგეთმა! საშინელი დრო იყო...

მაგრამ ასეთია უღვთო ცხოვრების უღმობელი ლოგიკა.

„ჰუმანიზმს, რომელიც ღმერთს უარყოფს, ლოგიკურად მიყვავართ არაადამიანურობასთან, ცივილიზაციას ქრისტესმიერი განათლების გარეშე – გაველურებასთან, პროგრესს ქრისტეს გარეშე – რეგრესთან, თავისუფლებას, რომელშიც არ არის ღვთიური სული – დესპოტიზმსა და ტირანიასთან“. – ამბობს თეოდორე დოსტოვესკი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ღვთის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ადამიანის პირადი, ოჯახური ცხოვრება, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მადლმოსილი, ბედნიერი ცხოვრება.

რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს ურწმუნოების სული დღეს, რარიც დაცემულიც უნდა იყოს ღვთის რწმენა თანამედროვე საზოგადოებაში, მაინც მტკიცედ გვწამს, რომ ადამიანში ღვთიური ნაპერწკლის ჩაქრობას ვერანაირი უსჯულოება ვერ შეძლებს.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თავად ცნობილი ათეისტებიც ყოველთვის არ იყვნენ ერთგულნი ღმერთის უარყოფაში. გაიხსენეთ ფრანგი ფილოსოფოსი დიდრო. იგი მთელი ცხოვრება ცნობილი იყო ღვთის უარყოფით, თუმცა ხშირად მასპინძლობდა ერთ სასულიერო პირს. საკუთარი მეგობრების გასაკვირად, ამ ურწმუნომ თავისი ერთადერთი ქალიშვილის აღზრდის მონაწილედ წმინდა ბიბლია აქცია.

ანდა ათეიზმის ფრანგი ლიდერი ლიტრე. . . მძიმედ ავადმყოფმა სიკვდილის წინ ღრმად შეინანა თავისი ურწმუნოება და ასე განსაჯეთ, იგი წმიდა საიდუმლოთა მიღების ღირსიც კი შეიქნა. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, რომ თავად შტრაუსი – გერმანელი ფილოსოფოსი,

ქრისტიანობის ეს მოსისხლე და შეურიგებელი მტერი, ბოლოს ღრმად ნანობდა თავის დაკარგულ რწმენაზე. აი, რა შემზარავი ხატოვანებით გადმოსცემს იგი ურწმუნო ადამიანის მდგომარეობას: „ღვთის რწმენის დაკარგვის შემდეგ თქვენ ხედავთ საკუთარ თავს რაღაც შემზარავი მსოფლიო მანქანის შუაში, რომელსაც რკინის კბილანა თვალები აქვს და ხმაურით ბრუნავს თქვენს გარშემო. თავისი მძიმე უროებით გამაყრუებლად ურტყამს თქვენს მახლობლად. ამ საშინელ მექანიზმში თავს აღიქვამთ უმწეოდ და უქომაგოდ, არცერთ მომენტში არა ხართ უზრუნველყოფილი, რომ სრულიად უმნიშვნელო გაუფრთხილებლობითაც კი არ მოგხედებათ რომელიმე კბილანა თვალი და არ დაგგლეჯთ ნაფლეთებად ან არ მიგაჭყლეტთ რომელიმე ურო.“

ეს მან საკუთარ თავზე გამოსცადა. ამიტომაც ნანობდა ასე ღრმად განგების დაკარგულ რწმენაზე. მხოლოდ ღმერთი ავსებს ჩვენს ცხოვრებას ჭეშმარიტი შინაარსით და აძლევს მას ღრმა აზრსა და მნიშვნელობას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თავად უღმერთობის ნაფიცი წარმომადგენლები თავიანთი სევდიანი გამოცდილებით ამტკიცებენ, რომ ცხოვრება ღმერთის გარეშე შეუძლებელია.

რათა ოჯახი აუტანელი ტვირთი კი არა, სიხარულის ბუდე იყოს

ოჯახის უმთავრესი ფუნქცია – შვილების ჭეშმარიტ ქრისტიანებად აღზრდა, მხოლოდ იმგვარ ოჯახშია შესაძლებელი, სადაც ღვთიური სული და მასთან ერთად სიმშვიდე ტრიალებს, სადაც ყველა ერთხელ და საბოლოოდ დადგენილ იერარქიას ემორჩილება: ბავშვები ემორჩილებიან მშობლებს, ცოლი ემორჩილება ქმარს, ქმარი ოჯახის თავი, პატრონი და დამცველია.

ადამიანი რასაც ეძებს, იმას ჰპოვებს, რასაც უფლისგან წმინდა გულით ღოცვით გამოითხოვს, მიიღებს. ამიტომაც თუ ოჯახის წევრები ეკლესიურად ცხოვრობენ, ყოველდღიურად სათანადო დროს უთმობენ ღოცვას, ოჯახის მთლიანობასაც ინარჩუნებენ და პრობლემებსაც ერთობლივი ძალით უმკლავდებიან.

მშობლის მამალითი ყველაზე კარგი აღმზრდელია მთავარეპისკოპოს ლუკას (ვოინო-იასენეცი) ქადაგებიდან

„ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-პყოთ ერთი მცირეთა ამათგანი“, – გახსოვთ ქრისტეს ეს სიტყვები? გიფიქრიათ, რომ ეს პირდაპირ და უშუალოდ თქვენ გეხებათ? ესენი ის „მცირეთაგანნი“ არიან, რომლებზე პასუხისმგებლობა თქვენ დაგაკისრათ უფალმა – თქვენი შვილები. უდიდესია ეს პასუხისმგებლობა, რომლის სათანადოდ არშესრულება უამრავ ცრემლს დაგადვრევიან ცხოვრებაში. განა ასე არ არის?! განა ცოტა გყავთ ხელიდან წასული ქალიშვილი ან ვაჟი – უზნეოები, ქურდები, ხულიგნები, რომელთა გამო ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაგქცევიათ? რატომ არის ასე? იმიტომ, რომ თავის დროზე არ ღვარეთ

ცრემლი; იმიტომ, რომ თავის დროზე არ გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები: „*ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-პყოთ ერთი მცირეთა ამათგანი*“. როდესაც ცუდ დღეში ვარდებით იმის გამო, რასაც თქვენი შვილები სჩადიან, ტირით, უფალს ევედრებით, შეველას სთხოვთ. თქვენი ღლოცვა კი შეუსმენელი რჩება. რატომ? **იმიტომ, რომ არ შეიძლება უფალს დააკისრო საკუთარი ვალდებულებები, იმიტომ, რომ თქვენ თავად უნდა გეზრუნათ თავის დროზე შვილებზე და სათანადოდ აღგეზარდათ,** და არ დალოდებოდით, როდის აღასრულებდა ამას თქვენს ნაცვლად უფალი.

თუ თქვენი მოსამსახურე თვითონ არ გაირჯება და მოიცდის, მის ნაცვლად თქვენ როდის გააკეთებთ საქმეს, განა თქვენ ეს მოგეწონებათ და ხელს გამოიღებთ მის ნაცვლად? განა არ განრისხდებით ზარმაც მსახურზე? რას ითხოვთ უფლისგან, როდესაც თავად არ ზრუნავთ საკუთარ შვილებზე?!

იოანე ოქროპირი შვილების არასწორად, არაქრისტიანულად აღმზრდელთ ბავშვების მკვლელთ ადარებდა. საშინლად აგებს ღვთის წინაშე პასუხს ის, ვინც ხელს დააკლებს შვილების აღზრდას.

ბიბლიიდან ცნობილია მღვდელმთავარ ელის მაგალითი, რომელიც ორმოცდაათი წელი იყო ებრაელის ხალხის მსაჯული. მასთან მსახურობდა წმინდა წინასწარმეტყველი სამოელი – მაშინ ჯერ კიდევ ყრმა. ერთხელ სამოელს სიზმარში უფალმა აუწყა გადაეცა მღვდელმთავრისთვის, რომ მას მძიმე სასჯელი ელოდა იმის გამო, რომ შვილებზე არ ზრუნავდა.

ელის ვაჟები ძველი აღთქმის მღვდელმსახურნი იყვნენ. ისინი თავიანთი უღირსობით ხალხს აბოროტებდნენ და უფალს განაშორებდნენ. მაგალითად, როდესაც ადამიანები სამსხვერპლო საკლავს ან ხორცს მოიტანდნენ, მათი მსახურები საუკეთესო ნაჭრებს პირდაპირ ქვაბიდან იღებდნენ და მათთან მიჰქონდათ; უმ ხორცსაც კი მიართმევდნენ ხოლმე, რის შედეგადაც ხალხი მსხვერპლშეწირვაზე უკვე უარს ამბობდა. ამგვარი უღირსობისთვის უფალმა მხოლოდ ისინი კი არ დასაჯა, არამედ – ელიც. ეს ასე მოხდა: ისრაელის მიწას ფილისტიმელები შემოესივნენ. ცხარე ბრძოლის დროს ეს ოთხმოცდარვა წლის მოხუცი იჯდა და ბრძოლის ამბებს ელოდა. გამონდა მტვერში ამოგანგლული შიკრიკი, რომელმაც მასთან მოირბინა და საშინელი ამბავი მოახსენა: „შენი შვილები დახოცეს, ღვთის კიდობანი კი ტყვედ წაიღეს“. ამის გაგონებისას მღვდელმთავარი პირქვე დაეცა, ხერხემალი გადაუტყდა და ტანჯვით გარდაიცვალა. მღვდელმთავრის მთელი მოღვაძე დასჯილ იქნა იმის გამო, რომ ის თავის შვილებს მძიმე ცოდვებისგან ვერ აკავებდა. იგივე ემუქრება ყველას, ვინც შვილების აღზრდაზე არ იზრუნებს.

იმათზე კი, ვინც მთელი გულით ისწრაფვის შვილების ღვთისმოსაობით აღზრდისკენ, ვკითხულობთ 102-ე ფსალმუნში: „*ხოლო წყალობად უფლისად საუკუნითგან და ვიდრე უკუნისამდე მოშიშთა მისთა ზედა, და სიმაღლედ მისი – შვილითი შვილადმდე, რომელთა დაიმარხიან აღთქუბად მისი და მოიხსენიან მცნებანი მისნი და ყვნიან ივინი*“.

წმიდა მამები არაერთგზის იმეორებენ, რომ უკუნითი უკუნისამდე ღვთის კურთხევაა მათზე, ვინც შვილებს ღვთისმოსავად აღზრდის. ხოლო უკუნითი უკუნისამდე ღვთის წყევლა

თან სდევს მათ, ვინც შვილები ღვთის მცნებებით არ აღზარდა. წარმოიდგინეთ, როგორ წავა საქმე შენი უბედური ქალიშვილისა, რომელიც ახალგაზრდობაში გახრწნილ ცხოვრებას ეწეოდა, შემდეგ გათხოვდა და შვილები შეა... განა იქნება მისი ოჯახი კურთხეული, დალოცვილი? არა და არა! ასეთ ოჯახში არაღვთისმოსავი, ღვთისმგმობი მოდგმა გაიზრდება. ამგვარ მძიმე პასუხისმგებლობას ატარებს ოჯახი ღვთის წინაშე.

რა არის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამ საქმეში? ნათელია, რომ ოჯახის, მშობლების უპირველესი მისწრაფება **შვილის ქრისტეს მებრძოლი ეკლესიის ცოცხალ წევრად აღზრდა უნდა იყოს.** უნდა გავზარდოთ ისინი ისე, როგორც ზრდიდნენ ძველი ქრისტიანები, თუნდაც პირველი საუკუნეების ქრისტიანები. ისინი ადრეული ბავშვობიდან აჩვენებდნენ და ასწავლიდნენ ეკლესიურ ცხოვრებას, მარხვას, წმინდა საიდუმლოთა ზიარებას, ასწავლიდნენ წერა-კითხვას წმიდა წერილის მიხედვით. ბავშვებს მაგიდასთან ისე არ დასვამდნენ, თუ სათანადო ღოცვას არ წაიკითხავდნენ. ისინი უნერგავდნენ შვილებს, რომ ქრისტიანს ყოველი საქმე, ყოველი ნაბიჯი უნდა დაეწყო პირჯვრის გადასახვით და ღოცვით. ისინი მხოლოდ შვილების ზოგად განათლებაზე როდი ზრუნავდნენ, რომ შეეძინათ წარმართული სიბრძნე, შეესწავლათ ფილოსოფია, მუსიკა, ხელოვნების სხვადასხვა დარგი. ასწავლიდნენ რა ყოველივე ამას შვილებს, ისინი ხელმძღვანელობდნენ უფრო ღრმა, წმიდა წესით: **უბედურად მიიჩნევდნენ იმას, ვინც იცის ყველაფერი, მაგრამ არ იცის ღმერთი.** ნეტარად მიაჩნდათ ის, ვინც იცის ღმერთი, თუნდაც სხვა არაფერი იცოდეს.

არავინ იფიქროს, რომ აკრძალული იყოს შვილებისთვის საერო მეცნიერებების სწავლება. სულაც არა. ჩვენი დიდი მამები ძალიან გულმოდგინედ სწავლობდნენ მეცნიერების მთელ სიბრძნეს, ფილოსოფიას. წმიდა მღვდელმთავრები ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი თავისი დროის უადრესად განსწავლული ადამიანები იყვნენ. ჩვენს შვილებსაც მართებთ იყვნენ განათლებულნი. მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ მათი აღზრდა-განათლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ საერო, ამსოფლიური სიბრძნით, რომ ამასთან ერთად მათ უნდა შეიცნონ უზენაესი სიმართლე და ჭეშმარიტება – ღვთის სჯული და ქრისტეს ქადაგება; მუდამ უნდა ახსოვდეთ ღმერთი, მისი მცნებები, ქრისტეს გზა. მხოლოდ მაშინ არ დაბრკოლდებიან ცხოვრების გზაზე; მხოლოდ მაშინ დააყენებენ ყველაზე მაღლა ქრისტიანულ სიბრძნეს, ღვთის შემეცნებას. ეს აუცილებლად უნდა ისწავლოს ბავშვმა ოჯახში.

როგორ უნდა მიაღწიოთ ამას? როგორ უნდა ჩაუნერგოთ შვილებს უმაღლესი ქრისტიანული ზნეობა? პირველ რიგში თქვენი პირადი მაგალითით, რადგან ბავშვები სწორედ მშობლების მიბაძვით იზრდებიან. ყოველგვარი სიტყვიერი სწავლება და დარიცხვა, ყოველგვარი პედაგოგიური ხელოვნება არაფერია იმ მაგალითთან შედარებით, რასაც ბავშვები მშობლებში ხედავენ. აბა თქვით, განა ის ბავშვები, რომლებიც მშობლებში უზნეობის მაგალითს ხედავენ, კარგ ადამიანებად გაიზრდებიან? თქვენი გოგონები პატიოსნები და უმანკოები გაიზრდებიან, თუ თქვენ მათ მრუშობის მაგალითს უჩვენებთ? თქვენი ვაჟები იქნე-

ბიან პატიოსნები, არ ექნებათ ქურდობისკენ მიდრეკილება, თუ თქვენ მათ სიყრმიდანვე არ მიაჩვევთ პატიოსნებას?

ხშირად შეხვდებით ასეთ რამეს: ბავშვი სხვის ბაღ-ბოსტანში შეძვრა და ხილი მოკრიფა ისე, რომ დამწიფებაც კი არ დააცადა. პატრონმა მშობელს შესჩივლა. მშობელმა კი რა მოი-მოქმედა? . . . სრულიად აუღელვებლად უპასუხა: „რა მოხდა, ჯერ პატარაა, რა მოვთხოვო?“ ღმერთი მოსთხოვს მათ! და მკაცრად მოსთხოვს. . . მოსთხოვს ყველას, ვინც ყრმობიდანვე არ უნერგავს შვილებს ქურდობის, ხულიგნობის სიძულვილს, არ ასწავლის ღვთის მცნებებს. მძიმედ აგებს პასუხს უფლის წინაშე ყველა მშობელი ყოველივე იმისათვის, რაც უარყოფითად აისახება შვილების ფსიქიკაზე ბავშვობის დროს. როგორ ისწავლიან შვილები ოჯახში იმას, რაც არ უნახავთ?! როგორ იქნებიან ისინი თავაზიანნი, მშვიდნი და გაწონასწორებულნი, თუ მთელი ბავშვობა მშობლების კინკლაობას, ჩხუბს, ლანძღვა-გინებას უყურებდნენ?! როგორ ისწავლიან სხვის, ანდა მშობლების პატივისცემას, თუ ოჯახში ერთმანეთის უპატივცემულობისა და ბილწსიტყვაობის მეტი არაფერი უნახავთ და მოუსმენიათ?! როგორ ისწავლიან ისინი სიკეთეს, თუ მშობლების უწესო ქცევის მეტი ოჯახში არაფერს შესწრებიან?!

აბა, ჩაფიქრდეს თითოეული თქვენგანი, ჯერ თავად როგორ აღიქვამთ ქრისტეს მცნებებს და მერე როგორ უნერგავთ მათ შვილებს. მაგალითად, როგორ აფასებთ და ექცევით იმას, ვინც მღუმარედ აიტანს წყენას? რასაკვირველია, სუსტს და მშიშარას ეძახით მას. შვილები თქვენ გიყურებენ და თქვენი თითოეული სიტყვა შეუვალი ჭეშმარიტება ჰგონიათ. გახსოვთ კი ამ დროს, რომ მოყვასის შეურაცხმყოფელს გეგნია არ ასცდება? განა ქრისტე ჩხუბის, ცემატყეპისა და ანგარიშსწორებისაკენ მოგვიწოდებს?! თქვენ კი სულ იმისი გეშინიათ, რომ ვინმემ არ დაჩაგროს თქვენი შვილი, და ასწავლით სამაგიერო მიუზღოს ყველას, ვინც დაჩაგვრას დაუპირებს, და საყვედურობთ, თუ ასე არ მოიქცევა.

თუ გიყვარს საკუთარი თავი, დაღუპავ მას, – გვასწავლის უფალი. თქვენ კი ყოველმხრივ ცდილობთ განუმტკიცოთ შვილებს ეს სიყვარული, საკუთარი თავის სიყვარული. გავიწყდებათ და არც მათ ასწავლით, როდის მოგვიტყვებს ღმერთი შეცოდებებს; მხოლოდ მაშინ, თუ თავად მივუტყვებთ სხვებს შეცდომებს.

იმაზეც დაფიქრდით, მშობლებო, რაოდენ ენერგიას, ძალისხმევას, სახსრებს ხარჯავთ ამქვეყნიური დიდების მოსაპოვებლად. მიწაზე განდიდება კი უფლისთვის სათნო არ არის. ქრისტემ თქვა, რომ დიდების მოყვარულნი მარხვასაც რომ იცავდნენ, ლოცულობდნენ, შესაწირს გასცემდნენ... ყველაფერი ამაოა; თქვენ კი სულ იმას ცდილობთ, რომ თქვენმა შვილებმა მოიპოვონ დიდება. ყოველივე ზემოთქმულში ცუდი მარტო ის კი არ არის, რომ მათ ქრისტეს მცნების საწინააღმდეგოს უნერგავთ, არამედ ის, რომ კიცხავთ სიკეთეს, როდესაც თავმდაბლობას გაუნათლებლობას ეძახით, მოთმინებას – სიმხდალეს, სამართლიანობას – სისუსტეს, მორჩილებას – მონობას, უბოროტობას – უძლურებას. თქვენ ისეთი საქმეებისკენ უბიძგებთ, რომელთა გამოც უცილობელი დაღუპვა მოელოთ; თქვენ მათს სულზე კი არ ზრუნავთ, არამედ იმაზე, რაც სინამდვილეში ზედმეტია და ისე ზრუნავთ, როგორც

თითქოს რაღაც მნიშვნელოვანზე. თქვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თქვენს შვილს ჰყავდეს შინამოსამსახურე, კარგი ცხენი, საუკეთესო ჩასაცმელი, იმაზე კი, რომ თვითონ თქვენი შვილი იყოს კარგი, ღვთისათვის სათნო, არასოდეს ფიქრობთ. ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ სახლს ოქროს სახურავი ჰქონდეს, ფლობდეთ დიდ სიმდიდრეს, იმაზე კი, რომ სული გქონდეთ ოქროსი, არც გიფიქრიათ.

ასე მოძღვრავდა ადამიანებს იოანე ოქროპირი ძველ დროს, ათას ხუთასი წლის წინათ. ამ სიტყვების მოსმენა კი თქვენთვის დღესაც სასარგებლოა, იმიტომ, რომ დღეს უკეთ როდი ზრდით შვილებს, როდი უნერგავთ ღვთის შიშს. განა დღესაც მხოლოდ იმაზე არ ზრუნავთ, რომ შვილებს უზრუნველი ცხოვრება, საუკეთესო პირობები შეუქმნათ, რათა ისინი მდიდართა და ძლიერთა რიგებში დააყენოთ?! განა არ უნერგავთ მათ აზრს, რომ ძალა ფულშია?! დიდი განათლება მხოლოდ იმიტომ უნდათ, რომ მდიდარი, ნებიერი ცხოვრება შეიქმნან, რომ სხვაზე უპირატესნი გახდნენ, სხვას აჯობონ?! განა ეს არის საჭირო?!

სწორედ რომ პირიქით არის საჭირო: თქვენს შვილებს უნდა შთაუნერგოთ ფულის, სიმდიდრის, დიდების, საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობისადმი სიძულვილი. უნდა შთაუნერგოთ სიყვარული უბიწოების, სიწმინდის, ღვთისმოსაობისადმი. ბავშვების აღზრდა ძალზე ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოთ, რადგან ამ დროს ყველაფერს იოლად ითვისებენ. მათი სული ცვილივით რბილია, მასზე აღიბეჭდება ყველაფერი – თქვენი კარგი და ცუდი მაგალითიც, ღვთისმოსავი და ბილწი სიტყვებიც, კეთილი და უკეთური საქციელიც.

ხშირად გაიგონებთ: „განა ლოცვა და ფსალმუნების კითხვა საბავშვო საქმეა? ეს ბერებმა და მონაზვნებმა უნდა აკეთონ, ბავშვებს კი მხიარულება და სიხარული სჭირდებათ.“ გაგახსენებთ წმ. ტიხონ ზადონელის სიტყვებს: „ხის პატარა ნერგს საითაც გადავხრით, იქით გაიზრდება; ახალ ჭურჭელს იმის სუნი აუვა, რა სითხესაც ჩაასხამთ შიგ – მყრალს თუ სუფთას, რომატულს“. ასეა ესეც: თუ პატარა ბავშვის სულში ყველანაირ სიმყრალეს ჩაუშვებთ, ის ამ სუნს სამუდამოდ შეინარჩუნებს. ხოლო თუ თავიდანვე ქრისტეს კეთილსურნელოვან რომატს ჩაუშვებთ, თქვენი შვილები ადამიანების წინაშე მუდამ კეთილსურნელოვანნი იქნებიან, ხოლო თქვენთვის – სიხარულისა და ნუგეშის მომტანნი. ასე რომ თავად აირჩიეთ.

ამის თაობაზე მშვენივრად თქვა დიდებულმა ხარკოველმა არქიეპისკოპოსმა ამბროსიმ: „როდესაც ოჯახის ყველა წევრი დილის და საღამოს ლოცვებს კითხულობს, როდესაც მამა სახლიდან საქმეზე წმ. ხატების წინ ლოცვის გარეშე არ გავა, დედა პირჯვრის გადაუსახავად არცერთ საქმეს ხელს არ მოკიდებს, როდესაც პატარა ბავშვსაც საჭმელს არ მიაკარებენ, სანამ პირჯვარს არ გადაიწერს, – ასეთ ოჯახში აუცილებლად სიმშვიდე, სიკეთე, უფლის მაღლი სუფევს. ამგვარ ოჯახში ბავშვები თავიდანვე ეჩვევიან იმას, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, რომ შველა მხოლოდ ღვთისგან არის და რომ ღმერთის დახმარების, შეწევნის გარეშე ცხოვრებაში არ არსებობს უსაფრთხოება, მისი კურთხევის გარეშე კი არანაირ საქმიანობაში არ არსებობს წარმატება.“ ეს უკვე ცხოვრების გზაზე უმფოთველი სიარულის პირობაა. განა ეს ცოტაა?!

როდესაც ოჯახი ღვთის რწმენით ცხოვრობს, ყოველგვარი განსაცდელი და შეჭირვება იოლად გადააქვთ, რასაც ბავშვი, რაგინდ პატარაც უნდა იყოს იგი, მშვენივრად ხედავს. უშედეგოდ არაფერი იკარგება. გაჭირვებისა და უბედურების დროს თვალცრემლიანი მშობლები ამბობენ: „რა ვქნათ? იყოს უფლის ნება.“ მოსალოდნელი საფრთხის დროს: „ღმერთი მოწყალეა.“ ძნელბედობის ქამს: „ღმერთი გვიშველის.“ წარმატებისა და სიხარულის დროს: „დიდება ღმერთს, ღმერთმა გამოგვიგზავნა მადლი და წყალობა!“ ყმაწვილი ხედავს, რომ ყოველთვის და ყველაფერში აღიარებულია უფლის განგებულება, მისი სამართლიანობა, მისი წმიდათაწმიდა ნება, რაც არათუ ბავშვისთვის, მოზრდილთათვისაც შვებისმომგვრელი და ცხოვრების წარმმართველია.

ვინც „იცუდსიტყვებს დედისათვის“ . . .

ანუ

დედას შეიგინება

არასწორი აღზრდის შედეგია დღესდღეობით ჩვენში ასე სამწუხაროდ გავრცელებული ბილწსიტყვაობა. ადრე მოზარდები მხოლოდ ერთიმეორეს აგინებდნენ, რაც თავისთავად საშინელებაა, მაგრამ ახლა ამას ახალი, მთლად ენით აუწერელი რამ დაემატა – ჩვენი შვილები საკუთარ დედებსაც აგინებენ და ეს ყოველი ფეხის გადადგმაზე გვესმის.

არავის ეგონოს, რომ ეს მანვე ჩვევა ისე უვნებელი იყოს, როგორც ვისმე შეიძლება მოეჩვენოს. არა, და აი, რატომ: **ჯერ ერთი** – „უკეთუ არა შევნით, ძმანო, მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, რათა იგინებოდნენ დედითა ცილობათა და ჩხუბთა შინა, რამეთუ არს დედა ღვთისა, ყოველადწმიდა ქალწული მარიამი, რომელმანცა შვა უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, და რომელიც ვიცანთ დედუფლად, შემწედ და შესავედრებლად ჩვენდა, და ყოველთა კაცთა ჭირთა შინა და იწროებათა შემწედ და მაცხოვრად სულთა ჩვენთა.

მეორედ: დედისაგან ვიშვენით ყოველნი კაცი და ვიცანთ სოფელი ესე, და მის ძუძუთაგან გამოვიზარდებით, და გვშენა რა, მოითმინნა მრავალნი ჭირნი და შრომანი, და სიყრმისა ჩვენი არაწმინდებანი თავს იღვა და მოითმინნა და ჩვენ ესრეთითა სახით გამოგვზარდნა.

მესამედ: დედა ჩვენი არს მიწა, რომლისგანაც პირველი კაცი მამა ჩვენი ადამი შექმნა ღმერთმან, და მისგან ვიზრდებით, სანოვაგეთა და საცმელთა მოვიხვამთ, და რომელისადაცა კვლავ მიქცევად ვართ, დავემკვიდრებით რა საფლავებსა.

უკეთუ რომელიმე კაცი, რომელსამე დღესა იცუდსიტყვებს დედისათვის, მას დღესა შინა კაცსა მას აღვესება სისხლითა პირი და აუღუდდება ყოველი შინაგანნი გვამისა და ყოველივე სიმყრალე გამოვალს პირისაგან მისისა; და მას კაცსა არა შევნიშნავს შესვლად ეკლესიასა შინა ღვთისასა, არც მთხვევად სახარებისა და არცა ხატთა და ჯვარისა, და არცადა მიეცემის მას ზიარება იგი უხრწნელთა ხორცთა და სისხლთა იესო ქრისტესთა... მას

კაცსა ზედა, რომელი დაუპყრობელი არს ენისა ესრეთთა ცუდთა სიტყვათაგან, სტირის ან-გელოზი მცველი, ხოლო ეშმაკი იხარებს.

ამისთვის, ძმანო და დანო, გლოცავ და გვედრები თქვენ, ნუ ვინ იკადრებს თქვენგანი ესრეთ ქცევასა და ბოროტმეტყველებას დედისათვის; დაიპყარით ენა თქვენი, რამეთუ ჩვენითა უკვე თავისმნებლობითა განვშორდით ღმერთსა ბოროტთა და უხმართა სიტყვათათვის – სიმოკლისათვის გონებისა თქვენისა შეიყვანთ კაცთა ცუდმეტყველებათა შინა დედისათვის. რამეთუ წერილი არს წმიდასა სახარებასა შინა: „ყოველი სიტყუად უქმი, რომელსა იტყოდინ კაცნი, მისცენ სიტყუად მისთვის დღესა მას სასჯელისასა“ (მათ. XII, 36).

უკეთუ ვინმე შევიდეს ესე ვითარსა განსაცდელსა, და იხმაროს გინება დედისა, მაშინ დედა ღვთისა განაშორებს მფარველობასა და შემწეობასა თვისსა მის კაცისაგან და მოაკლებს ყოველსავე კეთილსა, – იქნების წყეული უკანასკნელსა მას დღესა შინა, ვინაითგან დედა თვისი ცუდად მოიხსენა და აგინა. ამგვარ კაცთან არა შეენის ჭამა და სმა, უკეთუ არა მოიკვეთოს ესრეთი ბოროტი გინება დედისა და ამისთვისცა ღმერთი გარდამოავლენს მას ზედა ჭირთა და სნეულებათა, ამისთვის, ძმანო და დანო, დაუტევოთ ეს ბოროტი ჩვეულება და ვისმინოთ წმიდისა მოციქულისა პავლესი, რომელსა იტყვის: „სიტყვა უშეერი ნუ გამოვალნ პირისაგან თქვენისა“. არამედ იესოსი იგი ტკბილი ღოცვა შევიწყნროთ, რომლისათვის საუკუნო სასჯელისგან გამოსხნილ ვიქნებით, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“ (წმ. იოანე ოქროპირი).

ოჯახი და ინტიმური ცხოვრება

ინტიმური ცხოვრება ცოლ-ქმრული თანაცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ეს თემა თითქოს გამოკვლეულია, გამოწვლილვით არის დამუშავებული სხვადასხვა დარგის სპეციალისტთაგან, თუმცა ბოლომდე შეთანხმებული მაინც არაფერში არიან (ალბათ იმიტომ, რომ თემა ისეთივე ღრმა და ამოუწურავია, როგორც თავად ადამიანი). მეტიც, წმიდა მამებთანაც კი ძნელად ვხვდებით კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ამ მხრივ პრობლემებს მოაგვარებდა მორწმუნე ოჯახებში.

„რატომ არ იძლევიან წმიდა მამები აბსოლუტურად ზუსტ განსაზღვრებებს? ეს ნიშნავს, რომ არის რაღაც განუსაზღვრელი, ვინაიდან ყველა ადამიანს ერთი და იგივე შაბლონით ცხოვრება არ შეუძლია. მამები ბევრ რამეს მიანდობენ ჩვენს გონივრულობას, მცდელობას, სულიერ აღდგომას და თითოეულის შესაძლებლობებს.“ – ამბობს ბოლო დროის ერთ-ერთი დიდი სულიერი მოღვაწე ბერი პაისი ათონელი. იგი უადრესად საგულისხმო რჩევებს აძლევს თავის სულიერ შვილებს ამ საკითხში: „ცნობილია, რომ მორწმუნე ადამიანებს აქვთ უბედური ქორწინებები... ეს საკმაოდ მწვავე პრობლემაა... ჩვენს დროში თეორიები არ გვაკლია. ბევრი, ძალზე ბევრი დაწერილა. ეს თემა გაუანალიზებიათ ნიჭიერ მწერლებს, ღვთისმეტყველებს (სასულიერო თუ საერო პირთ), თუმცა სრული შეთანხმება პრაქტიკასთან დაკავშირებით ამ საკითხში არ არსებობს. ეს არის უამრავი შეხედულება, რომლებიც პრაქტიკულად არათუ არავის ეხმარება, არამედ კიდევ უფრო ურთულესს საქმეს და სიცოცხლეს

უწამლავს დაქორწინებულ წყვილებს. ამიტომ ეკლესიის სანუგეშო ხმას განსაკუთრებით უნდა მივუგდოთ ყური.

უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი და იგივე პრობლემა სხვადასხვა დაქორწინებული წყვილისთვის ერთნაირად ვერ გადაიჭრება. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მისი გადაჭრის მრავალი საშუალება არსებობს.

შენ მხედველობაში უნდა გქონდეს, რომ ურთიერთობების პრობლემა მხოლოდ შენი პრობლემა არ არის და რომ შენ უფლება არა გაქვს ყველაფერი მარტომ არეგულირო. თავის შეკავება ორმხრივი შეთანხმებით უნდა იყოს, როგორც პავლე მოციქულმა დაგვიბარა.

როდესაც ეს ორმხრივი შეთანხმებით ხდება, კვლავ საჭიროა ლოცვა. უფრო ძლიერი უძღურის მდგომარეობაში უნდა შედიოდეს. ხშირად ასე ხდება: ცოლ-ქმართაგან ერთ-ერთი თანხმდება თავშეკავებაზე, რათა მეორეს არ აწყენინოს, მაგრამ შინაგანად იტანჯება. ეს ხშირად ემართებათ იმგვარ ქალებს, რომელთაც ნაკლებად აქვთ ღვთის შიში და მეტად – გულისთქმები (გაძლიერებულ სორციელ ლტოლვას ადგილი აქვს ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებში ფიზიოლოგიური პროცესების შედეგად). ხშირად ზოგიერთი ღვთისმოსავი ქმარი, მეუღლისგან თანხმობის სიტყვას რომ ისმენს, განუსჯელად ახანგრძლივებს თავშეკავების პერიოდს და ამ დროს ცოლი ზარალდება: იგი ხდება ნერვული და ასე შემდეგ.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ჰგავს ერთმანეთს ცოლ-ქმარი ფიზიკური წყობით. როდესაც ერთი სუსტი და მშვიდია, მეორე კი – ძალიან ცოცხალი, საჭიროა, უფრო ძლიერმა რაღაც მსხვერპლი გაიღოს შედარებით უძღურისათვის. ნელ-ნელა უძღური მისი დახმარებით გამოჯანმრთელდება. ხოლო როცა ორივე ჯანმრთელია, ერთობლივად შეძლებენ წინ წაწევას.

უფალმა უწყის ყველას ღვაწლი, აგრეთვე ძალა, რომელიც მან თითოეულ ადამიანს მიანიჭა და შესაბამისად სთხოვს.

მიზანი ის არის, რომ თითოეული თავისი სულიერი ძალების შესაბამისად იღვწოდეს. თავიდან, რასაკვირველია, ახალგაზრდობა არის ხელშემშლელი, მაგრამ დროთა განმავლობაში ხორცი უძღურდება, სული მტკიცდება და დაქორწინებულები გემოს უგებენ ღვთიურ სიტკბობებს. მაშინ ადამიანები უკვე ბუნებრივად გადაეჩვენებიან სორციელ სიამოვნებას და ეს მათ თვალში უკვე უმნიშვნელო ხდება“.

შემდეგ თავში მოგიტხოვრებთ ისტორიებს, რომლებშიც კონკრეტულ მაგალითებში ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ბედნიერებისთვის უფალთან ერთობას, მისდამი სასოებას.

ერთობლივი ლოცვის ძალა

ყველას გაგვიგონია, რომ ერთობლივ ლოცვას მეტი ძალა აქვს და ღმერთისთვისაც სათნოა, რადგან ოჯახური ლოცვისას ოჯახის ყველა წევრი „ერთთა პირითა და ერთთა გულითა“ აღიდებს ღმერთს, ამიტომ ეს ლოცვა აერთიანებს მათ სულებს, განამტკიცებს ოჯახურ კავშირს, საერთო რწმენით განმსჭვალავს ოჯახის ყოველ წევრს, ერთობლივი ძალ-

ისხმევით აძლიერებს ლოცვის დროს განცდილ გრძნობებს, ასწავლის ბავშვებს პატარაობიდანვე გაუფრთხილდნენ სულიერ კავშირს ღმერთთან და ოჯახთან და უნათებს მათ მომავალი ცხოვრების გზას მაშველი, გზამკვლევი სინათლით. მართლმადიდებელნი, მაშ, ეცადეთ აღადგინოთ საოჯახო ლოცვის ეს ძველთაძველი ჩვეულება. აი, ერთ-ერთი მაგალითი ასეთი ლოცვის მადლიანი გავლენისა:

ერთ ოჯახში ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ ეთვისებოდა. როცა ქმარმა ამის შესახებ მღვდელს შესჩივლა, მან ჰკითხა: „ლოცულობთ თუ არა ერთად?“

– არასოდეს, – ნაღვლიანად უპასუხა ქმარმა, – თანაც მეეჭვება, რომ ცოლი ამაზე დამთანხმდეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ცოლმა ქმარს უთხრა: „ღარ შემიძლია შენთან ერთად ცხოვრება; ხვალვე წავალ და განქორწინებას მოვითხოვ.“

– მე თანახმა ვარ, – სერიოზულად და მშვიდად მიუგო ქმარმა, – მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: მოდი, ამ უკანასკნელ საღამოს ერთად ვილოცოთ, რაც არასოდეს გაგვიკეთებია მთელი ჩვენი ერთობლივი ცხოვრების მანძილზე. ცოლმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ქმარმა მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო. იგი ლოცულობდა გულში ჩამწვდომად, ამაჩუყებლად. როდესაც მან წარმოთქვა: „...და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენთ მათ ჩვენთა...“, ცოლი მწარედ ატირდა. ლოცვის შემდეგ მან მოუბოდიშა ქმარს და სურვილი გამოთქვა ყველაფერი ეღონათ ოჯახის გადასარჩენად.

გადიოდა დღეები. ცოლ-ქმარი ყოველდღე ერთად ლოცულობდა. ნელ-ნელა ოჯახში მშვიდობამ დაისადგურა; მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ სულ უფრო ნაკლები პრეტენზიები უჩნდებოდათ. ისინი აშკარად გრძნობდნენ ლოცვის მადლიან ძალას და ამისთვის მადლობდნენ უფალს. ბოლოს ყველაფერი ისე მოგვარდა, რომ მათ ერთ-ერთი სამაგალითო ქრისტიანული ოჯახი ჰქონდათ.

ასეთი ფერიცვალება მხოლოდ უფალი ახდენს

ეს ამბავი რუსეთის ერთ სოფელში მოხდა. ჩვენს მრევლში განსაკუთრებულ პატივს ეცემდით ერთ გლეხს. ის საშუალო ასაკის იყო, წიგნიერი, წესიერი, ჭკვიანი, არ უყვარდა სმა. თუმცა, როგორც გამოირკვა, იგი ყოველთვის ასეთი კარგი როდი ყოფილა. ერთხელ მისმა ცოლმა, უბრალო, მოკრძალებულმა ქალმა, საუბარში თავისი ისტორია მომიყვა, რომელიც, ვფიქრობ, თქვენთვისაც საინტერესო და საგულისხმო იქნება:

„ობოლი ვიყავი. როცა ასაკი დამიდგა, არავინ არაფერი მკითხა, ისე მიმართოვენ ადამიანს, რომელსაც ფაქტობრივად არ ვიცნობდი. ის ქვრივი იყო, უხნოდ ცხოვრობდა, სვამდა, შფოთისთავი იყო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი... ზეციური დედოფლის შემწეობა რომ არა, დავიდუპებოდი.“

მეზობელ სოფელში ჩემს ქმარს ქიმიური საწარმო ჰქონდა და ძირითად დროს იქ ატარებდა. რასაც შოულობდა, იქვე, სამიკიტნოში ხარჯავდა.

იმ შემოდგომას რა დამავიწყებს... საშინელი სიცივეები დაიჭირა. სამი ბავშვი ყვავილით ავად გამიხდა. საშინელ დღეში ჩავვარდი. ამ დროს დილაუთენია მოდის ჩემთან მეზობელი ქალი და მეუბნება, რომ ჩემმა ქმარმა სმაში ტანსაცმელიც კი გაანიავა და პერანგის ამარა დარჩა. ზუსტად ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულის დღე იყო. მე მიუჩვეველი არ ვიყავი ქმრის უმსგავსო საქციელს, მაგრამ ახლა, როცა შვილები ლამის სიკვდილის პირას მყავდა, ამ ამბავმა გული გამიგმირა.

უმწეობისა და შინაგანი ტკივილისაგან სული მეხუთებოდა. სკამზე დავეცი და გულამოსკვნით ავტირდი. ჩემი მეზობელი ძალიან შეშინდა. შეეცადა დაგემშვიდებინე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს მირჩია ეკლესიაში წავსულიყავი. „იქნებ გულზე მოგეშვას და დაწინარდე... ბავშვები დედამთილს დაუტოვე...“ – მეუბნებოდა თანაგრძნობით.

დარდისგან გონი მქონდა წართმეული – აღარ ვიცოდი, რა მექნა. ამიტომ დაუფჯერე მეზობლის რჩევას, წამოვდექი და ტირილ-ტირილით ეკლესიაში წავვედი.

პირველი, რაც ტაძარში ფეხის შედგმისთანავე მომესმა, იყო ტკბილხმიანი გალობა ღვთისმშობლისადმი, რომელიც მას განადიდებდა, როგორც მეოხს. გული უფრო ამიხუყდა, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა. ქვითინით მუხლებზე დავემხე და გულმხურვალე ღოცვა დავიწყე. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მეგონა ტკივილისგან გული გამისკდებოდა. საკუთარ მწუხარებაში ჩადირული ირგვლივ ვერავის ვამჩნევდი. ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩული გავიგონე, ვიდაცამ იკითხა, ასე რა ატირებსო.

– ალბათ დედა ან მამა გარდაეცვალა. – უპასუხა მეორემ.

– არა, დედ-მამა არ ჰყავს. ცხოვრება აქვს მძიმე, მისი ქმარი სვამს... – დააზუსტა ვიდაცამ. ამის გაგონებაზე უფრო მწარედ ავქვითინდი: „დედაო ღვთისაგ, ქომაგო და განმკითხავო! როგორ ვიცხოვრო?! მიშველე, შეიწყნარე ჩემი ღოცვა და დამეხმარე მე, უბედურს!“

ტირილისა და დარდისაგან სახლში გასავათებული დავბრუნდი და... სასწაული... ქმარი შინ დამხვდა... აბსოლუტურად ფხიზელი. თვალებს არ დავუჯერე მიუხედავად იმისა, რომ ვხედავდი, ნამდვილად ფხიზელი იყო.

– რა ხდება?... გამოსაფხიზლებლად მოხვედი, არა? – ვიკითხე საკმაოდ მკაცრად, მაგრამ შეცბუნებულმა.

– დიას, – მიპასუხა წყნარად; თან რაღაც შეშინებული მიყურებდა. თურმე იმ დილით ჩვეულებისამებრ გაიდვიდა თუ არა, დუქანს მიაშურა. მიუახლოვდა კარებს, მოკიდა კიდეც ხელი სახელურს და ამ დროს თითქოს ვიდაცამ უყვირა: „გამობრუნდი, წადი სახლში!“. ისეთი შიში დაეცა თურმე, რომ ვერც კი შემობრუნდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახლში გამოიქცა. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო, ვერ გაეგო, რა მოხდა მის თავს, რამ იმოქმედა ასე საშინლად.

მე ყველაფერს მივხვდი. ისევ ცრემლები წამომივიდა, ოღონდ ამჯერად ტკივილს სიხარული ერეოდა. ქმარს ჩემი ამბავი მოვუყევი. შევცქეროდით ერთმანეთს გაოგნებულები და გახარებულები იმის გამო, რომ დედა ღვთისმშობელი ასე ხილულად გამოესარჩლა ჩვენს

ოჯახს, ასე დაიცვა და თავისი მადლიანი კალთა გადააფარა ჩვენს კერიას და დაღუპვას გადაარჩინა.

მას მერე თხუთმეტი წელი გავიდა. იმ დღიდან ჩემს ქმარს წვეთი სასმელი აღარ დაუღვებია. ყოველი წლის 22 ოქტომბერს ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს ორივენი ერთად აღვნიშნავთ.

ჩვენს ოჯახში კიდევ მოხდა სასწაული. იმ ღირსშესანიშნავი დღის სამახსოვროდ ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დახატვა გადავწყვიტეთ... ამ მიზნით ჩემი ქმარი მოსკოვს გაემგზავრა.

სადამოს, როცა უნდა ჩამოსულიყო, გვიანობამდე ველოდი, არ ვიძინებდი, სანთელი მენტო. უეცრად ჩემი ქალიშვილი მეკითხება:

– დედა, ჩამოვიდა მამა?

– ჯერ არა, – ვუპასუხე.

– როგორ არა, ამ წუთში დავინახე, თეთრი ხალათი ეცვა. ხატი კი თაროზე იდო, სად არის?

ამ სიტყვებმა გამაკვირვა. დაეუწყე დარწმუნება, რომ ყველაფერი დაესიზმრა.

– არა დედა, არ მიძინებია. შენც, მამასაც და ხატსაც გიყურებდით ცხადად... – ჯიუტად იმეორებდა გოგონა.

მისი სიტყვები მალე ზუსტად ახდა. ქმარი ძალიან მალე ჩამოვიდა ხატთან ერთად. ყველამ გავიხარეთ, რომ ღმერთმა ასეთი სიხარული შემოგვიტანა ოჯახში.

სიკვდილამდე არ დამავიწყდება, რა სიკეთე მიყო ღვთისმშობელმა; სიკვდილამდე არ დამავიწყდება და მადლიერი ვიქნები მისი ამის გამო.“ ასე დაამთავრა თავისი საინტერესო მონათხრობი ჩემმა მოსაუბრემ.

თქვენ ჩემი ოჯახი ხართ!

ბოლო ოთხი წლის მანძილზე ამ ოჯახში უთანხმოებისა და უსიამოვნების მეტი არაფერი ყოფილა. ქმარს პრაქტიკულად მიტოვებული ჰყავდა ცოლი და ავადმყოფი შვილი, რომელსაც ბრონქიალური ასთმა ჰქონდა. უმეტეს დროს ოჯახის გარეთ ატარებდა. ოჯახური გარემო ბიჭზე უკიდურესად უარყოფითად მოქმედებდა – ის მშობლებს არ უჯერებდა და ხელიდან წავიდა.

როგორც ხშირად ხდება, ადამიანები გაჭირვებას უფლისაკენ მიჰყავს. და აი, ამ ქალმაც ეკლესიას მიაკითხა. იქ ბევრი ახალი რამ გაიგო. მათ შორის ისიც, რომ უნდა სძულდეს ცოდვა და არა ადამიანი, რომელიც თავის თავში ღვთის ხატებას ატარებს, თუმცა ცოდვით შეურაცხყოფს მას. ქალს სულიერი მოძვარი ურჩევდა საბოლოოდ ზურგი არ შეექცია და ხელი არ ეკრა უბედური, გზააბნეული მეუღლისთვის. ქალი დამორჩილდა ბედს და მოძღვრის სიტყვებს, განაგრძობდა ეკლესიურ ცხოვრებას. ქმარი კი ძველებურად ცხოვრობდა.

ერთხელაც ნაცნობმა მღვდელმა, რომელიც ერისკაცობაში ექიმი იყო, ცოლ-ქმარს ურჩია სპასო-ბოროდინოს მონასტერში წასულიყვნენ მოსალოცად. ისინი ასეც მოიქცნენ – დიდ-

მარხვის მეორე კვირადღეს ამ წმიდა სავანეში დაესწრნენ ლიტურგიას, სადაც ეზიარნენ წმიდა საიდუმლოებებს. შემდეგ ქალი წმიდა რაქელის საფლავზე წავიდა და შეევედრა, დახმარებოდა მწუხარებაში, თუმცა უკვე ნაკლები იმედი ჰქონდა, რომ მის ოჯახში კიდევ რამე შეიცვლებოდა.

შემდეგ ისინი წავიდნენ კოლოცკის მონასტრის ახლოს წყაროზე. სადამოს ბოროდინოში დაესწრნენ მწუხრის მსახურებას და გვიან მოსკოვში დაბრუნდნენ.

სადამოს, ჩვეულებისამებრ, ცოლი ქმართან გამოსათხოვებლად მოემზადა. მან კი წასასვლელად გამზადებულმა, მოულოდნელად ხელში წასადებად აღებული ნივთები იატაკზე დააწყო და თქვა: „თქვენ ჩემი ოჯახი ხართ, მე თქვენ აღარასოდეს მიგატოვებთ, ვეცდები ვაღიარო და მოვინანიო ცოდვები. ნუ გამაგდებ, თქვენთან დარჩენა მინდა“.

ასეც მოხდა და ოჯახში საბოლოოდ სიმშვიდემ და ერთსულოვნებამ დაისადგურა.

რაც მედიცინამ ვერ შეაქლო...

ჩემი ქალიშვილი სვეტლანა ავად გახდა. უცნაური სიმპტომები ჰქონდა – სუნთქვა უჭირდა, თითქოს იხრჩობოდა. შინიდან ვეღარ გადიოდა. თუ სადმე ახლოს გავიდოდა, სახლამდე ძლივსდა აღწევდა, ასევე, გაუხდელად მიწვებოდა ხოლმე ლოგინზე – დახმარების გარეშე ტანსაცმელსაც კი ვეღარ იცვლიდა. მუდმივი გულისრევა და პირღებინება ჭამას უშლიდა. ამიტომ ძალიან გახდა, გაძვალებული.

ვხედავდი, შვილი თვალსა და ხელს შუა ხელიდან მეცვლებოდა, რაც აუწერელ ტანჯვას მეგრიდა. რომელ ექიმთან არ მყავდა, რა გამოკვლევა და ანალიზი არ გაეუკეთეთ, მაგრამ უშედეგოდ – ანალიზებში ყველაფერი ნორმის ფარგლებში იყო. დამყავდა თერაპევტთანაც, პიპნოზის სენსიტიზაცია. სანამ ფსიქოთერაპევტის წამლებს სვამდა, უკეთ იყო – ჭამდა, კარგად ეძინა, წონაშიც მოიმატა, მაგრამ როგორც კი მკურნალობა დაამთავრა, ყველაფერი თავიდან დაიწყო – ისევ გახდა, ისევ გულისრევა და პირღებინება დაეწყო. ერთი სიტყვით, მდგომარეობა კვლავ გამოუვალი შეიქნა.

მე შვილის უჩუმრად სულ ვტიროდი, თან ღმერთს ვევედრებოდი, ეშველა ჩემი შვილისთვის. დარწმუნებული ვიყავი, რომ უფლის გარდა ვერავინ გვიშველიდა.

ერთხელ სვეტლანამ ნეტარი ქსენია პეტერბურგელის წიგნი მომთხოვა. მე მქონდა წიგნი წმიდანთა კანონიზაციის შესახებ, სადაც წმ. ქსენიაზეც ეწერა. სვეტლანამ წიგნი გამომართვა. კითხულობდა და თან გამუდმებით ლოცულობდა. მალე გოგონა ცუდად გახდა. გული და ღვიძლი ასტივდა. ვერაფერი შველოდა. იწვა ლოგინში, ხელში წიგნი ეჭირა და ნეტარ ქსენიას ევედრებოდა, მიშველე, ფეხზე დამაყენეო... თან ცრემლები ჩამოსდიოდა.

ცოტა ხანში სვეტლანა აშკარად დამშვიდდა. მე, დათრგუნული და განაწამები, თვალეში შევეყურებდი.

– დედა, მგონი უკეთ ვარ, – დაიხურჩულა ჩემმა გოგომ. მე ყურებს არ ვუჯერებდი. ორი-ოდე წუთში ღვიძლი სულ ჩაუწყნარდა, გულის ტკივილიც შეჩერდა. ამ დღიდან ნელ-ნელა დაიწყო გამოკეთება.

ჩვენ ლოცვას განვაგრძობდით – ერთად შევთხოვდით უფალს და მის წმიდანებს შეველას. და მოხდა ის, რაც ურწმუნო გონებისთვის მიუწვდომელია, მორწმუნისათვის კი ჩვეულებრივი ამბავია. ის, რაც ვერ შეძლო მედიცინამ თავისი მედიკამენტებითა და გამოკვლევებით, შეძლო ჩვენმა გულწრფელმა ლოცვამ. ღმერთმა შეისმინა იგი – ჩემი შვილი განიკურნა, ავადმყოფობა უკვალოდ გაქრა. მადლობის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა და ახლა უკვე სამადლობელ ლოცვებზე გადავვდით. დიდება და მადლობა ღმერთს და მის წმიდანებს!

როგორც სიმაღლო აღამიანისაღმი ღვთის სიყვარულისა

კვიპროსის კუნძულ ქ. ლიმასოლში მცხოვრებ ერთ ღარიბ ოჯახში დიდი უბედურება ტრიალებდა. ამ ოჯახის ორი პატარა შვილი – ერთი ექვსის, მეორე კი რვა წლისა, სისხლის გათეთრებით იტანჯებოდა. მშობლებიც და ექიმებიც თავდაუზოგავად ებრძოდნენ ამ დაავადებას. მათი გაფითრებული სახეებისა და დაუძღვრებული სხეულების ყურებით მშობლებს გული ეკუმშებოდათ, სიცოცხლე წყევად გადაექცათ. ერთ დღესაც მათ ყურს მისწვდა წმ. იოანე რუსის სასწაულთმოქმედი წმიდა ნაწილების შესახებ, რომლებიც საბერძნეთშია დავანებული. მშობლებმა მხურვალე რწმენით დაიწყეს ლოცვა. სადამოლობით ცოლ-ქმარი ლოცვაზე რომ დგებოდა, კანდელის მკრთალი ნათელი ოდნავ ანათებდა ბავშვების გაფითრებულ სახეებს. ისინი უკიდურესი ტკივილით და სასოებით ევედრებოდნენ წმიდანს მათს გამოჯანმრთელებას.

– წმიდაო იოანე, – ცრემლებით ჩურჩულებდა ერთ საღამოს მუხლებზე დაჩოქილი დედა, – გამომიჯანმრთელე შვილები, ამ ტანჯვას ველარ ვიტან.

– წმიდაო იოანე, მობრძანდი, ნახე ჩემი სახლი აქ, ლიმასოლში, მობრძანდი და უშველე ამ ჩვენს უბედურებას! – ყრუდ ქვითინებდა მამა.

დილით ავადმყოფი ბავშვების საწოლთან რომ მივიდნენ, მშობლებმა შენიშნეს, რომ პატარა ძმებს სახეებზე ფერი სრულიად შეცვლოდათ. შვილებმა რომ გამოიღვიძეს, მთელი ოჯახი სასწრაფოდ ექიმთან წავიდა.

– ძვირფასებო, ჩვენ ხომ ახლახან გავაკეთეთ სისხლის ანალიზი, ნუ აწვალვით ბავშვებს, – თქვა ექიმმა.

დედა ჯიუტად მოითხოვდა სისხლის ანალიზის ხელახლა გაკეთებას. ექიმი, როგორც იქნა, დაყაბულდა. ანალიზმა ამჯერად სისხლის ნორმალური შემადგენლობა აჩვენა. ექიმმა ვერაფრით ახსნა ეს. ან კი როგორ ახსნიდა – რწმენამ მოახდინა სასწაული!

ბედნიერმა მშობლებმა ორიგინალურად გამოხატეს თავისი მადლიერება – მათ ცვილისგან შვილების მთლიანი ფიგურები გააკეთებინეს და წმ. იოანეს სასწაულთმოქმედ ნაწილებთან წაიღეს. მთელმა ოჯახმა მუხლი მოიყარა ამ ნაწილების წინაშე. ისინი მთელი გულით მადლობდნენ უფალს და მის წმიდანს. ცვილისგან ჩამოქნილი ბავშვების ფიგურები დღემდე

ინახება წმ. იოანე რუსის სახელობის ტაძარში, როგორც სიმბოლო ადამიანისადმი ღმერთის სიყვარულისა.

საბანგეპო შემთხვევა მენიერებაში

ექიმები კატეგორიულნი და შეუბრალებელნი იყვნენ: „თქვენს შვილს თანდაყოლილი იშვიათი ავადმყოფობა, აკრომეგალია (კიდურების არაპროპორციული ზრდა, რომელსაც ტვინის დანამატის – ჰიპოფიზის დაზიანება იწვევს) აქვს, თანაც მძიმე ფორმებში. ძალიან სუსტია და, როგორც არ უნდა ვეცადოთ, ორ აუცილებელ ოპერაციას ვერ გადაიტანს. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მისი ორგანიზმი.“

ბავშვის დედას არაფრის გაგონება არ სურდა. მან ქმარი დაარწმუნა გაეყიდათ მთელი ქონება და პარიზში ბავშვთა ჯანმრთელობის ინსტიტუტში წასულიყვნენ. მაგრამ იქაც იგივე დიაგნოზი დაუსვეს და იგივე რჩევა მისცეს. ერთს ამბობდნენ ექიმები, მეორეს – დედა: „გადაამირჩინეთ შვილი“.

ბავშვს მოულოდნელად სიცხემ აუწია. სასოწარკვეთილმა დედამ უგონოდ მყოფი ბავშვი ხელში აიტაცა და სწრაფი ნაბიჯებით საავადმყოფოს გამოსასვლელისკენ გაემართა. იქ მყოფები გაოცებული უყურებდნენ ქალის საქციელს. იგი პირველსავე შემხვედრ ტაქსში ჩაჯდა და სასწრაფოდ გაემგზავრა ცენტრალური საფრანგეთის ცნობილ კურორტში, სადაც მართლმადიდებლური მონასტერი ეგულებოდა. იქ ჩასული პირდაპირ ღვთისმშობლის ხატისკენ გაემართა. ქალს სტუდენტობის დროს სმენოდა ამ ხატის შესახებ და ახლა, ამ უკიდურესი გაჭირვების უამს, გაახსენდა იგი.

– ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო ჩემო, ძალ-ღონე აღარ მაქვს; თუ ჩემს შვილს სიკვდილი უწერია, დაე, შენი ხატის წინ მოკვდეს. გევედრები, ყოვლადწმიდაო, რომელმაც ძე შენი ჯვარცმული ნახე, რომელმაც ყველაფერი დაითმინე, მეც დამეხმარე ჩემი უბედურების გადატანაში.

ამ დროს ეკლესიაში იყო ვინმე სერგი როსოსი, რომელსაც ოდესღაც ათენში უცხოვრია და ცოტა ბერძნული ენა იცოდა. მან დაინახა უაღრესად შეწუხებული ქალი და უთხრა: „თქვენთან, საბერძნეთში (ქალი ეროვნებით ბერძენი იყო) დავანებულია წმიდა იოანე რუსის წმიდა ნაწილები. მისი ლოცვებით სასწაულები ხდება. მე წლების მანძილზე თან დავატარებ მის ხატს და ყოველთვის მას მივმართავ ლოცვით. მოდით, შევევედროთ წმიდა იოანეს და ვიქონიოთ ღვთის წყალობის იმედი.“

იმავ წამს, როგორც კი ხატი ბავშვის შუბლს შეეხო, მას შეაკანკალა, როგორც ციებ-ციხელების დროს და მთელ სხეულზე ცივმა ოფლმა დაასხა. დედა ბავშვის შუბლს შეეხო – სიცხემ დაიწია.

ის დამე მონასტერში გაათენეს. დილით კი დედამ ბავშვი საავადმყოფოში დააბრუნა სამკურნალოდ. სამი თვის შემდეგ, ყველანაირი ოპერაციის გარეშე, ბავშვმა ნორმალური განვითარება იწყო, გამრუდებული ხელ-ფეხი გაუსწორდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ნორმის

ფარგლებში მოექცა. „მეცნიერებაში ეს საგანგებო შემთხვევაა.“ – თქვეს ფრანგმა ექიმებმა. „საგანგებო გამოხატულება რწმენისა და წმიდანთა დახმარებისა!“ – დაამატა დედამ, რომელიც ძლივს უმკლავდებოდა განუზომელ სიხარულს. ასეთი სიხარული აქვს მას ყოველდღე, როდესაც უყურებს, როგორ მიდის სკოლაში ჯან-ლონით საგსე მისი შვილი.

...და უტყუარი სიკვდილი წამებში უკუნძულა

ცოლ-ქმარმა პაპადიმიტრიუებმა თავიანთი ხმელთაშუა ზღვის ანემით დაავადებული შვილი კომატოზურ მდგომარეობაში მიიყვანეს ათენის ბავშვთა საავადმყოფო „აია-სოფიაში“.

ამჯერად ეს ავადმყოფობის უბრალო გართულება არ იყო. რენტგენის კაბინეტში ექიმმა დედას აჩვენა ენცეფალოგრამა, რომელზედაც აშკარად ჩანდა თავის ტვინის სისხლძარღვებში წარმოქმნილი ტრომბები. „ეს უტყუარი სიკვდილია“ – ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა ექიმი და თან დედას ტრომბებით ჩაჭედებულ სისხლძარღვებს უჩვენებდა.

უნუგემო დედამ მთელი გულით მიმართა წმ. იოანე რუსს: „წმიდა იოანე, გემუდარები, გადამირჩინე ჩემი პატარა“. და... წამებში აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ მოხდა – ექიმ-მაც და დედამაც ცხადად დაინახეს ენცეფალოგრამაზე, როგორ დაშალა უჩინარმა ხელებმა ტრომბები. ცოტაც და... ყველაფერი ნორმაში ჩადგა. ბავშვმა გამოიღვიძა და დაიძახა: „დედა, სადა ხარ?“

„აქა ვარ!“ ძლივს ამოიღო ხმა დედამ და ცხარე ცრემლებით (ამჟამად უკვე სიხარულის ცრემლებით) მადლობდა უფალს და მის წმიდანს.

ჩვენ აქ მოვიტანეთ მაგალითები, რომლებიც მხოლოდ ერთმა წმიდანმა – იოანე რუსმა აღასრულა. უფლის ყველა წმიდანს ძალუძს შეისმინოს ჩვენი, თუკი გულით შევთხოვთ. განსაკუთრებით კი მათ – ვისაც სენტა კურნების ნიჭი აქვთ მიმადლებული.

ნათქვამი მხოლოდ სასწაულებრივი კურნების შემთხვევებს არ ეხება. რწმენით ნათხოვი ადამიანს ყველა სიტუაციაში გამოიყვანს მდგომარეობიდან.

სასწაული პარაშუტხე

ჩემი ოჯახი დეთის სათნოდ ცხოვრობდა. თუმცა, თავად მე ღმერთი არ მწამდა.

ჯარში გაწვევის დრო რომ დამიდგა, დედამ, რომელიც ეკლესიაში ხშირად დადიოდა და ჩემთვის ლოცულობდა, პატარა ქაღალდის ნაფლეთი მომცა, რომელზეც ლოცვა ეწერა და მითხრა: „შვილო, ეს სულ თან გქონდეს“ (შემდგომში გავიგე, რომ ეს იყო 90-ე ფსალმუნი).

დესანტთა ნაწილში მომიწია სამსახური. ჯარში სამსახურის დროს ჯიბეში ზედმეტი ქაღალდის ან სხვა რამის ტარება არ შეიძლება და მე დედის მოცემული ფსალმუნი გიმნასტურის მარცხენა მხარის სარჩულქვეშ ჩავიკერე.

დადგა პარაშუტიდან ჩემი პირველი გადმოხტომის დღე.

სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდება ის წამი, როდესაც ჰაერის უძირო სივრცეში გადავარდნილმა გამოვწიე რგოლი და... პარაშუტი არ გაიხსნა. გამოვწიე სათადარიგო პარაშუტის რგოლი და... ისიც არ გაიხსნა.

მიწა ელვის უსწრაფესად მიახლოვდებოდა. აღამიანს გასაჭირი რომ დაადგება, ყველაფერს წაეპოტინება და მეც დედის მოცემული ქაღალდი გამახსენდა. ამ დათვლილ წამებში, რასაკვირველია, არ შემეძლო გიმნასტურში ჩაკერებული ლოცვის ამოღება და წაკითხვა. ამიტომ მხოლოდ ხელი დავირტყი ზედ და დავეყვირე: „უფალო, მიშველე!“ ამის წამოძახება იყო და... პარაშუტი სწრაფად გატყლაშუნდა და გაიხსნა.

მიწაზე მშვიდობიანად დაბრუნებულს უფროსებმა და მეგობრებმა კითხვები დამაყარეს. იყო ყველაფერი – გაოცება, დედის განუზომელი სიხარული, მისი ცრემლები... მე კი იქვე ცაში, მიწაზე დაშვებამდე თავს სიტყვა მივეცი, რომ სასწაულებლად სემინარიაში შევიდოდი. შემდგომში, სემინარიის დამთავრების შემდეგ, მონასტერში წავედი და ახლა სქემმონაზონი ვარ.

სანამ ცხოვრების წვრილი ძაფი ბაწყდებოდეს... პეტერბურგელი ახალგაზრდა კაცის ნამბობი

მამაჩემი დიდვაჭარი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ არასასიამოვნო გარემოში მოგვდი. ისეთი ძალით ჩამითრიეს ცოდვათა უფსკრულში, ვეღარაფერი მშველოდა და მაჩერებდა – არც დედის ტირილი, არც მისი ლოცვები. სწრაფად ვუახლოვდებოდი სიკვდილს. ჩვენი ოჯახის საქმე სულ უკან წავიდა. მამაჩემის სიმდიდრე ჩემს ხელში მალე გაქრა და ჩემს დაღუპვას წინ აღარაფერი ედგა... მაგრამ დედა დღე და დამ მხურვალედ ლოცულობდა ჩემთვის.

ერთხელ მორიგი მშფოთვარე დამის შემდეგ დილის შვიდ საათზე შინ ვბრუნდებოდი. ჩემი საქციელის გამო ღრმა სინანულს განვიცდიდი. შემოდგომის ღრუბლიანი დღე თენდებოდა. ნევის პროსპექტზე ყაზანის ტაძარს გვერდით რომ ჩავუარე, ჩემი მხერა რაღაც სასწაულებრივმა მოვლენამ მიიპყრო: ეკლესიის თავზე რაღაც არაჩვეულებრივი შუქი აკიაფდა. ამ რბილ და სასიამოვნო სინათლეში აშკარად დავინახე ღვთისმშობლის მოლივლივე ხატი, ჩემი უმსგავსო ცხოვრებით დანადგლიანებული. გაოგნებული სწრაფად ჩამოვხტი ეტლიდან და ტაძრისკენ გავემართე. აქ უკვე ახალი გასაოცარი სურათი მელოდა: ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი დედაჩემი ცრემლს ღვრიდა.

აქვე, ტაძრის იატაკზე ცრემლის პატარა გუბე იდგა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი დედის დანახვაზე გული მომეწურა, უზომოდ შემებრადა. შეუმჩნევლად მის უკან ჩავიჩქე და სინანულისგან გულამოსკვნით ავტირდი. გული თითქოს მიდნებოდა, აქ სრულად შევიგრძენი, რა სწრაფად მივექანებოდი დაღუპვისკენ. დედაჩემის გულმხურვალე ლოცვის შემდეგ ღვთისმშობელმა მოწყალება მოიღო ჩემზე. იმ დღიდან დაიწყო ჩემი სულის გარდაქმნა და ჩემს ოჯახში ნელ-ნელა ნათელმა დაისადგურა. მამის საქმე განვაახლე და სერიოზულად მოვკიდე ხელი. ვგრძნობ, უფალი მეხმარება წარმატებაში.

რამდენი მანამდე უცნობი გრძნობა გავიგე ახალი ცხოვრების დაწყების შემდეგ. რა სიცოცხლე, რა სიხარული, სიტკბო, სიმშვიდე იღვრება ჩვენს სულში ჩვენი ცოდვების მონანიების შემდეგ, როდესაც ჩვენი მაცხოვრის წმიდა სისხლსა და ხორცს ვეზიარებით. ცოდვიანი ზრახვები და ვნებები მყისვე უკან იხევს. ამის ნაცვლად წმიდა, ღვთიური აზრები შემოდის ჩვენში; სული ჯანსაღდება და სიხარულით აღიდებს სიცოცხლის მომნიჭებელ ღმერთს. ეს ყველას შეუძლია განიცადოს, ვინც რწმენით და სინანულით მიეახლება უფალს. დაიცავი თავი ცოდვიან ცდუნებათა და სიამეთაგან, დაუღალავად ილოცე, ევედრე ყოვლის-შემძლე უფალს, რათა განგამტკიცოს რწმენაში ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდის კამს და დაგიფაროს ამა სოფლის ცდუნებისგან.

ცოცხალი რწმენის გზაზე დადგომა მომავლისთვის არ გადადო, რადგან ვინ იცის, იქნებ დათვლილია შენი სიცოცხლის დღეები და სიკვდილის ანგელოზი უკვე დანავარდობს შენს თავზე და შენი ცხოვრების წვრილი ძაფის გასაწყვეტად ემზადება. კუბოსთან უკვე გვიანია, იქ უკვე აღარ არის მონანიება, მოქცევა. ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს – იხსენით თქვენი თავი, ღმერთი შეგეწიოთ!

სასჯელი

არქიმანდრიტ კრონიდის (ლუბიმოვი) ქადაგებიდან

ეს ამბავი ქალბატონმა ვალენტინამ გვიამბო.

დედაჩემი კეთილმორწმუნე ქალი იყო, მამა – ურწმუნო. ჩვენი ოჯახი ქალაქის უფროსის ოჯახთან მეგობრობდა. მისი მეუღლე მაღალი წრის ქალი იყო და ძალიან უყვარდა ამ წრისათვის დამახასიათებელი სიამოვნებანი. ერთხელ მან საოჯახო სპექტაკლის მოწყობა განიზრახა. სხვებს შორის მეც მიმიწვია სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად. მე დედასთან შეუთანხმებლად დავეთანხმე. დედას ძალიან ეწყინა ჩემი თავნებობა და მთხოვა სცენაზე თამაშზე უარი მეთქვა. სამაგიეროდ მამას მოეწონა გადაწყვეტილება და დედას უსაყვედურა, შენს მონასტრულ წესებს მოთმინებიდან გამოვყავარო. დიდხანს გრძელდებოდა მათი კინკლაობა. ბოლოს დედამ ხელი ჩაიქნია და მითხრა: როგორც გინდა, ისე მოიქეცი, რაკი ჩემს შეხედულებებს და რწმენას შენ არ იზიარებო.

ამ საოჯახო უსიამოვნებებმა დედაზე ძალიან იმოქმედა და მეორე დღიდან ლოგინად ჩავარდა. მას ისედაც სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა და მომხდარმა კიდევ უფრო შეურყია.

დაინიშნა სპექტაკლის დღე – 30 სექტემბერი. სპექტაკლზე წასვლის წინ დედასთან მივედი გამოსათხოვებლად. მან ისეთი ნაღვლიანი თვალებით შემომხედა, რომ უხერხულად ვიგრძენი თავი და თვალები დავხარე. მან დაბალი ხმით, ისე რომ მამას არ გაეგო, მითხრა: „ხვალ დიდი დღესასწაულია, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის დღე, შენ კი სპექტაკლზე სათამაშოდ მიდიხარ; დაფიქრდი, ვის ასიამოვნებ შენი თამაშით და მხიარულებით?“

დედას თვალებზე ცრემლები მოადგა. ვიდექი მის წინ თავჩაქინდრული. მისმა სიტყვებმა ჩამაფიქრა, მაგრამ მამის ხმამ გამომაფხიზლა – „დიდი ხანია გელოდები, წამოდი!“

მინდოდა დედისთვის მეკოცნა, მაგრამ მან ხელით განზე გამწია... არ მახსოვს, როგორ გამოვედი სახლიდან და ეტლში ჩავეჯექი. როდესაც მე და მამა ქალაქის უფროსის სახლში მივედით, იქ უკვე შეკრებილიყვნენ სტუმრები. ისინი მხიარულობდნენ. მუსიკოსები ინსტრუმენტებს მართავდნენ. მე საპირფარეოში შევედი.

მოვიდა სცენაზე გასვლის დრო. ფარდა აიხადა... და მე ფეხი შევედგი სცენაზე. მსუბუქი ჰაეროვანი კაბა მეცვა. უცებ მაღლიდან სანთელი ჩამოვარდა და დამეცა. თვალის დახამხამებაში კაბას ცეცხლი მოეკიდა და ერთბაშად ცეცხლის ალში გავეხვიე... გონება დაგვარგებნილი წარმოსადგენი არ არის, რა აურზაური ატყდა ხალხში. მაშინვე სახლში წამიყვანეს. დილით, გონს რომ მოვედი, ექიმი და ექთანის ხელებს მიხვევდნენ. ძლიერი დამწვრობისგან აუტანლად მტკიოდა სახე, ყელი და ხელები. მოკლედ... ოთხი თვე ვიწექი.

ჩემს თავს მომხდარმა უბედურებამ დედაჩემის ჯანმრთელობა მკვეთრად გააუარესა. აღარავის ეგონა, რომ იგი გამოჯანმრთელდებოდა, მამა კი ჭკუიდან შეშლის პირას იყო. ცოტა რომ გამოვკეთდი, სახლში მღვდელი მოვიწვიეთ და ვეზიარე.

ნახევარი წლის შემდეგ მამა აპოპლექსიკური დარტყმით გარდაიცვალა. მე, მართალია, დამწვრობა მომიჩნა, მაგრამ თვალებში ძლიერ ტკივილებს ვგრძნობდი. რამდენიმე ხანში მთლად დაგებრმავდი. პირველ ხანებში ჩემს სიბრძავეს სრულ სასოწარკვეთამდე მივეყავდი, მერე კი მივხვდი ყველაფრის მიზეზს, მივხვდი, რომ ეს ღმერთის სასჯელი იყო. მე ხომ დიდ დღესასწაულს უპატიოდ მოვექეცი.

შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ მე ჩემს უბედურებაში ღმერთის მოწყალებას ვხედავდი, რომელსაც მე, ცოდვილი, ხსნისკენ მივეყავდი. ეს უბედურება რომ არა, ხომ დავიდუპებოდი მაღალი წრის ცხოვრების ორომტრიალში, ამ ცოდვით სავსე სიამონებებში. მხოლოდ ახლა, უფლის მიერ დასჯილმა, შევიგრძენი ღვთის განგებულება; მივხვდი, რომ მწუხარება შემთხვევით არ ეძლევა ადამიანს, რომ ეს მისი ხსნის ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა.

ჩვენ ჩვენი დაუდევარი ცხოვრებით გამოწვეული ყველა უბედურებისგან გადასარჩენად უფალს ვსასოებთ, მისი უსახდგრო გულმოწყალების იმედი გვაქვს და ამ დროს გვაავიწყდება მისი მართლმსაჯულება. ჩვენ გვაავიწყდება, რომ ღმერთი მოწყალეა, მაგრამ ყოველდღიურად მკაცრად მოგვიკითხავს. იგი მოწყალეა, მაგრამ მართლმსაჯულია. იგი არავის უდებს მცნებად უპატიოსნო საქციელს და არავის აძლევს შეცდომების უფლებას. იმიტომ, რომ გულმოწყალებასთან ერთად მრისხანებაც აქვს ცოდვის ჩადენისთვის. წმიდა წერილის ეს სიტყვები დედამ მითხრა სიკვდილის წინ, ამიტომაც ღრმად ჩამებუჭდა გულში“.

ასე დაასრულა თავისი მონაყოლი ღვთისმოსავმა ქალბატონმა ვალენტინამ. მან რამდენჯერმე გადაისახა პირჯვარი და ცრემლები მოიწმინდა, წყალივით რომ ჩამოსდიოდა სახეზე.

ჭეშმარიტად ჭკუის სასწავლებელია ეს ამბავი ნებისმიერი ოჯახისთვის. დღეს, როდესაც თავად უფროსები უზომო დროსტარებას უნდებიან სადღესასწაულო დღეებში და ხშირად შვილებსაც ასწრებენ არასასიამოვნო სანახაობებს; სადღესასწაულო დღეებში ტაძარში

წასვლის ნაცვლად შუადღემდე სძინავთ ან სხვადასხვა ვნებას ეძლევიან. სად არის ყოველივე ამაში რწმენა? სად არის რწმენით ცხოვრება? არა, ეს რწმენით ცხოვრება კი არა, არამედ საკუთარი ჟინით, საკუთარი ახირებით ცხოვრებაა. ამასთან, რა ხშირად გვხვდება ეს! რა ხშირად არის, რომ ქრისტიანის რწმენა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის ქრისტიანია. სხვა სარწმუნოების მატარებელთაგან მას მხოლოდ მკერდზე ჯვრის ტარება გამოარჩევს. ხოლო სუფთა და წმიდა, მკაცრი და მაღალი წესებით ცხოვრებას, პატიოსნებას, მორჩილებას, უმანკო სიყვარულს... – ყოველივე ამას ნუ ეძებთ და ნუ მოითხოვთ. ზოგიერთს გარეგნულადც აღარ ეტყობა, რომ ეკლესიის წევრია. ტაძარში ხომ არ დადიან და არა, მაგიდას ისე მიუსხდებიან, რომ ღოცვას არ წარმოთქვამენ. ამბობენ, ეს სირცხვილია, მიღებული არ არის, რწმენა გულში უნდა ატარო... ავიწყდებათ, რომ „*გულის სისხვისგან ამბობს პირი*“ (მათ. XII, 34). ესე იგი რაც გულშია, გარეთაც ის გამოდის. ასე რომ ქრისტიანული სული, რითაც გამსჭვალული უნდა იყოს ჩვენი სიტყვებიც, საქციელიც, – ეს სული განდევნილია საზოგადოებიდან. მას აშკარად სჯაბნის დროის სული.

ამის ნაცვლად გზა ეძლევა ცხოვრებისეულ ანგარებას, პირად გამორჩენას, თავისმოყვარეობას. სწორედ ეს მართავს მეტწილად ქრისტიანის ცხოვრებას. ჩვენ, ცოდვილებს, თავგზა აგვებნა ცხოვრებისეულ საზრუნავებში. ღვთისადმი ღოცვისთვის როგორც საჭიროა, არ გვცალია, ეკლესიაში წასვლის დრო არა გვაქვს!..

მაგრამ მოვა, ბოლოსდაბოლოს ნამდვილად მოვა ეს მრისხანე საათი; მოვა და გინდა თუ არ გინდა, უნდა დასრულდეს ყველაფერი, უნდა მოკვდეს და მაშინ?!..

როცა ოჯახს შვილი არ ეძლევა

ვერც ერთი, რაგინდ ამაღლებული, მიზანი ვერ შეედრება ოჯახის უპირველეს მიზანს – შვილების კარგად აღზრდას, მაგრამ არის ოჯახები, რომელთაც შვილის ყოლის ბედნიერება აკლიათ. არადა, რა სასოებით მოელიან ხოლმე ოჯახში პირმშოს დაბადებას!..

რა უნდა იღონოს ცოლ-ქმარმა, თუ მათ შვილი არ ეძლევა?

ყველა უშვილო ცოლ-ქმარს სამყაროს დედოფლის – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დაბადება უნდა ახსოვდეს. კერძოდ ის, თუ როგორ ღვთისსათნოდ ცხოვრობდნენ მისი მშობლები, იოაკიმე და ანა – პატიოსანნი, კეთილსინდისიერნი, ღვთის სჯულის აღმსრულებელნი; როგორ განიცდიდნენ ისინი უშვილობას და რა გულით შესთხოვდნენ უფალს მათთვის შვილის მონიჭებას. და უფალმა, ყოვლადმოწყალემ, ისმინა მათი.

„შენი ღოცვა შეისმინა უფალმა, შენმა ოხვრამ ღრუბლები გააპო, შენი ცრემლები ღვთის წინაშეა. შენ შობ შვილს, ყველაზე კურთხეულს დედამიწის შვილთაგან; მისი მეშვეობით მიიღებს ხსნას ადამიანთა მოდგმა“. – უთხრა უფლის ანგელოზმა ანას. გახარებულმა ანამ აღთქმა დადო, თუ შვილი ეყოლებოდა, უფალს მიუძღვნოდა, და მცირე ხანში ქვეყანას ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი მოეველინა.

უშიფლობა სნეულებაა. მისი გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „სნეულებანი ღვთის მიერ სხვადასხვა მიზნით დაიშვებიან: ერთისთვის იგი დიდების გვირგვინია, მეორისთვის – სასჯელი, მესამისთვის – შეგონება. საერთოდ კი ყველა შემთხვევაში ავადმყოფობა ნიშანია იმისა, რომ მოგვხედა ღმერთმა, და რომ ის ზრუნავს ყოველ ადამიანზე, რამეთუ უფალს „ყოველთა კაცთაჲ პნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლჳაჲ“ (1 ტიმ. II, 4).

მაგრამ გაუთვინობიერებელი ადამიანები, ხშირად მონათლულნიც კი, თავს მართლმადიდებლებად რომ თვლიან, სასოწარკვეთილნი ჯადოქრებთან და ექსტრასენსებთან გარბიან უშიფლობის განსაკურნებლად და ამით უფრო იმძიმებენ მდგომარეობას. უფალი გვეუბნება: „რად სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვის იზღვიოს“ (მათ. XVI, 26). გვასოვდეს მუდამ პეტრე მოციქულის სიტყვები მისნებისა და ჯადოქრების შესახებ: „ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ უფროდსდა ამხილებდითცა“ (ეფეს. V, 11).

დავუშვათ და მოხდა ამ სენის განკურნება ბოროტი ძალის გამოყენებით, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეშმაკი ადამიანის მისატყუებლად და მოსახიბლად ხშირად ნათლის ანგელოზის სახეს იღებს და ერთი შეხედვით თითქოს სასარგებლო საქმეშიც „უწყობს“ ხელს, მაგრამ ასეთი „კეთილი“ სამსახურისთვის როდის და რა დროს მოითხოვს „საფასურს“, ეს არავინ იცის. დროებითი განკურნება და ტკივილის გაყუჩება არ ნიშნავს, რომ დაავადება სრულიად აღმოიფხვრა. და რაც ყველაზე საშიშია, შავ და თეთრ მაგიასთან საშველად მისული ადამიანი, თუ ის დროულად არ მოეგო გონს, საბოლოოდ წარიწყმედს სულს. „როგორც მონებით მოვაჭრენი სთავაზობენ პატარა ბავშვებს ღვეხელს, ტკბილ ხილსა და მისთანებს, და ამგვარი სატყუარებით დამორჩილებულთ თავისუფლებას და თვით სიცოცხლესაც კი წარსტაცებენ, ასევე გრძნეულნი წარწყმედენ სულს სნეული ასოს მორჩენის დაპირებებით“ (წმ. იოანე ოქროპირი).

ახლოსაც კი არ უნდა გავეკაროთ ჯადოქრებს და ექსტრასენსებს, თეთრი და შავი მაგიის მსახურთ!

როგორ მოვიქცეთ?

პირველ რიგში უნდა გავიაზროთ, რატომ არის მრავალი ოჯახი დასნეულებული უშიფლობით. დაფიქრდეთ, როგორია ჩვენი ზნეობა, სურვილები. ვის ვემსახურებით, ღმერთს თუ ეშმაკს? თვალი გადავაგვლოთ, როგორ ვცხოვრობთ და აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ჩვენთანგანი კრიშნაიდი, ბუდისტი, იელოველი, შტაინერისტი და სხვა მწვალებლობის მიმდევარია, თავისი ნებით რომ შეაქცია ზურგი მაცხოვარს და თავყანს სცემს ეშმაკს; ზოგს ეკლესიური ცხოვრების მნიშვნელობა საერთოდ არ ესმის; არიან ექსტრასენსები, მკითხავეები, თუმცა ამ უკანასკნელთ ყავის ჭიქის გადაბრუნება და თეფშის დატრიალება უბრალო თამაშად და დროის გაყვანად მიაჩნიათ, რამეთუ არ იციან, რომ წმიდა წერილი მკაცრად კრძალავს კონტაქტს ოკულტურ სამყაროსთან: „ნუ იქნება შენს შორის... ჯადოქარი, მომნუსხველი, მარჩიელი, რადგან საძაგელია უფლისათვის ყოველივე ამის ჩამდენი“ (მეორე რჯ. XVIII, 12);

ძალზე გავრცელდა ნარკომანია; სიგარეტის მოწევა არათუ მამაკაცებმა არ მოიშალეს, არამედ ქალებიც მიეძალნენ, ისე რომ თვითონაც არ იციან, რას ემსახურებიან ამით. ბევრი კიდევ როკ-მუსიკით ისეა გატაცებული, რომ შეუძლია დილიდან დაღამებამდე ან მთელი დამეც სატანურ მელოდიებს უსმინოს და თავისი ნებით ხელი შეუწყოს საკუთარ სულიერ, ფიზიკურ და ფსიქიკურ რღვევას.

გთავაზობთ ნაწყვეტებს არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებიდან „მაგია და თანამედროვეობა“: „...რა თქმა უნდა, ყველას გაგიგიათ „ჯაზური მუსიკა“, მაგრამ რა არის და საიდან მოვიდა ეს მიმდინარეობა? ის შემოიტანეს ზანგებმა აფრიკის ცენტრალური რაიონებიდან. აქ ამ მუსიკას რიტუალური დატვირთვა ჰქონდა. მას ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვის, მაგიური რიტუალებისა და ცეკვების დროს. შემდეგ ის, რამდენადმე შეცვლილი სახით, გადაეცა სხვა ხალხებს და ისინი ამ უჩვეულო მუსიკის მოსმენისას ქვეცნობიერად ერთგებიან ოკულტური ცეკვებისა და სიმღერების რიტმში, ისე რომ ვერ აცნობიერებენ ამას.

ძმანო და დანო! დღეს ძლიერ გავრცელებულია ნარკომანია. მაგრამ ეს არ არის წმიდა ფიზიკური ან ფსიქიკური მოვლენა. მასაც ღრმად ოკულტური ფესვები აქვს. შამანები, კერპთმსახურები, მკითხავეები ნარკოტიკების მეშვეობით ვარდებოდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ რეალურად შეეძლოთ ბნელ ძალებთან ურთიერთობა... ასე რომ ნარკომანიის გავრცელებაც ოკულტურ-სატანური სამყაროს თავდასხმაა კაცობრიობაზე...

რა კავშირი უნდა ჰქონდეს ოკულტიზმთან და მაგიასთან ერთი შეხედვით ისეთ ჩვეულებრივ მოვლენას, როგორც თამბაქოს წევაა. მაგრამ ის წარმოშობილია ჩრდილოამერიკელი ინდიელების მაგიური და რიტუალური წეს-ჩვეულებებიდან... მას თავისი ოკულტური, ჯადოქრული და დემონური საწყისები აქვს.“

შეიძლება ვინმე შეგვედავოს, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ნაყოფის ჩასახვას ან მის განვითარებას როკ-მუსიკის მოსმენასთან, მაგრამ მეცნიერებმაც კი დაადგინეს, რომ ნაყოფი საოცრად მგრძნობიარეა. ის მისდამი მშობლების დამოკიდებულებასაც კი გრძნობს. გრძნობს, სურთ თუ არა მშობლებს მისი გაჩენა. ასევე ეკლესიურად მცხოვრები დედებისგან მსმენია, რომ როდესაც ორსულობის ჟამს წირვას ესწრებოდნენ, ყოველ წირვაზე ღვთისმშობლის საგალობლის მოსმენისას ან ზიარების დროს მათი პირმშო მუცელში ფართხალს და მოძრაობას იწყებდა. თუკი ნაყოფი ასეთი სიხარულით ხვდება სიწმინდესთან შეხებას, ადვილი წარმოსადგენია, რა დამთრგუნველად იმოქმედებს მასზე ის სატანური მუსიკა, რომელიც ღონიერ და ჯანსაღ ჭაბუკებზეც კი საშინელ გავლენას ახდენს და მიჰყავს ისინი საშინელი აგრესიის გამოვლინებამდე, იწვევს მათში ფსიქიკურ აშლილობას.

ერთ-ერთი მტერი შვილოსნობისა არის მოღიბება. მოღიბება ხშირად აიძულებს ქალებს ატარონ ჯანმრთელობისთვის საზიანო ტანსაცმელი: ძალიან ვიწრო კორსაჟები, მოკლე კაბები სქელ და თბილ ჩექმებთან ერთად და სხვა მრავალი. ნახევრად შიშველი სიარული (განსაკუთრებით ზამთარში), საათობით მზის აბაზანების მიღება და შემდეგ ცივ წყალში ბანაობა, მუდმივი დიეტა სხეულის სიგამხდრის შესანარჩუნებლად, ძალიან ხშირად მთავრდება ნაყოფის დაღუპვით და სხვადასხვა ანთებების გამოწვევით, რომლებიც შემ-

დგომში შეიძლება გახდეს უშვილობის ან მძიმე მშობიარობის მიზეზი; გადამეტებული ზრუნვა სხეულისთვის სულის საზიანოდ თვით სხეულსავე ვნებს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარხვის დაცვას და ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში პერიოდულ თავშეკავებას, რომელსაც თუმცა მონათლულნი არიან, მართლმადიდებლობაში გაუთვიცნობიერებლობის გამო ბევრი სკეპტიკურად უყურებს. არადა, თვით სექსოლოგებიც კი აღიარებენ, რომ თავშეკავება ჯანმრთელობის ერთ-ერთი საიმედო გარანტიაა, ხოლო დღევანდელი ტელევიზიისა და მრავალი გაზეთის მიერ ფართოდ და მიმზიდველად რეკლამირებული სექსუალური თავისუფლების შედეგი ოდითგანვე ცნობილია, თუმცა ამის შესახებ ძალიან იშვიათად საუბრობენ. უფრო მეტიც, უკვე იბეჭდება მეცნიერულად დაუსაბუთებელი მოსაზრებებიც, თითქოს შიდა არ არის საშიში. ახალგაზრდობას არავინ უხსნის, რომ ვენერიული დაავადება შთამომავლობას გადაეცემა და საშინელი შედეგით მთავრდება. „ნუ გეშინია, იმრუშე“, აი, ზოგადი განწყობა, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდება ჩვენი ახალგაზრდობა.

აღარაფერს ვამბობთ ჯადოებზე. ერთმა მახვილგონივრულად შენიშნა: „ნახევარი საქართველო მოლებთან დარბის, რომ მეორე ნახევარს ჯადო გაუკეთოს, ხოლო მეორე ნახევარი ისევ იმ მოლასთან მირბის ჯადოს მოსახსნელად. საბოლოოდ კი ჩვენს ხარჯზე მოლები მდიდრდებიან“. აი, რა დღეში ჩაგვაგდო წლების მანძილზე დედა ეკლესიისგან მოწყვეტამ. სარწმუნოებადაკარგულები თიმსალ-მაკოებს შევცქერით იმედის თვალით და თუმცა კი რელიგიას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით „ვეჯიბრებით“, გაჭირვების უამს ჯანდარედი და „ჯანდაბელი“ ჯადოქრების მახეში ჩვენივე ნებით ვყოფთ თავს.

რაც მთავარია, ცხოვრების ასეთი წესის გამო ღვთის მადლი ადამიანს ტოვებს. ასეთი ადამიანები, წესისამებრ, ლოცვასაც დროის უზრო გაფლანგვად მიიხნევენ და დაუცველნი ხშირად ვარდებიან სხვადასხვა სატანჯველში. ეთიოპიის ეკლესიის ერთ სვინაქსარში ნათქვამია: „ადამიანები იმდენად გაბოროტდებიან და უგრძნობნი გახდებიან, რომ დედას დანანება ძუძუ აწოვოს შეიძლოს“. ჩვენი ასეთი ყოფის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ უშვილობა მრავალ ოჯახში ღვთის სასჯელია.

საშინელი პარადოქსი

ხშირად ხდება ისიც, რომ ცოლ-ქმარი გარეგნულად ზნეობრივად ცხოვრობს, მაგრამ დიდხანს უშვილობით იტანჯება. მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი: ურწმუნოების და ღვთის შიშის დაკარგვის გამო ისინი მხოლოდ ერთი ან ორი შვილის გაჩენას აპირებენ. დანარჩენს კი, ოჯახის „ბალანსის დამრღვევთ“, სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ ხოლმე. ასეთ ოჯახებს უფალი იცავს ისეთი საშინელი ცოდვისგან, როგორც არის შვილთა კვლა (აბორტი). ასე რომ, უშვილობა მათთვის ერთგვარად ღვთის წყალობაა.

ზოგიერთი სწავლების მიხედვით დაბადებამდე ბავშვი ღვთის სხეულის ნაწილია და ქალს შეუძლია მოიკვეთოს ის, როგორც ყასაბი აჭრის ხოლმე ხორცის ნაჭერს დაკლულ

საქონელს. სწორედ ამაშია მატერიალიზმის პერმანენტული დანაშაული. ის გვაიძულებს დავივიწყოთ, რომ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ღვთის ხატება და მსგავსებაა; დედამიწიდან სულიერი სამყაროს უკიდევანო სივრცისკენ მიმართული სხივია, რომ ადამიანის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი მისი უკვდავი სულია, რომელიც მას ჩასახვის დღიდან ეძლევა. სული მიწიერი ცხოვრების მანძილზე ცოდნით მდიდრდება, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს ავლენს, მაგრამ ბუნებით იგივე რჩება.

ჩვენს წინაშე უცნაური პარადოქსი, საშინელი ტრაგიკომედიაა: თითქოსდა ბუნებით კეთილი და ღმობიერი ქალი, რომელიც მწარედ ქვითინებს თავისი ძაღლის სიკვდილის გამო და დასაკლავად წიწილას ვერ იმეტებს, საკუთარ შვილებს ხოცავს და ეშმაკთა ტრაპეზზე გზავნის, რადგანაც, მისი აზრით, ისინი ცოცხალი არსებები კი არა, ლორწოსა და სისხლის გამკვრივებული შენადელები, ან კიდევ მყესებითა და ძვლებით გამოტენილი ტყავის თოჯინები არიან.

ქრისტიანული სწავლებით ემბრიონი და ნაყოფი ადამიანია, თუმცა მისი სტრუქტურა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის. ქართულ ენაზე „ფეხმძიმობის“ სინონიმია „**ორსულობა**“, ე.ი. ორი სული, ორი სიცოცხლე (დედისა და ნაყოფისა), ორი არსება.

დედა ჩვილის პირველი მიწიერი სამყაროა

წმიდა მამები შეთანხმებულნი არიან იმაში, რომ დედის საშოში ჩვილის განვითარების პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ამქვეყნად მოსვლამდე მან ხომ მთელი ცხრა თვე იცოცხლა! სპეციალისტებმა ძალზე კარგი ფორმულირება იპოვეს – დედა მისი პირველი მიწიერი სამყაროა.

ნაყოფი ძალზე მჭიდროდ არის დაკავშირებული დედასთან. ის დედის განწყობაზე, ხასიათზე, სიტყვებზე მგრძობიარედ რეაგირებს.

1903 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა შექმნეს ზემოქმადი ულტრაბერითი სკანერი, რომლის მეშვეობით სპეციალისტები აკვირდებიან ნაყოფის ცხოვრებას დედის წიაღში. და გაირკვა, რომ ნაყოფს ემოციები უკვე ახასიათებს – იღიმება, სხვადასხვა გრიმასას იღებს. ადრე კი ფიქრობდნენ, რომ ახალშობილი ღიმილს გარშემომყოფთაგან სწავლობს.

ემბრიონზე განსაკუთრებით მშობლების ურთიერთდამოკიდებულება მოქმედებს. როდესაც მშობლები ჩხუბობენ, ერთმანეთს გაღიზიანებულნი, მაღალი ტონით ელაპარაკებიან, ჩვილი დედის მუცელში თითქოს იკუნტება, თავს პაწაწინა ხელებით იფარავს, ანდა ფეხებს ურტყამს თავის გარსს. ეს ყოველივე ერთ რამეზე მიუთითებს: ის, თუ რამდენად „კომფორტულად“ გრძობს ბავშვი თავს დედის საშოში, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დედის მდგომარეობაზე.

ამერიკელი მეცნიერები უფრო შორსაც მიდიან და ამტკიცებენ, რომ დაუბადებელმა ბავშვმა „იცის“, სასურველია ის თუ არა. არასასურველ ბავშვებში ძალზე მაღალია რისკის ხარისხი, დაიღუპონ ფეხმძიმობის პირველი 28 დღის განმავლობაში.

არქიმანდრიტ რაფაელის (კარელინი) აზრით, დედა, რომელსაც აბორტის გაკეთება უნდა, თავისდაუნებურად შვილს „მკვლელის კომპლექსს“ უნერგავს – მას მკვლელობისადმი მიდრეკილება უჩნდება. იქნებ ეს მიდრეკილება უშუალოდ მკვლელობამდე არც მივიდეს, მაგრამ იგი გამჟღავნდება გარშემომყოფთა მიმართ სისასტიკესა და სადიზმში.

მძიმეა სასჯელი ღვთისაგან შვილის მკვლელი დედისათვის. მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანს. ყველაზე იოლ შემთხვევაშიც კი დედებს, რომელთაც აბორტები აქვთ გაკეთებული, აუცილებლად მოუწევთ რაღაც სახის სიმძიმის ატანა შვილებისაგან. ეს არის მათი გაუცნობიერებელი შურისძიება თავიანთი დაძმების გამო.

როდესაც დედას ნაყოფის მოშორება უნდა, ემბრიონი თითქოს „გრძნობს“ საშიშროებას, უძლიერდება გულისცემა, თითქოს „გული უგრძნობს“ და თუ ეს ბავშვი მაინც დაიბადება, გამორიცხული არ არის, რომ მას ცივი დამოკიდებულება ჰქონდეს მშობლებისადმი. ჩასახული ბავშვის მიმართ მტრული დამოკიდებულება მძიმე ფსიქოლოგიური გადახრაა, რომელიც სავესებით ეწინააღმდეგება დედობრივ ინსტინქტს. ფსიქონალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ არასასურველ ფეხმძიმობაზე „ქვეცნობიერი უარი“ თვითმკვლელობის დაუსრულებელი ფორმაა. ზოგჯერ ეს დაუოკებელ პირღებინებას და ტოქსიკოზის სხვა სიმპტომებს იწვევს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანის პიროვნების ფორმირება ჩასახვისთანავე იწყება. მშობლების მდეღვარებანი, მისწრაფებები, აზრები, ფიქრები, სიტყვები ღრმად იბეჭდება ბავშვის სულში. იგი ყოველივე ამას თითქოს „იმასსოვრებს“, მისთვის ნაჩვენები საქციელის და დამოკიდებულებების „კოპირებას“ ახდენს. ამიტომ ფეხმძიმე ქალებს განსაკუთრებით ურჩევენ ყოველმხრივ აარიდონ თავი ყოველგვარ დაძაბულობას, ადეღვებას, უსიამოვნებას; მეტა ისეირნონ სუფთა ჰაერზე, დიდი დრო დაჰყონ ლამაზ ბუნებაში, მშვიდ გარემოში, ისწავლონ იაგ-ნანას სიმღერა. ეს ყველაფერი მომავალში ბავშვს სხვადასხვა სულიერი თუ ფიზიკური დაავადებისგან დაიცავს. არც ერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორი აღზრდის პირველი რგოლი დედის საშოშია დაფლული.

ზოგჯერ მცირე ერთგულებაც კი საკმარისია

თუმცა არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთ, რომ უშვილობა მხოლოდ მშობლების ცოდვათა გამო ღვთის რისხვის შედეგია. ის შეიძლება დაშვებულ იქნას უფლის მიერ მშობელთა სარწმუნოების განსამტკიცებლად, ანდა ღვთის ნების გამოსავლენად. ბიბლიიდან ამის მაგალითია სამოელ წინასწარმეტყველის დედა ანა, რომელიც უშვილობის გამო კიდევ უფრო გულმხურვალედ ლოცულობდა და რწმენისა და ლოცვის შედეგად შეიქნა ღირსი გამხდარიყო ბიბლიური წინასწარმეტყველის დედა. ასევე იოანე ნათლისმცემლის დაბადებაც სასწაულებრივი იყო, რადგან მისი მშობლები – ზაქარია და ელისაბედი, „ორივე გარდასულ იყვნენ დღეთა მათთა“.

„მოწყალეა უფალი. ჩვენი მცირე ერთგულების გამოვლენაც კი საკმარისი შეიძლება იყოს, რათა მოგვანიჭოს მადლი. ერთი ქალი, რომელიც 20 წლის განმავლობაში უშვილო

იყო, მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ ექსტრასენსობა ეშმაკთან თანაზიარობაა და ამგვარ ბოროტებას თავი დაანება, დედობის ღირსი გახდა.

მეორე შემთხვევა, რომელიც არაეკლესიურ ქალს დაემართა: 6 წლის უშვილობის შემდეგ მას ქმარი და დედამთილ-მამამთილი აიძულებდნენ წასულიყო ჯანდარელ ჯადოქართან. მან უარი თქვა, მაშინ, როდესაც საოცარი აუიოტაჟი იყო ატეხილი და საქართველოს ყველა კუთხიდან მიდიოდნენ ჯანდარისკენ. დიდი უსიამოვნების ფასად ის მაინც არ წავიდა ჯანდარში და ცოტა ხანში დაფეხმძიმდა კიდევც“ (არქიმანდრიტი რაფაელი).

უშვილოთა შემწე და მეოხი

უშვილოთა განსაკუთრებული შემწეა წმიდა ანა – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხეული დედა. ათონზე XVI საუკუნეში აგებულ იქნა წმ. ანას სახელობის ტაძარი. 1685 წელს აქ პროვანსის სკიტიდან გადმოსვენეს წმ. ანას წმიდა ნაწილები (მარცხენა ფეხის ქვედა ნაწილი). აქვე იმყოფება სასწაულმოქმედი ხატი – წმ. ანა ყრმა ღვთისმშობლით ხელში.

მთელი ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე ცნობილია წმ. ანას სასწაულები, როდესაც იგი დახმარების ხელს უწვდიდა განსაცდელში მყოფ ადამიანებს, განსაკუთრებით კი შეეწეოდა და უნაყოფობისგან კურნავდა უშვილო მშობლებს. წესისამებრ, ოჯახებში, სადაც წმ. ანას ტაძრის მოლოცვის შემდეგ ბავშვები ჩნდებოდნენ, პირველ შვილებს იოაკიმესა და ანას არქმევდნენ.

აი, რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ შეეწია ღვთისმშობლის დედა, წმიდა ანა უშვილო ოჯახებს.

საჩუქრად ჩვილის წონის ვერცხლის კანდელი

ეს ამბავი მე-18 საუკუნეში მოხდა. კუნძულ ლემნოსის თურქი გამგებელი მრავალი წლის უშვილობის შემდეგ სკიტში ჩავიდა და მამებს სთხოვა ელოცათ, რომ წმ. ანას შვილი მიეცა მისი მეუღლისთვის. მამებმა მისი რწმენისა და მოწადინების გამო მისცეს მას ზეთი წმ. ანას კანდელიდან და აიაზმა, ასწავლეს როგორ ემარხულა 40 დღის განმავლობაში და გაცეცა მოწყალეობა ობლებისთვის. თურქის ოჯახში მადლიერებით შეასრულეს დანაბარები და სიხარულმაც არ დააყოვნა – მალე ქალი დაფეხმძიმდა. როცა ჩვილი დაიბადა (ვაჟი), მამა სკიტში ჩავიდა და მადლიერების ნიშნად ბერებს თავისი ჩვილის წონის ვერცხლის კანდელი ჩაუტანა, რომელიც დღესაც წმ. ანას ხატის წინ სასწაულის დასტურად არის ჩამოკიდებული.

* * *

მამამ, რომელსაც უკურნებელი სენით ჰყავდა დაავადებული შვილი, მთელი ღამე ლოცვით გაატარა ტაძარში. შინ დაბრუნებულს შვილი განკურნებული დახვდა.

* * *

ქალი, რომელიც ოთხი ექიმის დიაგნოზით განწირული იყო სასიკვდილოდ, სკიტის ერთ-ერთმა მღვდელმონაზონმა განკურნა წმ. ანას ხატით, რომლითაც მან ავადმყოფს ჯვარი გადასახა.

* * *

ბავშვი, რომლის გაჩენა დედის სიცოცხლეს ემუქრებოდა, აბორტის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო – ფეხმძიმობის მესამე თვეს ექიმებმა დედას ჩანასახის მოცილება ურჩიეს. დედამ ერთი ბერის რჩევით გადაწყვიტა ამის ნაცვლად წმ. ანასთვის მიემართა თხოვნით. გულწრფელი ღოცვის შედეგად ბავშვი სრულიად ჯანსაღი დაიბადა და დედაც უვნებელი გადარჩა.

* * *

აბორტის მსხვერპლი ხდებოდა აგრეთვე ჩვილი, რომელსაც ფიზიკური დეფექტი აღენიშნებოდა. მომავალი დედა უკვე ხუთი თვის ფეხმძიმე იყო. მიუხედავად ამისა ექიმები დაუინებოთ მოითხოვდნენ ფეხმძიმობის შეწყვეტას. მშობლები მხურვალედ შეევედრნენ წმ. ანას. მამა სკიტში ჩავიდა და სასწაულმოქმედი ხატისა და წმიდა ნაწილების წინ ილოცა. მოხდა სასწაული – გაჩნდა არათუ საკვებით ჯანმრთელი, მეტიც, ულამაზესი ბავშვი, რომელსაც მადლიერმა მშობლებმა იოაკიმე დაარქვეს.

* * *

იერუსალიმში, საბაწმიდის მონასტერში, იმ ადგილას, სადაც იდგა იოაკიმე და უფალს ევედრებოდა მიეცა მისთვის შვილი, ამოსულია პალმა. ამ მონასტრის იღუმენს უშვილო ოჯახები თხოვნით მიმართავენ და ისიც უზახანის მათ თავის ღოცვა-კურთხევას, პალმის რტოს და რჩევა-დარიგებას, როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მოიპოვონ ღვთის წყალობა.

უფალი მარტო არასოდეს ტოვებს ადამიანს განსაცდელში. ჩვენ გვიფარავს ანგელოზთა დასი და წმიდანები, რომლებსაც ყოველთვის შეგვიძლია ღოცვით მივმართოთ. წმიდანებს, შესაძლოა, უფრო მეტადაც უნდოდეთ ჩვენთვის სიკეთე, ვიდრე ჩვენ გვინდა ჩვენი თავისთვის, მაგრამ ისინი ძალით არ ერევიან ჩვენს ცხოვრებაში. თვით სიკეთის ცნება შეუთავსებელია ძალადობასთან, ამიტომ ისინი ელიან, როდის მივმართავთ თხოვნით, და ეს დიალოგი ღოცვაში ხორციელდება, უფრო მეტად კი – ეკლესიურ ღოცვაში.

საგანგებო ღოცვების გარდა წმიდანებს შეგვიძლია მივმართოთ ჩვენი სიტყვებითაც. ღოცვის შემდეგ ვკითხულობთ ტროპარს და კონდაკს, რომელიც სულიწმიდის მადლით არის დაწერილი.

ტროპარი

რომელნი სჯულსა შინა მადლისა მიერ განმართლდეს, და ყრმა ღვთიერ-მონიჭებული გვიშვეს ჩვენ, იოაკიმ და ანა, ამისთვისცა დღეს ბრწყინვალედ განცხრების სოფელი, და დღესასწაულობს ეკლესია ღმრთისა პატიოსანსა ხსენებასა მათსა, და აღიდებს ღმერთსა, რომელმან აღგვიდგინა ჩვენ რქა ცხოვრებისა სახლსა და ვითისსა.

კონდაკი

იხარებს აწ ანა, ბერწობისა საკრველთაგან, ხსნილი, და ზრდის ყოვლად-უხრწნელსა, თანად მომწოდებელი ყოველთა გალობად, რომელმან მოანიჭა საშოით მისით კაცთა მხოლოდ დედა, ქმრისა გამოუცდელი.

წმ. გური, სამონ და აბიბოს – ეს წმიდა მოწამენი პატივცემულ არიან, ვითარცა დამსჯელნი პირობის შეუსრულებლობისთვის, განსაკუთრებით, თუ ქმარი უდანაშაულოდ შეიძულეს თავის ცოლს.

ტროპარი

საკვირველებანი წმიდათა შენთა მოწამეთანი, ზღუდედ უბრძოლველად მოგვანიჭენ ქრისტე ღმერთო, მათითა ვედრებითა ზრახვანი წარმართთანი განაქარვენ, და სკიპტრაი მეფობისა განამტკიცე, ვითარცა მხოლომან სახიერმან და კაცთმოყვარემან.

კონდაკი

მადლით მოიდეთ მადლი ბრძენო, განსაცდელთა შინა შეწევნად, ყოვლად ქებულნო, ამისთვისცა მწარისა სიკვდილისაგან ქალი იხსენით წმიდანო, ჭეშმარიტად თქვენ ხართ ედესისა დიდება, და ყოვლისა სოფლისა სიხარული.

რათა ბავარჩიოთ ერთი მეორისაგან მოთმინება, როგორც ღელა სიმაჟაცისა

მძიმეა წუთისოფელი. სულიერი და ხორციელი საწყისი ყოველთვის უშედაგათოდ ებრძვის ცოცხალ ადამიანში ერთმანეთს. ოჯახიც ბოროტის ბრძოლის ერთგვარი არენაა, რის შედეგი არის უამრავი მოშლილი კერა, დანგრეული ოჯახი, დედ-მამის მზრუნველობას და სითბოს მოკლებული ათასობით ბავშვი.

ხშირად ადამიანები იბნევიან. ერთ მხარეს აღმოჩნდება ხოლმე გული, გრძნობა, თავისი ტკბილი ცდუნებით, მიწიერი ბედნიერების წყურვილით, ხოლო მეორე მხარეს – ამ ბედნიერე-

ბის ზედმეტად მაღალი ფასი, „ერთადერთი სიცოცხლის“ უსიხარულოდ გატარების არასასურველი პერსპექტივა და. . . ადამიანი იბნევა – არ სურს ის, რაც აქვს და არ შეიძლება ის, რაც სურს. სად არის ამ დროს გამოსავალი? ქვეყნად ხომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

ამ ქვეთავში გთავაზობთ ნამდვილ ისტორიებს სხვადასხვა პრობლემით და ამ ამბებისადმი სასულიერო თუ საერო პირთა დამოკიდებულებას. ზოგან გამოსავალი მითითებულია, ზოგანაც ეგებ თავად მიაგნოთ გონიერი ადამიანის თუნდაც სიტყვიერი თანადგომის შედეგად.

სად არის გამოსავალი?

ორიოდე წლის წინათ შევხვდი ქალიშვილს, რომელიც შემიყვარდა. ჩანდა, სრულიად უღირსი იყო – თერამეტი წლის ასაკში არც კი იცოდა, რამდენი მამაკაცი ჰყოლია. არც საკუთარი სახლი ჰქონდა და არც ოჯახი უნდოდა. დღემდე ვერ გამოვიდა, რატომ გახდა ის ჩემთვის ერთადერთი და შეუცვლელი.

თავიდან უბრალოდ მეგობრად მივაჩნდი. შემდეგ ერთად ცხოვრება დავიწყეთ, როგორც ცოლ-ქმარმა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი მონათლული. მან დამიფიცა, რომ ჩემს მეგობრებთან არასოდეს ფლირტსაც კი არ გააბამდა. მე დავუჯერე, მაგრამ... ძალიან მალე დემონსტრატიულად მდალატობდა მასთან, ვინც ჩემი საუკეთესო და ერთადერთ მეგობრად მიმაჩნდა.

ჩვენ დავცილდით, მაგრამ ვერაფრით ვივიწყებდი ვერც მას და ვერც იმ ტკივილს, რომელიც მომაყენა და, რაც მთავარია, ვგრძნობდი, რომ ისევ მიყვარდა.

შემდეგ როგორღაც კვლავ შევხვდით ერთმანეთს და გადავწყვიტეთ, ერთად ვიყოთ. იგი ისე შეიცვალა, როგორც კი შეუძლია შეცვლა ადამიანს. სულ შინ არის, ზრუნავს ჩემზე და ჩემს სახლზე. უნდა, რომ ცოლად გამომყვეს და ჩემგან შვილები გააჩინოს. ხშირად ტირის და პატიებას ითხოვს ყოველივე იმის გამო, რაც იყო.

მე მიყვარს ის და მასაც ვუყვარვარ. მე მინდა მთელი სიცოცხლე მასთან ვიყო, მაგრამ არაფრის დავიწყება არ შემიძლია!!! საკუთარი ტვინის ნაგლეჯის ამოსაღებადაც კი მზად ვარ, ოღონდ ამან მიშველოს, რათა წარსული დავივიწყო და ვაპატიო. მაგრამ არაფერი გამომდის. არც ლაპარაკი მინდა ამ თემაზე არავისთან. ეკლესიაში სიარულიც კი შევწყვიტე. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მთელი ჩვენი ერთობლივი ცხოვრება – ამჟამინდელიც, მომავალიც, მოწამლულია. მე არ მინდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ მის გარეშე ცხოვრებაც არ შემიძლია. სად არის გამოსავალი? მომეხმარეთ, მაპოვინეთ.

სანდრო

ძვირფასო სანდრო! რასაკვირველია, მარტივი არ არის ის ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელშიც თქვენ აღმოჩნდით. საეჭვოა, მარტივი გამოსავალი მოინახოს ჩემგან თუ მკითხველისგან მოცემული რჩევის გზითაც კი. ვიპოვოთ რაიმე ოქროს გასაღები და თქვენი ყველა პრობლემა გადაიჭრება – ასე არ ხდება. ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ადამიანს – თქვენსა და თქვენს შესაძლო რჩეულს შორის ბევრი ცუდი რამ იყო, ბევრი ცოდვა; ამასთან მხოლოდ მისი კი არა, თქვენი მხრიდანაც. თქვენ, უკვე მორწმუნე, რაღაც დროის განმავლობაში ცხოვრობდით ისე, რომ თქვენი კავშირი არ გიკურთხებიათ, არ გიცდიათ ოჯახის შექმნა ამ სიტყვის სრული გაგებით.

ცოდვიანი სიტუაციიდან გამოსავალი, წესისამებრ, არის ის, რომ საკუთარ თავს ვაიძულოთ სწორედ იმ ცოდვის საწინააღმდეგო საქციელი, რომელშიც ვიმყოფებოდით. იქნებ ცუდი არ ყოფილიყო ერთობლივი მოწადინებით ნახევარი წელი ან ერთი წელი უბიწოდ, თავშეკავებით გეცხოვრათ. ვერ იტყვი ერთბაშად: „აი, მორჩა, ჩვენ გადავშლით ყველაფერ ცუდს, რაც ჩვენს ცხოვრებაში აქამდე ყოფილა და ვიწყებთ ღვთისმოსავ ცხოვრებას მშვიდად, როგორც ცოლ-ქმარი; როგორც სხვა ადამიანები, როგორც ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც არაფერი და არაფერი იცოდნენ ოჯახის შექმნამდე“. ასე არაფერი გამოვა. უფლის წინაშე რამეს გაღებაა საჭირო, საჭიროა ჭეშმარიტი სინანული, საკუთარი ცხოვრების არსებითი შეცვლა. ყველაზე უკეთესი იქნება ეს დაადასტუროთ გადაწყვეტილებით, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ თან გიყვარდეთ ერთმანეთი და თან ცხოვრების ეს პერიოდი ყოველგვარი ხორციელი საყრდენის გარეშე გაატაროთ. თუ ორივენი ამას შეძლებთ (ამასთან დაინახავთ, რა გსურთ ერთიმეორისგან), მაშინ, შესაძლოა, დაინახოთ თქვენი კავშირის მომავალი. თუ არა, იმაში მაინც დარწმუნდებით, რომ ყველაფერი ეს თავის მოტყუება და ილუზიაა.

დეკანოზი მაქსიმე

საყვარელ ადამიანებს ნუ განეშორებით

გამარჯობათ, სანდრო!

თქვენ წერთ: „მე მიყვარს ის და მასაც ვუყვარვარ“. მორჩა, ეს საკმარისია. საყვარელ ადამიანებს არ უნდა განეშოროთ. მორალის კითხვაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ თქვენ მამაკაცი უნდა იყოთ – თქვენ საყვარელ ქალს სჭირდება თქვენი დახმარება, ძალა, დიდსულოვნება. გაუმართლეთ იმედი! მას უყვარხართ. მას რცხვენია, ის მზად არის მიგების ხვედრისათვის ?, ოღონდაც თქვენ დამშვიდება შეძლოთ – ზურგი აქციეთ საკუთარ „მეს“, რომელიც მიტევებაში გიშლით ხელს.

თქვენ მეტისმეტად გტკივათ... ეს ჭრილობაა, ეს უბრალოდ შეღახული თავმოყვარეობა კი არ არის, არამედ აწეწილი სულია, რომელიც იოლად არ იკურნება, მაგრამ არ გაბედოთ

და არ მოეშვათ – ახლა ამის უფლება არა გაქვთ. მას ხომ ასე ძალიან სჭირდებით. განა დიდხანს გაუძლებს?!

უფალი მისი საშუალებით თქვენ ბევრი ცოდვის გამოსყიდვის საშუალებას გაძლევთ: მიეშველეთ, მომაგრდეს ახალ გზასავალზე. ღვთის შეწევნით თქვენც შეძლებთ დავიწყებას. რამდენი წვალება მოგიწევთ, არ ვიცი, ერთს კი ვიტყვი გამოკვეთილად: რა შემართებითაც აღუდგებით წინ ზრახვებს, რა ფხიზლად და სასტიკად მოკითხავთ, როგორც კი გუღთან მოგიახლოვდებათ, მით უფრო მალე დასრულდება თქვენი სატანჯველი.

ნებისმიერ შემხვედრთან ამაზე საუბარი არ ღირს. სინამდვილეში ბევრმა ადამიანმა არ იცის გრძნობა, რომელსაც თქვენ განიცდით. ის კი, რომ ეკლესიაში აღარ დადიხართ, ძალზე სიმპტომატურია. თქვენ (იმისდა მიხედვით, რასაც წერთ), შეპყრობილი ხართ ავი მეხსიერების ზრახვით. ამ ზრახვის ჩამაგონებელი, რასაკვირველია, ეკლესიურ საიდუმლოებებსაც განგაშორებთ, რათა გამაგრდეს თქვენს სულში და გააგრძელოს მისი აწეწვა თქვენი და თქვენი საყვარელი ადამიანის დასადუპად. სულით და გულით გისურვებთ ბედნიერებას ღვთისათვის ქორწინებაში.

მღვდელი ივორი

უხმეთ მადლიერებას

ძვირფასო სანდრო, ყოველთვის, როცა კი არ შემიძლია შევუნდო ვისმე, სწორედ ასეთი სულის წვალებით მივდივარ ერთ დასკვნამდე: პატიება იმიტომ არ გამომდის, რომ საკუთარი თავი უკეთესი მგონია. სწორედ ასეა, რაგინდ მწარე უნდა იყოს ამის აღიარება. თქვენ ადგილზე რომ ვიყო, საკუთარ თავს ამ სიტუაციაში უკეთესად არ მივიჩნევი, და აი, რატომ: განცდა, რომ მიყვარს ადამიანი მიუხედავად იმისა, რომ... – ეს თითქოს ყველაზე დიდი სულგრძელობაა, სინამდვილეში კი ეს სხვა არაფერია, თუ არა სიამაყე.

განშორების დროს წყენა რომ მოგეძალება, მადლიერებას უნდა მოუხმო: „გმადლობ შენ, იესო ქრისტე, რომ ისმინე ჩემი მუდარა და მომიყვანე მხოლოდ შენთვის ცნობილი გზებით ერთადერთი ადამიანი, რომლის შეყვარება შევძელი, ურომლისოდაც მე აგრე ცუდად ვიყავი. შეეწიე, უფალო, ჩემს უძღურებას, რათა არ გაეფლანგო და არ დაკარგო შენი ნაბოძვარი, მისი უღირსი არ აღმოვჩნდე. დახსენ ჩემს გულს წყენა, ეს ქვა, რომელიც არსებობას მიწამლავს და ხელს მიშლის გულითადი მადლობა გიძღვნა ყველა იმ წყალობისთვის, რასაც მანიჭებ. შეგვეწიე, უფალო, ვცხონდეთ ერთად. მაგრამ, ღმერთო, იყოს ყველაფერში ნება შენი...“

არ იფიქროთ იმაზე, თუ როგორ მივიდა ის ამგვარ ცხოვრებამდე, რატომ დაბრუნდა თქვენთან. მისი საქციელის, მისი ცხოვრების ანალიზი თქვენს სიამაყეს კიდევ უფრო გააღრმავებს. თქვენ კი განა ეს გინდათ? რაღაც ცდუნების დროს ეკლესიაში სიარული შეწყვიტეთ. აბა, როგორღა უნდა ებრძოლოთ ბოროტ ძალებს, რომლებსაც თქვენი დაცილება სურთ? დააკვირდით, თქვენ ჩაგავლეს და არა თქვენს საყვარელ ქალს, იმიტომ, რომ მან შეი-

ნანა, ნანობს ყოველდღე, ტირის... თქვენ კი ამაყი ხართ, ფიქრობთ, რომ მასზე ბევრად უკეთესი ხართ და ამიტომაც დაგესხნენ თავს. გაიხსენეთ მეზვერისა და ფარისევლის იგავი... სანამ ის სინანულშია (რაც თქვენი მიუტევებლობის გამო შეიძლება სასოწარკვეთილებაში გადავიდეს, რის შემდეგაც ხომ იცით, ხშირად რაც ხდება ხოლმე), ხელკავი გამოსდეთ მას და – ეკლესიისაკენ...

ანა

მიუტევო, ესე იგი დაივიწყო

მიუტევო, ნიშნავს დაივიწყო წყენა და ღალატი. თუ არ დაგივიწყებია, ესე იგი არ გიპატიებია. მაგრამ მე ვფიქრობ, თქვენ ის კი არ გტანჯავთ, რომ ვერ ივიწყებთ, არამედ – მომავალი შესაძლებელი ღალატის გაუცნობიერებელი შიში. საჭიროა არა მხოლოდ მიტევება, არამედ მზადყოფნა იმგვარი მიტევებისთვის, თითქოს ყველაფერი პირველად ხდება.

ახლა კი საკუთარი დაკვირვებების შესახებ: ამგვარი ქალიშვილები დროთა განმავლობაში მზრუნველი მეოჯახეები, ერთგული ცოლები, მოსიყვარულე დედები და ა.შ. ხდებიან. მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება ჩავარდნაც ჰქონდეთ. თუ თქვენ ის გიყვართ, ამისთვის მზად უნდა იყოთ და თქვენი სიყვარულით უნდა შეაჩეროთ ის. მე ვფიქრობ, თქვენ ძალზე გაგიმართლათ. ასეთი ხასიათის ქალიშვილებს ჩემი აზრით აქვთ ერთი ძალზე დასაფასებელი თვისება – გულწრფელობა. თქვენც საპასუხოდ ასეთივე გულწრფელი თუ იქნებით, ყველაფერი ნორმალურად იქნება.

იოანე

...მაინც უმთავრესია ის, რაც არის დღეს, ვიდრე ის, რაც ოდესღაც იყო

მეც მსგავსი სიტუაცია მაქვს. ჩემი ცოლიც ადრე მთლად ანგელოზებრივ ცხოვრებას არ ეწეოდა. ჩემთვისაც ეს მეორე ქორწინებაა. ასეც ხომ ხდება. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იშვიათად ვიხსენებ მის წარსულს. ისიც ხომ ფაქტია, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რაც არის დღეს, ვიდრე ის, რაც როდესღაც იყო. ახლა სიყვარულია, ახლა ბედნიერებაა, თანაც ყოველდღიური. ეკლესია ძალზე მნიშვნელოვანია ცოლ-ქმრული ცხოვრებისთვის. მართლმადიდებლობის გარეშე სწორი ცხოვრება არ გვექნებოდა. ეს ნამდვილად ასეა. ჩააბარეთ თქვენი ოჯახი ეკლესიას და ყველაფერი გამოსწორდება.

პ.

მე სხვაგვარად არ შემიძლია

26 წლის ვარ. ორჯერ ვიყავი გათხოვილი. 7 წლის გოგონა მყავს. ორი უიღბლო ქორწინების (პირველი ქმარი სვამდა და ფიზიკურად მეხებოდა, მეორე – ნარკომანი იყო) შემდეგ ოჯახური ბედნიერების პოვნის იმედი გადავიწერე და მარტო ცხოვრება გადავწყვიტე.

დიდ დროს ვატარებდი სამსახურში – ფირმის მთავარი ბუღალტერი ვარ. ვერც კი შევამჩნიე, რომ ერთ თანამშრომელთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ის 38 წლის არის, დაქორწინებულია. ის ყოველთვის მამხნევებდა, მისმენდა, სულით დაცემის უფლებას არ მაძლევდა. ბოლოსდაბოლოს, ძალზე დავახლოვდით... მე მივხვდი, რომ ის ერთადერთი მიყვარს და ამგვარ სიყვარულს ვეღარ შევხვდები. ისიც მეუბნებოდა, რომ საოცარი ქალი ვარ და რომ არასოდეს მიწოდებს ბინძურ სიტყვას – „საყვარელი“, იმიტომ, რომ მე მისი საცოლე ვარ და რომ მისი ურთიერთობა ცოლთან ფორმალურია; რომ მალე ოფიციალურად გაცილდება მას და ჩემზე დაქორწინდება. მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ მისმა ცოლმა ვაჟი გააჩინა! მე არ შემიძლია მასთან განშორება. ბევრჯერ მითქვამს საკუთარი თავისთვის: მორჩა, კმარა! მაგრამ საკმარისი იყო, დაერეკა და ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. მე ვგრძნობ, რომ ვიღუპები. დავიწყე სმა. დედაჩემი ჩემს გამო ბევრს ნერვიულობს, ნარკოლოგთან წაყვანაც კი უნდოდა ჩემი.

კატერინე ტ.

მცნებას ვერაფერი ცვლის

ვაი, რომ ისტორია იმაზე მეტად ბანალურია, ვიდრე გსურს დაინახო. სამწუხაროდ, ცოლიანი მამაკაცები, არაკანონიერ კავშირებს რომ აბამენ, ზუსტად მასე ლაპარაკობენ ხოლმე: რომ მისი რჩეული ძირეულად განსხვავდება მისი მეუღლისგან, რომ მათ არამიწიერი სიყვარული და განსაკუთრებული გრძნობა აკავშირებთ, და არა ხორციელი გულისთქმები; რომ ცოლი მისთვის უკვე ასი წელია ქალი კი აღარ არის, არამედ – მეზობელი ბინაში, რომელთანაც თქვენთან შეხვედრამდე კარგა ხნით ადრე სურდა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა, გარდა იურიდიულისა.

ეს ყოველივე ახალი არ არის. რასაკვირველია, მორწმუნე ადამიანი უნდა ეყრდნობოდეს არა ამგვარი ტკბილ სიმღერებს, არამედ – უფლის მცნებებს, რომლებიც არანაირი სიმღერებით და არანაირი არამიწიერი გრძნობებით (იმ ძალზე იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეს გრძნობები მართლაც გვხვდება) არ იცვლება. მცნება ასეც უღერს: „*არა იმრუშო!*“ უფრო მკაცრად კი: „*არ დაიძინო სხვის ქმართან*“. და როდესაც გულის ასეთი გადაწყვეტილება მოვა, როდესაც შევძლებთ ეს მოვინანიოთ, დავინახოთ საკუთარი ცოდვა მომხდარში, განვეშოროთ მას და მტკიცედ გადავწყვიტოთ ასეთი რამ აღარ გავიმეოროთ, მაშინ ჩვენი ცხოვრება იწყებს იმ სამყაროში და იმ სიმშვიდეში შესვლას, რომელიც მხოლოდ ეკლესიაშია და რასაც მხოლოდ მორწმუნეები მიიღებენ.

დეკანოზი მაქსიმე

ამ თემას დასასრულად ნამდვილად მოუხდება ცნობილი ლოცვა, განუმეორებელი თავისი ტევადობით და სისრულით: „*ღმერთო, მომეც ძალა, რომ შევცვალო ის, რის შეცე-*

ლაც შეიძლება; მოთმინება, რომ მოვითმინო ის, რის შეცვლაც არ შეიძლება და გულისხმის სყოფა, რომ ერთი მეორისაგან გაეარჩიო.“

„მოიპოვე მოთმინება, შეიყვარე იგი, როგორც ღელა სიმამცისა“

წმ. იოანე ოქროპირი

დასკვნის მაბივრად

წიგნს არქიმანდრიტ **იოანე კრესტიანკინის** სიტყვებით ვამთავრებთ, რომელიც მან წმ. იოაკიმე და ანას ხსენების დღეს წარმოთქვა.

„იოაკიმე და ანას ღვთისმოსავ ოჯახს და მათ ნაშობ დიდებულ პირმშოს რომ ვისხენებთ, განა ჩვენს თავს არ უნდა შევხედოთ?! არ უნდა შევხედოთ ჩვენს დროს, რომელსაც განადგურების სული აქვს და არა შექმნისა. განა არ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: რა არის მიზეზი, სად არის სასტიკი და პირქუში უამინდობის საფუძველი, სამყაროს რომ შემორტყმია და დაღუპვის პირას მიუყვანია?

განა თავად არა ვართ ოჯახური ეკლესიის გამანადგურებლები? თვითონ არა ვართ ოჯახური წესრიგის უძლიერესი კანონების დამრღვევები? ჩვენ თვითონ არ ვაძლევთ საკუთარ შეილებს აღსაზრდელად უცხო სამყაროს, სადაც მათ ძუ მგლები და ეკალ-ბარდები კვებავენ და ზეციური მამისგან და მიწიერ მშობელთაგან განაშორებენ.

ცხოვრება რთული საქმეა. და ის აუტანლად რთული ხდება, როდესაც მისგან უფალი განიდევნება. როდესაც სახლიდან უფალი განიდევნება, მის ადგილას უბოროტესი სულები მოდიან, რომლებიც სიკვდილის მომტან ღვარძლს თესავენ. ბნელეთის ძალებმა უკვე კარგა ხანია დაიწყეს სიკვდილის მატარებელი გეგმების განხორციელება, როდესაც წინ აღუდგნენ ოჯახს, დედობას, რაც საკუთარ თავში შეიცავს სამყაროს მომავალს – შთამომავლობის აღზრდას.

ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გვესმოდეს, ვინაიდან ეს ჩვენი დღევანდელი და ჩვენი მომავალია. ამაშია ჩვენი პასუხისმგებლობა უფლის წინაშე; საშინელი პასუხისმგებლობა!..

რამდენი ცრემლი და გულისტკივილი იყო დედის გულში, როდესაც ხედავდა, რომ ის მცირე, რის მიღწევაც სახელში, ოჯახში ხერხდებოდა, ბავშვის სულში უხეშად ითელებოდა სკოლაში.

და იღვრებოდა ცრემლები, იღვრებოდა ლოცვები. არ იფიქროთ, რომ ეს შეუმჩნეველი და შეუსმენელი დარჩა. შეიძლება არ გაიგონ და არ მიიღონ ადამიანებმა, მაგრამ არა – ღმერთმა: უფლისთვის ეს უბრალოდ ცრემლები კი არ არის, არამედ – ჯვარცმის გზა ქრისტიანი დედისა, რომელიც თავისი შეილისთვის მთელი სამყაროს წინააღმდეგ, თვით ეშმაკის წინააღმდეგ იბრძვის.

ეს უბრალო ჯვარიც არ არის. ეს მოწამეობაა; მოწამეობა ქრისტესთვის. ღვთიური მადლი ყოველთვის განაძლიერებდა მოწამეებს; ის განგაძლიერებდათ თქვენც შეილებისთვის

ასე უთანასწორო ბრძოლაში; განგაძლიერებთ ახლაც. ოღონდაც არ შესუსტდეს ქრისტიანული რწმენა და მისწრაფება, არ შესუსტდეს რწმენა...

საშინელი და დამანგრეველი სწორედ ის არის, როდესაც ჩვენი, უფროსების რწმენა ღვთისა მხოლოდ სიტყვად რჩება და ჩვენს ყოველდღიურობას არ გარდაქმნის; როდესაც ჩვენი ცხოვრება სულიერად უნაყოფოა და სულიწმიდის ცოცხალი ცხოველმყოფელი ძალა არა აქვს. ეს სასწაულიც ითხოვეთ და მოგეცემათ.

ჩვენ, ყველას, დღეს აუცილებლად გემართებს გაგაცნობიეროთ, რომ **სასწრაფოდ უნდა გადავარჩინოთ დროის განმხრწნელი სულისაგან და უფალს დაუბრუნოთ ჩვენი მცირე ეკლესია – ჩვენი ოჯახი.** სწორედ ოჯახში უნდა დაინთოს უფალში ქრისტიანული ცხოვრების ლამპარი. მხოლოდ ამაშია სამყაროს გადარჩენა, ჩვენი გადარჩენა.

წარმატებას უცებ ვერ მივალწევთ, უკიდურესად გაგვიჭირდება, მაგრამ ეს უნდა ვიღონოთ მარადისობაში სიცოცხლისთვის.

დედები და მამები, – უფლის მიერ განდიდებული შემოქმედნი და დამცველნი თავიანთი შვილებისა, – პასუხისმგებელნი არიან მათ გამოც და საკუთარი თავის გამოც. განა ჩვენი საქმე არ არის ახლა, წუთისოფლის უდაბნოში, სადაც მარტოობა, შფოთი და გულგრილობა, საკუთარ თავში საგანგაშო დაურწმუნებლობა და სიბოროტე სუფევს, ღოცვის კერის შექმნა. უნდა გვახსოვდეს, რომ სადაც ორი ან სამი შეიყრის თავს უფლის სახელით, უფალიც იქ არის, მათ შორის.

მაშინ გაცოცხლდება კერია! ერთიც, მეორეც, მესამეც... კვლავ მოეწეობა უღმერთობით მოშლილი ოჯახისა და თითოეული ადამიანის შინაგანი ცხოვრება, დამყარდება ღვთიური წესრიგი, სულში დაბრუნებული ღვთიური მეუფება კვლავ დაიწყებს სამყაროს გარდაქმნას; ბავშვები უფალს დაუბრუნდებიან, თავიანთ მშობლებს დაუბრუნდებიან გარემომცველი სამყაროს უამინდობიდან. მხოლოდ და მხოლოდ ეს არის გადარჩენის, ხსნის გზა.“